# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 აგვისტო **ორშაბათი** 2011

№ 184 (13481) ფასი 80 თეთრი




დინამოს პირველი სამი ქულა

# დაიწყო და, რაც იყო, ცუდი არ იყო



ერთი მშრალი ანგარიში ნეიმიან პირველ ტურში

გამიტან-გაგიტან, ანუ 6 მატჩი 19 გოლით

საქართველოს ჩემპიონატი. I ტური




2-4 ახლავე ვთქვათ: ეგეთები არ იყოს!

# რქებდამტვრეული ვიკინგები




16

# ბუნდეს სენსაცია

ბაიერნის კრახი ნოიერის ბრალია!



07.08. ქუთაისი. ტორპედო. 9 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ზესტაფონი | 2 |

1:0 წინამძღვრიშვილი (15), 2:0 ელიავა (40), 1:2 მეგრელაძე (77.პენ)

| ტორპედო | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| მიგინეიშვილი | მამალაძე |
| ფოფხაძე | ლონლაძე |
| ქემოკლიძე | კობახიძე |
| თოდუა | ონიანი |
| მანჩხავა | ელიავა |
| დოლიძე | ბაბუნაშვილი |
| თარხნიშვილი | ძარია |
| ჩიკვილაძე | გორგიაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | გრიგალაშვილი |
| სეთურიძე | დვალი |
| გოცირიძე | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. კიკნაძე | გ. გეგუჩაძე |

**ტორპედო**

46. გოცირიძე - **მეგრელაძე**
58. ბოლქვაძე - **საბანაძე**
64. ქემოკლიძე - **ჩხარტიშვილი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, დილმელაშვილი, იოსელიანი, დ.კირკიტაძე*

**ზესტაფონი**

55. ბაბუნაშვილი - **აფციაური**
66. წინამძღვრიშვილი - **ბენაშვილი**
75. ძარია - **დაუშვილი**

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ალადაშვილი, ლომია, სარდალიშვილი*

გაფრთხილება: ვებერი (11), ალადაშვილი (22), აფციაური (59)

არბიტრი: ა. კაკოსი (საბერძნეთი)

# ჩემპიონის ქუთაისური ტრიუმფი



ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამომშვიდებულმა „ზესტაფონმა" ავსტრიულ „შტურმთან" განცდილი მარცხი მალე დაივიწყა და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში „ტორპედოსთან" ურთულესი შეხვედრა მოიგო. ზესტაფონელებმა 3 ქულა ალალად მოიპოვეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „ტორპედოს" ქულის გადარჩენა შეეძლო და ესეც უფრო... ზესტაფონელთა წყალობით. ზემოიმერლებმა მატჩის ბოლოსკენ აუტკივარი თავი აიტკიეს — ჯერ **ონიანის** ხელით თამაშის გამო პენალტით დაისაჯნენ (მეგრელაძე - გოლი), შემდეგ კი **დვალს** თანამსაჯი „შემოელანძლა და მოედანი დაატოვებინეს.

იმერულ დერბის ყოველთვის ახლავს დიდი ინტრიგა და გუშინაც ასე იყო. მოედანს მართლაც იდეალური ეთქმოდა, რითაც სტუმრებმა უფრო ისარგებლეს და „ტორპედოს" კომბინაციური ფეხბურთი მოახვიეს თავს. ტემპი საკმაოდ მაღალი იყო და ორივე გუნდი თავიდანვე შეტევებზე ფიქრობდა. ზესტაფონელებმა, რომლებსაც **გია გეგუჩაძის** შეუძლოდ ყოფნის გამო მისი ასისტენტი **გია ჭიაბრიშვილმა** გაუძღვა, სწრაფ გოლზე გააკეთეს აქცენტი და **წინამძღვრიშვილი** ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ **ლონლაძის** ფლანგურ ჩაწოდებას ვერ შეწვდა. ფეროელთა შემადგენლობა საკმაოდ გადახალისებული იყო. სათადაროგოებში ალმოჩნდნენ **კვასხვაძე, ალადაშვილი, აფციაური** და **დაუშვილი**, წინა ჩემპიონატის ბომბარდირი **ნიკოლოზ გელაშვილი** კი განაცხადშიც არ იყო. მიუხედავად, ამისა ზესტაფონელები მაინც თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ და ბურთს აკონტროლებდნენ. „ტორპედოც" არ გამოიყურებოდა ურიგოდ, **გოცირიძის** დარტყმა მიზანს ასცდა, **ჩიკვილაძისა** კი **მამალაძემ** გაჭირვებით მოიგერია... შემდეგ კი მასპინძლებს აშკარად გაუჭირდათ **დვალის, გრიგალაშვილისა** და **ძარიას** შეტევების მოგერიება. აქტიური იყო წინამძღვრიშვილიც, რომელიც მცველებს დაძაბულობაში ამყოფებდა. ზესტაფონელებმა მალევე იხეირეს. მე-15 წუთზე დვალმა მცველებს დაასწრო და ვარდნაში ბურთი წინამძღვრიშვილისკენ გადააგდო, მეკარე სტატისტის როლში დარჩა, რატის კი ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია. ამის მერეც კარგი საგოლე შანსები გაუშვეს ხელიდან წინამძღვრიშვილმა, დვალმა და გრიგალაშვილმა. ფეროელთა დიდმა უპირატესობამ შედეგი, ცხადია, გამოიღო: მე-40 წუთზე **ელიავამ** საჯარიმოს გარედან გაისროლა, ბურთი **თოდუას** მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და **მიგინეიშვილის** კარში ალმოჩნდა - 2:0.

მეორე ტაიმში **გიორგი კიკნაძემ** გოცირიძის ნაცვლად ვეტერანი **გია მეგრელაძე** გამოიყვანა, რომელსაც მერე **ნიკა საბანაძე** შეუწყვილა. „ტორპედო" გააქტიურდა და ჩიკვილაძე ახლოს იყო მიზანთან, შემდეგ ბოლქვაძე ამატებდა, მაგრამ ისევ მცველებმა იმარჯვეს. ამის შემდეგ უპირატესობა ისევ „ზესტაფონის" ხელში გადავიდა, მაგრამ არაერთი გაცუდებული მომენტის შემდეგ ზესტაფონელები დაისაჯნენ. ონიანმა ხელით ითამაშა და პენალტი გოლად მეგრელაძემ აქცია. მალე დვალი გააძევეს მოედნიდან და სტუმრები უმცირესობაში დარჩნენ, თუმცა ისინი 10 კაცითაც უკეთ გამოიყურებოდნენ.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი კიკნაძე** (ტორპედო): „ზესტაფონმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა და უკეთეს კონდიციებშია, ვიდრე ჩვენი გუნდი. დღეს აშკარად გვაჯობეს და დამსახურებულად მოიგეს. მომავალი მატჩებისთვის ცვლილებები აუცილებლად იქნება"...

**გია ჭიაბრიშვილი** (ზესტაფონი) *„ფეხბურთელებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. „ტორპედოს" წარმატებებს ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, ქუთათურები მალე უკეთესად ათამაშდებიან".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

07.08. ზუგდიდი. გ. [illegible]. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 3 |
| სიონი | 0 |

1:0 გუგუჩია (8), 2:0 ქობალია (21. რიგვავას პასით), 3:0 ლომია (73. ქობალიას პასით).

| ბაია | სიონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| სომხიშვილი | ლობჟანიძე |
| რიგვავა | ლ. ჩხეტიანი |
| შონია | სვანიძე |
| აფაქიძე | თარგამაძე |
| ქვარცხავა | ა. ალავიძე |
| გუგუჩია | უგრეხელიძე |
| სიხარულია | გ. ოქროპირიძე |
| შ. ლომია | გაბრიჭიძე |
| ეხვაია | მ. ოქროპირიძე |
| წურწუმია | ისიანი |
| ქობალია | რეხვიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქობეთიანი | ჯ. ჯაგიდისი |

**ბაია**

80. ქვარცხავა - **გერგედავა**
67. სიხარულია - **კუკავა**
78. ლომია - **კ. ახალაია**

*სათადარიგოები: მაქაცარია, სვირავა, ენდელაძე, ვეკუა.*

**სიონი**

41. ა. ალავიძე - **ალფაიძე**
87. გ. ოქროპირიძე - **ნინიკაშვილი**
65. ისიანი - **ა. ნოზაძე**

*სათადარიგოები: ქუნთელია, ხარჩილავა*

გაფრთხილება: სვანიძე (55), უგრეხელიძე (65)

არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი (თბილისი)

# ზუგდიდმა რიხიანად დაიწყო

ჩემპიონატის პირველ ტურში პრობლემებით დამძიმებული კლუბები შეხვდნენ ერთმანეთს.

„სიონი" სეზონის დაწყებამდე 18-მა ფეხბურთელმა დატოვა, ჩემპიონატამდე მცირე ხნით ადრე შეიკრიბა და ერთადერთი გუნდია, რომელმაც შეკრებაც ვერ გაიარა. ცხადია, ამან მთავარ მწვრთნელად დანიშნულ **ჯონი ჯაგიდისს** თავსატეხი გაუჩინა. აკი მან მატჩის შემდეგ გვითხრა კიდეც, 4-5 ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ, თორემ ძალიან გაგვიჭირდებაო. ძნელია, არ დაეთანხმო – "სიონი" ზუგდიდში მეორე მეკარის გარეშე, მხოლოდ 16 მოთამაშის ამარა ჩავიდა და ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. მატჩის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ თუ ვითარება დროულად არ შეიცვალა, "სიონის" მთავარი საზრუნავი უმაღლესში დარჩენა იქნება.

შედარებით უკეთეს პირობებში ემზადებოდა "ბაია", რომელმაც ევროპის ლიგაზე რუსთავის "ოლიმპში" გამოცდილებამილებული **ირაკლი ქობალია**, აზერბაიჯანულ "თურანში" გასინჯვიდან დაბრუნებული მეკარე **გიორგი სომხიშვილი** და ქუთაისის "ტორპედოში" იჯარადასრულებული **ლუკა გუგუჩია** დაიბრუნა.

საერთოდ, გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ არასრული მოსამზადებელი ეტაპიც დაეტყო – გუნდი მეორე ტაიმში დაილალა. "ბაიას" გამარჯვებაში ლომის წილი დაბრუნებულებმა დაიდეს: მე-8 წუთზე კარისკენ გუგუჩია დაიძრა, საჯარიმოს ხაზთან მცველს დაუსხლტა და მეკარეს ცხრიანში დაურტყა – 1:0.

21-ე წუთზე **დათა რიგვავამ** საჯარიმოში გახსნილი ქობალია მოძებნა, რომელმაც ზუსტად დაარტყა – 2:0.

მალე მას დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ **ლევან წურწუმიას** გადაცემით **ლობჟანიძესთან** პირისპირ დარჩენილმა მას ვერ აჯობა.

73-ე წუთზე ქობალიამ საჯარიმოში **შოთა ლომია** მოძებნა და მანაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:0.

**მერაბ მამულაშვილი**
ზუგდიდი-თბილისი

# დამსახურებული ქულა

07.08. რუსთავი. ფოლადი. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 0 |
| კოლხეთი | 0 |

| მეტალურგი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-2-3-1 |
| ბათიაშვილი | ნადირაშვილი |
| მახვილაძე | ცხვიტარია |
| კვახაძე | ინწკირველი |
| ორბელაძე | შავგულიძე |
| ჯაფარიძე | ლემონჯავა |
| რაზმაძე | ცხადაია |
| ი. მაისურაძე | ლომაშვილი |
| გ. მიქაბერიძე | ჯანაშია |
| გენაძე | გვალია |
| ი. მოდებაძე | ციცხვაია |
| ტატანაშვილი | მდივნიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. ჯელაძე | ს. ფილია |

**მეტალურგი**

46. პავლიაშვილი - **ტატანაშვილი**
69. ქავთარაძე - **მიქაბერიძე**
69. მურველაშვილი - **ჯაფარიძე**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ლომაია, აბურჯანია, დობროვოლსკი*

**კოლხეთი**

55. ქებაძე - **მდივნიშვილი**
60. გულუა - **ლომაშვილი**
79. წიქარიშვილი - **ციცხვაია**

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, გელაჭეიშვილი, თედიაშვილი*

გაფრთხილება: გვალია (80)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ვერ გეტყვით, რას დავაბრალოთ, მაგრამ რუსთავში გუშინ უჩვეულოდ ცოტა გულშემატკივარი მივიდა „მეტალურგისა" და „კოლხეთის" მატჩზე. არადა, ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრა იყო თავისი „ატრიბუტებით" — ჰიმნით, დროშის აღმართვითა და ასე შემდეგ. თუმცა, „ფოლადზე" ქომაგთა სოლიდური რაოდენობა რომც მოსულიყო, მასპინძელთა გუნდს, ალბათ, ვერც ეს უშველიდა: „მეტალურგმა" უფერულად ითამაშა და სამწვრთნელო შტაბსაც უამრავი საფიქრალი დაუტოვა. მასპინძელთა ერთობ არადამაჯერებელი თამაში ვინმემ, შესაძლოა, გადაღლილობასაც დააბრალოს — ისინი საფრანგეთიდან სამშობლოში პარასკევს დაბრუნდნენ და „კოლხეთთან" მატჩამდე, ალბათ, ძალების აღდგენაც ვერ მოასწრეს. თუმცა, რაც უნდა „ვამართლოთ" მასპინძლები, სტუმართა მონდომებაც არ უნდა დავივიწყოთ: „კოლხეთის" გამოცდილმა თავკაცმა **სოსო ფილიამ** სწორი ტაქტიკა აირჩია და რუსთავიდან დამსახურებული ქულაც წაიღო. ეგ კი არა, „კოლხეთის" გამარჯვებაც არ იქნებოდა სენსაცია, — სტუმრებს არც აქტიურობა დაეწუნებოდათ და ერთი-ორ ეპიზოდში „მეტალურგის" მეკარე **ზურაბ ბათიაშვილს** რომ არ ევაჟკაცა, ფოთელები ჩემპიონატს გამარჯვებით დაიწყებდნენ.

„მეტალურგი" ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა, „კოლხეთში" კი ოთხი ახალწვეული (**ლადო ნადირაშვილი, ლევან შავგულიძე, ვაჟა ლომაშვილი, გიორგი ცხადაია**) ვიხილეთ, პლუს ხანმოკლე პაუზის მერე გუნდში დაბრუნებული **დავით ციცხვაია.**

„კოლხებმა" მატჩი აქტიურად დაიწყეს და მალევე შორი მანძილიდან ორჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით. სამაგიეროდ, „მეტალურგის" პირველივე შეტევა სახიფათო გამოდგა, თუმცა **რევაზ გენაძის** ფლანგური გარღვევის მერე მასპინძლებმა ბურთის კარში გადაგზავნა ვერ შეძლეს. პირველ ტაიმში „მეტალურგს" მეტი ხიფათი არ შეუქმნია — თუ არ ჩავთვლით **ალექსანდრე კვახაძის** შორეულ დარტყმას, ლადო ნადირაშვილი უპრობლემოდ რომ გაუმკლავდა. აი, სტუმრები კი, მოედნის ცენტრს გადალახავდნენ თუ არა, შორი თუ საშუალო მანძილიდან კარში ურტყამდნენ! დავით ციცხვაიას შორეული „გასროლა" ბათიაშვილმა იოლად მოიგერია, ვაჟა ლომაშვილის ასევე შორეული დარტყმის შემდეგ კი „მეტალურგის" მეკარეს საკუთარი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა. შორეული დარტყმების გარდა, „კოლხები" იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ პრესინგს თამაშობდნენ და საკუთარიდან მეტოქის ნახევარზე სწრაფი და მოკლე პასებით (თან ერთი შეხებით) გადადიოდნენ. სტუმართა ტაქტიკაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაკისრებული **ლაშა გვალიას** — 19 წლის შემტევი ნახევარმცველი მოულოდნელი თამაშითა და არასტანდარტული მოქმედებებით გუშინ ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. ისევ პირველ ტაიმს დავუბრუნდეთ, რომლის ბოლო წუთებზეც მასპინძლები... ორჯერ გადარჩნენ! ჯერ იყო და, კუთხურის შემდეგ **გიორგი ლემონჯავა** მარტო აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ „კოლხეთის" მარცხენა მცველმა თავით არაზუსტად დაარტყა. არანაკლებ ინერვიულეს მასპინძელთა ქომაგებმა იმ ეპიზოდშიც, როცა **ზამირ ჯანაშიას** აქტიურობის შემდეგ **სერგი ორბელაძეს** ბურთი აეჭრა და ავტოგოლსაც ცოტაღა დააკლდა. სხვათა შორის, მეორე ტაიმში მსგავსი რამ სტუმართა საჯარიმოშიც მოხდა, როცა **პაატა ცხვიტარია** ბურთს თავით იგერიებდა და კინაღამ საკუთარი კარი დალაშქრა. ამ ეპიზოდის გარდა მეორე ტაიმში „მეტალურგს" მხოლოდ ერთი (!) სახიფათო მომენტი ჰქონდა: რევაზ გენაძემ საჯარიმო დარტყმა ოსტატურად კი შეასრულა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. „კოლხეთი" კი კვლავაც შორეული დარტყმებით ცდილობდა გატანას, მაგრამ ხან ბათიაშვილი თამაშობდა დამაჯერებლად, ხან კი სტუმრებს სიზუსტე აკლდათ. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მატჩის ბოლო წუთებზე, მასპინძელთა შტურმის მოლოდინში... სახიფათო მომენტებს სტუმრები ქმნიდნენ! ყურადღების ცენტრში ორივეჯერ შეცვლაზე შესულები მოექცნენ: ჯერ **მანუჩარ წიქარიშვილს** შეეძლო „სამქულიანი" დარტყმის შესრულება, რასაც 20 წლის **ლევან გულუას** ოსტატური შორეული დარტყმა მოჰყვა და „მეტალურგი" ისევ და ისევ ზურაბ ბათიაშვილის რეაქციამ გადაარჩინა!

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## საქართველოს ჩემპიონატი

# დინამო გასაგებია, სპარტაკი ყოჩაღ

### ცხინვალელები გაძლიერებას და ხუთეულს აპირებენ

07.08. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| დინამო | 2 |

0:1 კოტო (7, ჩისკოს პასით), 0:2 ჩისკო (26), 1:2 შალამბერიძე (30, კილასონიას პასით)

| სპარტაკი | დინამო |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| ზარქუა | ლორია |
| ციმაკურიძე | ოდიკაძე |
| კვარაცხელია | თომაშვილი |
| ბოიომო | კაკუბავა |
| ტეტუნაშვილი | რეხვიაშვილი |
| ალავიძე | კვეკვესკირი |
| თ. შონია | კოშკაძე |
| კილასონია | ჩისკო |
| შალამბერიძე | კოტო |
| ჯიქია | იაგუე |
| მეტრეველი | კახელიშვილი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **ბ. კვარაცხელია** | **ა. გარსია** |

**სპარტაკი**

59. თ. შონია- **მამუჩიშვილი**
60. ალავიძე - **ბურძენაძე**
85.მეტრეველი- **ბუზალაძე**

სათადარიგოები: **ძაგანია, სეფიაშვილი, მაისურაძე, კაკაშვილი.**

**დინამო**

46. ოდიკაძე - **ჰომოლა**
66. კოტო - **ლექვთაძე**
74. კახელიშვილი - **რობერტინიო**

სათადარიგოები: *გრიშიკაშვილი, ჯილაური, თეძთურმანიძე, ბერაია.*

გაფრთხილება: კვარაცხელია (19), ოდიკაძე (43), ჯიქია (44), კვეკვესკირი (49), ციმაკურიძე (47), შალამბერიძე (52), ბოიომო (69)
არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

*„გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ. ხუთშაბათს საკმაოდ დამღლელი თამაში გვქონდა და მიზეზად, ალბათ, ეს უნდა დავასახელოთ. მოწინააღმდეგე ძალიან მომეწონა, ბოლომდე, ჟინიანად ითამაშა,“* - თქვა ნამატჩევს თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ.**

ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი მრავალგზის ჩემპიონსა და ცხინვალის „სპარტაკს“ შორის უჩვეულო გარემოში, ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მოედანზე გაიმართა. გახსნის ცერემონიალი არ ჩატარებულა, არც ჰიმნი აჟღერებულა და, კაცმა რომ თქვას, არც დროშის აღსამართი ადგილი იყო სადმე.

ცხადია, ამას გუნდებისთვის ხელი არ შეუშლია, საინტერესოდ და უშელავათოდ ებრძოლათ. ერთადერთი, რაც იქაურობას „სრული ბედნიერებისთვის“ აკლდა, ხმაურიანი ქომაგი იყო.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო „დინამოს“ თავკაცს. სპარტაკელებმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და წლეულს საგრძნობლად მოლონიერებულ თბილისელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, მინიმუმ ფრეს გამოჰკრავდნენ ხელს.

არადა, „დინამოს“ ანგარიშის გახსნა დებიუტშივე შეეძლო. მე-7 წუთზე ცხინვალელებმა მარცხენა ფრთაზე წამოიწყეს იერიში, თუმცა ზედ საჯარიმოს მისადგომებთან **ალექსანდრე კოშკაძემ კობა შალამბერიძის** გადაცემა ჩაჭრა და ბურთი **ჩისკოს** გაატანა, მან კი ოდნავ წაიწია და გამჭოლი გადაცემით კარის წინ მარჯვენა ნახევარმცველი **კოტო** დატოვა, რომელმაც ერთი შეხებით ბურთი დაბალ კუთხეში გაგზავნა — 1:0.

კოტოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ფლანგზე ძალიან აქტიური იყო და ვიზავი **ბადრი ტეტუნაშვილს** თითქმის ყველა დუელი მოუგო. შესაბამისად, ხიფათი სპარტაკელთა კართან სწორედ მარჯვენა ფრთიდან, კოტოს გარღვევებით იქმნებოდა. ამას ვერაფრით ვიტყვით მარცხენაფლანგელ **გიორგი კახელიშვილზე** და, როგორც ჩანს, გარსიამ ფლანგის ნახევარმცველთა თამაშში ეს კონტრასტი დროულად შენიშნა და მე-20 წუთზე მათ ადგილები გააცვლევინა.

ამ ტაქტიკურმა გადაადგილებამ შედეგი მალევე გამოიღო. 26-ე წუთზე კოტომ უკვე მარცხენა ფრთაზე წამოიწყო შეტევა. მის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული მაღალი ბურთის თავით გამოტანა **გიორგი ალავიძემ** სცადა, მაგრამ საჯარიმოშივე ის ჩისკოს ნადავლი შეიქნა. ესპანელმა ბურთი სწრაფად დაამუშავა და **თორნიკე ზარქუას** აუღებელი დაურტყა - 2:0.

ცხადია, უსაქმოდ არც „სპარტაკის“ წინახაზელები იყვნენ. ისინი მეორე გოლის შემდეგ უფრო გააქტიურდნენ, მით უფრო, რომ მეტოქის თამაშს ალღო აუღეს. პირველი საგოლე სიტუაცია „დინამოს“ კართან 28-ე წუთზე შეიქმნა, როცა **რეზო ჯიქიამ** თავით ხუთი მეტრიდან კარს გადააცილა ბურთი.

ორ წუთში კი გოლიც გამოცხვა. **ვარლამ კილასონიამ** მოედნის შუაგულში ბურთი ბრძოლით მოიპოვა და შესანიშნავი გადაცემით შალამბერიძე თბილისელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა. შემტევმა **გიორგი ლორიას** გვერდი აუარა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა - 1:2.

ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „სპარტაკს“ ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო. ლორიასთან პირისპირ ამჯერად ჯიქია დარჩა. ამ ეპიზოდში „დინამოს“ მეკარემ დიდოსტატურად ითამაშა. მან ჯერ დაბალი დარტყმული ჯიქიას აუღო, მისგან ასხლეტილ ბურთს შალამბერიძემ მიუსწრო, მაგრამ ლორიამ მასაც აჯობა.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და უგოლოდ დასრულდა. გატანის რეალური შანსი „სპარტაკს“ ჰქონდა: **გივი კვარაცხელიამ** ხუთიოდე მეტრიდან თავით გატანა სცადა, ლორიამ კვლავ ივარგა, მოგერიებული ბურთი კი **ბოიომომ** მიზანს ააცილა...

თამაშს ევროპის ლიგის გათამაშებაში „დინამოს“ მომდევნო მეტოქის, ათენის „აეკის“ ემისრები ესწრებოდნენ.

**მატჩის შემდეგ:**

ალექს გარსია (დინამო): *„არა მგონია, რომ ჩვენი გუნდის ცუდი თამაში დაცვის ხაზის ბრალი იყოს. მოთამაშეებს კონცენტრაცია აკლდათ და ეს გავლენას მცველთა მოქმედებაზეც ახდენდა.“*

ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი): *„შედეგით კმაყოფილი არ ვარ, რასაც ვერაფრით ვიტყვი გუნდის თამაშზე. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. სამწუხაროდ, მათი გამოყენება ვერ შევძელით.*

*ამჟამად მოლაპარაკება გვაქვს ოთხ ფეხბურთელთან, რომლებსაც, ალბათ, მალე დავიმატებთ. ამისა და გუნდის დღევანდელი თამაშის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანი მოწინავე ხუთეულში დამკვიდრებაა.“*

**ბესიკ ჯანგავაძე**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## უმაღლესი ლიგა. I ტური


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, დასაწყისი!

### დილა ბევრს მძიმე დღეს გაუთენებს

06.08. მცხეთა. მცხეთა პარკი. 600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 4 |
| დილა | 3 |

1:0 ჯულელი (37. კორიფაძის პასით), 1:1 ნ. ნოზაძე (42. პენ.), 2:1 ჯანელიძე (51. პენ.), 2:2 ნ. ნოზაძე (69), 2:3 ახალკაცი (71. რაჟამაშვილის პასით), 3:3 კასრაძე (76. ჯანელიძის პასით), 4:3 კორიფაძე (90. ვაშაკიძის პასით)

| ვიტ ჯორჯია | დილა |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-4-2 |
| ა. მიქაბერიძე | მერლანი |
| ხურცილავა | ლომიძე |
| ადამაძე | ძარქუზაშვილი |
| კასრაძე | მაჭავარიანი |
| ღანიაშვილი | შათირიშვილი |
| გურამ გურეშიძე | რაჟამაშვილი |
| ვასაძე | ჯოჯუა |
| კორიფაძე | ნ. ნოზაძე |
| ჯანელიძე | სტეფნიაშვილი |
| ჯულელი | დ. ჩაგელიშვილი |
| ჩიმაკაძე | გ. თოლუა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **ზ. ბერიძე** | **გ. ცეცაძე** |

**ვიტ ჯორჯია**

46. ჯულელი – **ვაშაკიძე**
54. ჩიმაკაძე – **სიხარულიძე**
84. ვასაძე – **გიორგი გურეშიძე**

სათადარიგოები: *ძაძამია, მაისაშვილი, გოგიაშვილი, ჯავაშვილი*

**დილა**

56. დ. ჩაგელიშვილი – **ახალკაცი**
64. გ. თოლუა – **გოგინაშვილი**
67. სტეფნიაშვილი - **მურადაშვილი**

სათადარიგოები: *შეყრილაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ჭითანავა, სადალაშვილი*

გაფრთხილება: ჯანელიძე (11), ადამაძე (15), შათირიშვილი (34), ღანიაშვილი (41), გურამ გურეშიძე (75), ჯოჯუა (75)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ნეტა, ასეთი სანახაობა ჩვენი ჩემპიონატის ყოველ ტურში ერთხელ მაინც გაიმართოს! მცხეთაში ნამდვილი საფეხბურთო თრილერი ვიხილეთ, რომლის ორივე მონაწილესაც მადლობა ეკუთვნის. მატჩი თავიდან ბოლომდე ორმხრივი შეტევებით წარიმართა და 3:3-ზეც ვერ იტყოდი, ვინ შეძლებდა გამარჯვების გოლის გატანას. იმის შეგრძნება კი ნამდვილად გვქონდა, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა და მიზანს უფრო გამოცდილმა "ვიტ ჯორჯიამ" მიაღწია. არადა, ნასაგებად მასპინძლებიც და სტუმრებიც ცოდოები იყვნენ. "ვიტ ჯორჯია" რომ ქართული საზომებით სერიოზული კლუბია, ეს აქამდეც ნათელი იყო, "დილამ" კი თავისი შემტევი და კომბინაციური ფეხბურთით შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და დღესვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლეს ლიგას ძლიერი და საინტერესო გუნდი შეემატა.

მცხეთის განახლებულ სტადიონზე მცხეთელ და გორელ ქომაგებთან ერთად თამაშს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და "დინამოს" თავკაცი **ალექს გარსია** დაესწრნენ. ამ უკანასკნელის ყურადღების არეში "ვიტ ჯორჯია" უფრო უნდა ყოფილიყო, რადგან ჩემპიონატის მეორე ტურში "დინამო" სწორედ ვეტერინარებს ხვდება.

მატჩში მრავლად იყო გამოუყენებელი საგოლე მომენტი, მაგრამ მარტო გოლების გახსენებაც საკმარისი უნდა იყოს. **გიგა ჯულელმა** ანგარიში **გიორგი კორიფაძის** გამჭოლი გადაცემით გახსნა, პირველი ტაიმის ბოლოს კი **რევაზ ღანიაშვილმა** საკუთარ საჯარიმოში **თორნიკე სტეფნიაშვილს** მაისურზე დაქაჩა და პენალტი **ნოდარ ნოზაძემ** გამოიყენა.

შეხვედრა შესვენების შემდეგ უფრო კარგი სანახავი იყო. თერთმეტმეტრიანის მომპოვებელმა სტეფნიაშვილმა საკუთარ საჯარიმოში თავად დაარღვია წესი და კორიფაძე წააქცია. პენალტი დაზარალებულმა გამოიყენა – 2:1.

შეცვლაზე შესულმა გამოცდილმა **რომან ახალკაცმა** "დილას" თამაში უფრო გაამწვავა და გორელებმა ორწუთიან ინტერვალში ორჯერ გაიტანეს. ჯერ ნოზაძემ საჯარიმოს გარედან ულამაზესად გაისროლა "ცხრიანში", შემდეგ კი ახალკაცმა **დავით რაჟამაშვილის** პასით იხეირა. "დილას" ლიდერად სწორედ რაჟამაშვილი ჩანს, ეს ახალგაზრდა შესანიშნავი ტექნიკითა და მოედნის ხედვით გამოირჩევა.

76-ე წუთზე "ვიტ ჯორჯიამ" სტანდარტით ისარგებლა – ჯანელიძის ჩაწოდებული საჯარიმო **ლაშა კასრაძემ** თავურით დააგვირგვინა, ოთხ წუთში კი მიზანმა ოდნავ უმტყუნა და ბურთი ხარიხას გაარტყა.

ბოლო წუთებში ნათელი გახდა, რომ ფრე არავის უნდოდა, რაჟამაშვილს კარგი შანსი გაუცუდდა, დაუწერელი საფეხბურთო კანონი კი მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე ამოქმედდა და შეცვლაზე შესული **გიორგი ვაშაკიძის** პასით კორიფაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

**მატჩის შემდეგ**

**ზურაბ ბერიძე** ("ვიტ ჯორჯია"): *"ვიცოდი, რომ "დილა" ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მოუმატებს და უმაღლეს ლიგაში თავის სათქმელს იტყვის. მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც გამარჯვებისთვის თავი არ დაზოგეს".*

**გია ცეცაძე ("დილა"):** *"მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. შედეგით, ბუნებრივია, უკმაყოფილო ვარ, თამაშის ხარისხი კი ნორმალური იყო. დაცვაში პრობლემები გვქონდა, რადგან პირველი ტურისთვის ვალტერ ხორგუაშვილისა და ოლეგ გველესიანის განაცხადში შეყვანა ვერ მოვასწარით. მათ გარდა, პავლე ხორგუაშვილიც დაგვემატება და ვფიქრობ, უკეთ ავთამაშდებით".*

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი
ავტორის ფოტო

# დილამ ბოლოსაც შეიმატა

გორის "დილამ" ჩემპიონატის განახლებამდე ორი დღით ადრე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა – 24 წლის ცენტრალური მცველი **ნოდარ მაჭავარიანი** დაიმატა.

მაჭავარიანი ქუთაისის "ტორპედოდან" თბილისის "დინამოში" ზაფხულში გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ კლუბები დროულად ვერ შეთანხმდნენ და მცველი განაცხადის მიღმა დარჩა.

*"დინამომ" ევროპის ლიგაზე სამი ეტაპი უკვე ითამაშა, მე კი განაცხადშიც არ ვიყავი და ვამჯობინე, იჯარით "დილაში" წავსულიყავი, სათამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა. კლუბები შეთანხმდნენ და იჯარა დეკემბრამდე გაფორმდა"* – გვითხრა მაჭავარიანმა.

შევიტყვეთ, ისიც რომ ახლო წარსულში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **მიხეილ ხუციშვილი** "დილაში" გუნდის უფროსად დაინიშნა. იგი ბოლოს ნოვი სადის "ვოივოდინაში" თამაშობდა, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო კარიერა ნაადრევად დაასრულა და მენეჯერობა დაიწყო.

**მერაბ მამულაშვილი**

## ინფრასტრუქტურა

# ჰა ბურთი, ჰა მოედანი სიჭინავასგან

### ჯვაროსნები ახალი წესრიგისთვის

სულზე მოგვისწროო, ამაზეა ნათქვამი: რომ არა „მიხეილ მესხის“ რეკონსტრუქცია, კერძოდ კი, ამ სტადიონზე მოედნის საფრის გამოცვლა, უეფასთვის შესათავაზებელ-სათხოვნელიც არაფერი გვექნებოდა და გამოვჭენდებოდით დუნიაზე — ქვეყანას სანაკრებო თამაშის სამასპინძლოდ ვარგისი მოედანი არ მოეძევებაო. ჩვენს ფედერაციას იმედი აქვს, რომ უეფა მის თხოვნას გაითვალისწინებს და ლატვიელებთან ვაკეში, ჯერაც განახლების რეჟიმში მყოფ სტადიონზე გვათამაშებს, ეროვნული არენის ამბავი კი ცალკე წერილის თემაა.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრძელდება – ვაკის არენა სასექტემბრო თამაშებისთვის ემზადება. სამუშაოთა პირველი ეტაპი კი 1-ლი სექტემბრისთვის დამთავრდება.

*"ადრე ამბობდნენ, ჰა ბურთი, ჰა მოედანიო, მაგრამ როდესაც პრეზიდენტად ამირჩიეს, არც ბურთი დამხვდა და არც მოედანი. ამიტომ ვუთმობ დიდ დროსა და ყურადღებას სტადიონებისა და მოედნების განახლებას, იქნებ, მომდევნო პრეზიდენტს მაინც დავახვედრო ბურთი და მოედანი. "მიხეილ მესხზე" მეორე სტადიონის მოწყობაც ძალიან წაგვადგება, რადგან პატარა, კოხტა სტადიონი ჩვენი კლუბებისთვის ზედგამოჭრილი იქნება. სამუშაოთა მეორე ეტაპი 15 სექტემბრიდან დაიწყება და მთავარ არენაზე სკამების გამოცვლის პარალელურად მეორე, სათადარიგო სტადიონისა და მოედნის განახლებასაც შევუდგებით. მესამე ეტაპი 2012 წლის იანვარში დაიგეგმა, მოწესრიგდება ვიპზონები, დაინერგება ახალი სერვისები, დაიწყება სასტუმროებისა და კომერციული ფართების მშენებლობა – რესტორნების, სპორტბარების, კომპლექსური მაღაზიების,"* – გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ.**

„მიხეილ მესხზე“ ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბ „ჯვაროსნების“ აქციაც გაიმართა, შემდეგ კი ფედერაციის პრეზიდენტმა და ფანებმა მემორანდუმი გააფორმეს.

*"მემორანდუმის პირობებით, ფედერაცია გულშემატკივრებს დაეხმარება ფინანსური და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. მათი რიგებიდან მოვამზადებთ 25 სტიუარდს, რომლებიც სტადიონზე მოსულ ქომაგებს გაარკვევენ, სად არის კვების ობიექტები, მედპუნქტი, სველი წერტილები... ეს ევროპაში მიღებული წესია და ახალ ტენდენციებს ფეხი უნდა ავუწყოთ. სხვათა შორის, სტიუარდების მომზადებაში დახმარება უკრაინის ფედერაციის პრეზიდენტს ვთხოვეთ, რათა ამ პროფესიის ათვისების მსურველმა ახალგაზრდებმა საკუთარი თვალით ნახონ, როგორ ემზადებიან მაღალი რანგის მატჩებისთვის, რა კომერციული სტრუქტურებია სტადიონზე... სასურველია, მოვიზიდოთ განათლებული ადამიანები,"* – გვითხრა სიჭინავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# მერანის მარცხიანი სტარტი მერანზე



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

07.08. თბილისი. მერანი.
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 3 |
| მერანი | 0 |

1:0 სიჭინავა (23), 2:0 კვანტალიანი (47), 3:0 ტყეშელაშვილი (58. ნაკონეჩნის პასით)

| გაგრა | მერანი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| სეფიაშვილი | გ. შენგელია |
| ნ. ჯიშკარიანი | კაკუშაძე |
| ზ. ჩხეტიანი | იოგაშვილი |
| ტყეშელაშვილი | გ. ქვანია |
| კალანდაძე | სუხიაშვილი |
| ხუციძე | ჩალაძე |
| ნაკონეჩნი | გ. მანწკავა |
| სიჭინავა | იატრო |
| შარიქაძე | ე. გრიგალაშვილი |
| კვანტალიანი | კუჭუხიძე |
| ორდინსკი | ამბროლაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. პისკოვეცი | მ. ქვანია |

**გაგრა**

72. კალანდაძე – **გაბუნია**
84. ორდინსკი – **ქოხონელიძე**
86. სიჭინავა – **ჭკუასელი**

*სათადარიგოები: ბეგაშვილი, ქართველიშვილი, ყურულაშვილი, ზვიადაძე*

**მერანი**

54. ჩალაძე – **სამადაშვილი**
57. კუჭუხიძე - **ტაკე**
63. იატრო – **წოწორია**

*სათადარიგოები: შეროზია, თ. შალიკაშვილი, ჭაფოძე, ტორაძე*

გაფრთხილება: კვანტალიანი (26), ქვანია (69), ნაკონეჩნი (78)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

მარტვილელებს უმაღლეს ლიგაში დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდათ. შესაძლოა, "მერანი" გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს არ იმსახურებდა, მაგრამ შედეგი მაინც ლოგიკური იყო, უმთავრესად, იქიდან გამომდინარე, რომ "გაგრამ" ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, ჩვეულ სტილში, სწრაფად და პრაგმატულად ითამაშა და საგოლე მომენტების დიდი ნაწილიც გამოიყენა, მაშინ, როცა სტუმრები შეტევის დასკვნით ნაწილში ღირებულს ვერაფერს აკეთებდნენ, ხიფათს ვერც კომბინაციებით ქმნიდნენ და შორეული დარტყმებიც ძალიან არაზუსტი გამოსდიოდათ.

მატჩი **ანატოლი პისკოვეცის** გუნდის უპირატესობით დაიწყო, **მიკოლა ნაკონეჩნიმ** შორეული დარტყმით ორჯერ შეაწუხა **გიზო შენგელია**, ანგარიში კი პირველი ტაიმის შუა წუთებში დაახლოებით 25 მეტრიდან **დათა სიჭინავამ** ძალიან ლამაზი დარტყმით გახსნა. შესვენებამდე საინტერესო არაფერი მომხდარა, მეორე ნახევარში კი "მერანის" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 47-ე წუთზე მარტვილელები უკვე განწირულნი იყვნენ. მეკარე შენგელიამ **ვლადიმირ ორდინსკის** დარტყმული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, დამატებაზე კი ყველას **შალვა კვანტალიანმა** დაასწრო – 2:0.

58-ე წუთზე "გაგრამ" წერტილი დასვა – ნაკონეჩნის მიერ ჩაწოდებულ ჯარიმას მასპინძელთა კაპიტანი **გიორგი ტყეშელაშვილი** გამოეხმაურა და "მერანის" კარი თავურით დალაშქრა.

მოკლედ, "მერანზე" "მერანმა" ლოგიკური მარცხი განიცადა. "გაგრამ" ჩემპიონატი დაგეგმილი სამი ქულით დაიწყო, მარტვილელებს კი, წესით, ამაზე მეტი შეუძლიათ, რასაც ყველაზე უკეთ, ალბათ, შინ დაამტკიცებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**II ტური**

**14 აგვისტო. კვირა**

სიონი-გაგრა
დილა-ტორპედო
დინამო-ვიტ ჯორჯია *Live*
მერანი-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი
მეტალურგი-ბაია

განვლილი უქმეები ქართველებისთვის დიდად გამორჩეული ვერ გამოდგა, თუმცა **ალექსანდრე იაშვილზე** შეჩერება ნამდვილად ღირს – "კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა მოედანი უგოლოდ არც ამჯერად დატოვა და თავისიანებს ამჯერად "აუეს" ძლევაში დაეხმარა. იაშვილმა ამ სეზონში 4 ოფიციალური მატჩი ითამაშა და 3 გოლი გაიტანა, რითაც მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში II-IV ადგილებს იყოფს.

**ლევან კობიაშვილისთვის** პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება უილბლო გამოდგა. "ნიურნბერგთან" შინ წაგება "ჰერტას" ამბიციურ ქომაგებს ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს. ვეტერანმა ქართველმა ამჯერადაც დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო.

დაიწყო ჰოლანდიის ჩემპიონატი და "ვიტესის" მთავარ გუნდში დებიუტი **გიორგი ჭანტურიას** ჰქონდა. მანაც და არნემელთა ახალმა კაპიტანმა **გურამ კაშიამაც** სრულად ითამაშეს და, მართალია, ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ იმ გუნდისთვის, რომელიც წინა სეზონში ელიტიდან გავარდნას ბეწვზე გადაურჩა, არც სტუმრად მიღწეული ფრე უნდა იყოს დასაწუნი შედეგი.

რუსული პრემიერლიგის განვლილი ტურის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება გროზნოში გაიმართა, სადაც მატჩი სტადიონზე შუქის ჩაქრობის გამო შეწყდა, მაგრამ პრობლემა დროულად მოგვარდა და მოსკოვის "სპარტაკმა" "ტერეკს" 4:2 აჯობა. ამაში **ჯანო ანანიძეს** განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანია, რადგან ამჯერად "სახალხო გუნდის" ძირითადში ველარ მოხვდა და მოედანზე მხოლოდ შეხვედრის უკანასკნელი წუთები გაატარა. თუმცაღა ბოლო ორი გოლი სტუმრებმა სწორედ ჯანოს თამაშისას გაიტანეს. ქართველები მინდორზე ერთმანეთს ვერ შეხვდნენ — ტერეკელი **ლევან გვაზავა** მეკარე **ჯანაევის** გაძევებისთანავე შეცვალეს და მის ნაცვლად თამაშში სათადარიგო კიპერი ჩართეს.

უქმეების ერთ-ერთი გამორჩეული ჩვენიანი **ნუკრი რევიშვილია**, რომელიც "ტომთან" ჩინებულად გაისარჯა და "ანჟი" გოლისგან რამდენიმეჯერ იხსნა. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, "ვოლგაში" მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა, "კრასნოდარის" შემადგენლობაში კი სადებიუტო მატჩი ჩაატარა **ოთარ მარცვალაძემ**.

მეორე ქართული გოლი კი უნგრეთში **რატი ალექსიძემ** გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კობი ბუნდესლიგაში უილბლოდ დაბრუნდა

უმაღლესი ლიგა. I ტური

# დიდი ვერაფერი: ორი გოლი და ორი დებიუტი

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. I ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | ნიურნბ. | 0:1 (შ) | 90 წთ, გაფრ. | 2 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | აუე | 2:0 (გ) | 90 წთ, გოლი, გაფრთ | 4 თ, 3 გ. |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. II ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ტური | 0:1 (შ) | სათად. | 1 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ნანტი | 2:0 (გ) | არ უთამ. | 0 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| საბა კვირკველია | 19 | რუბინი | ნალჩიკი | 1:0 (გ) | 90 წთ, გაფრთ | 2 თ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ყუბანი | 1:1 (შ) | 9 წთ (შეცვლაზე) | 9 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ტომი | 2:0 (შ) | 90 წთ | 16 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ამკარი | 2:0 (ს) | 20 წთ (შეცვლაზე) | 13 თ, 5 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ამკარი | 2:0 (ს) | 90 წთ, გაფრთ | 14 თ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | სპარტაკი | 2:4 (შ) | 50 (შეცვალ) გაფრთ | 13 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | როსტოვი | 0:1 (შ) | დისკვ. | 16 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | როსტოვი | 0:1 (შ) | არ უთამაშია | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | როსტოვი | 0:1 (შ) | 46 წთ (შეცვლაზე) | 8 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | როსტოვი | 0:1 (შ) | არ უთამაშია | 12 თ, 1 გ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ზენიტი | 0:1 (ს) | 58 წთ (შეცვალეს) | 14 თ, 1 გ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. V ტური** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | შახტარი | 0:2 (ს) | 46 წთ (შეცვალეს) | 4 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | შახტარი | 0:2 (ს) | 90 წთ | 5 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ვორსკლა | 2:0 (გ) | 63 წთ (შეცვალეს) | 5 თ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ობოლონი | 0:0 (შ) | სათად. | 1 თ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ჩერნომორ | 1:1 (ს) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | ვოლინი | 1:2 (შ) | არ უთამაშია | 1 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | მეტალ. (დ) | 1:0 (შ) | 90 წთ | 5 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ალექსანდ. | მეტალისტი | 1:2 (ს) | 77 წთ (შეცვალეს) | 5 თ, 1 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | დინამო | 0:2 (ს) | არ უთამაშია | 1 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. I ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | დენ ჰააგი | 0:0 (გ) | 90 წთ | 1 თ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | დენ ჰააგი | 0:0 (გ) | 90 წთ, გაფრთ | 1 თ |
| **ავსტრია. თასი. 1/32 ფინალი** | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | გრიოდიგი | 4:0 (გ) | 49 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| **შვეიცარია. სუპერ ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | თუნი | 0:0 (გ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| **დანია. სასლიგა. IV ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | სონდერისკე | 1:3 (გ) | ტრავმა | 0 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | სონდერისკე | 1:3 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | სონდერისკე | 1:3 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **უნგრეთი. ნბ-1. II ტური** | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | კაპოშვარი | 1:0 (შ) | 90 წთ | 4 თ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | კაპოშვარი | 1:0 (შ) | 90 წთ, გაფრ | 4 თ |
| რატი ალექსიძე | 32 | დიორი | შიოფოკი | 1:0 (გ) | 75 წთ (შეცვლ.), გოლი | 4 თ, 1 გ |
| **იაპონია. ჯეილიგა** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ვენტფორ. | 2:0 (გ) | 6 წთ, შეცვლაზე | 20 თ, 4 გ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | ინტერი | 0:2 (გ) | 90 წთ | 3 თ, 1 გ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

# ვან პერსი ჩხუბობს, ფაბრეგასი ფულზე უარს ამბობს



„არსენალმა“ კიდევ ერთი ამხანაგური თამაში წააგო — ლისაბონში „ბენფიკასთან“ 2:1 დამარცხდა. და როგორც ჩანს, „მეთოფეთა“ გუნდში ბევრს ნერვები მართლა ცუდ დღეში აქვს: **რობინ ვან პერსიმ** იჩხუბა.

28 წლის ჰოლანდიელ თავდამსხმელს 24 წლის არგენტინელი მცველი **ეზეკიელ გარაი** პირველი ტაიმის მე-40 წუთზე უეხეშა. ვან პერსიმ წყენა გულში ჩაიდო და როდესაც მსაჯმა შესვენება გამოაცხადა, ბენფიკელს გინებით მივარდა. გინებაზე გარაიმ ჰოლანდიელს ხელი ჰკრა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. გაოცებული თანაგუნდელები იძულებულები გახდნენ ინციდენტში ჩარეულიყვნენ.

გაშველების შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ ვან პერსისთან ლისაბონელთა სხვა არგენტინელი ფეხბურთელი, 25 წლის ნახევარმცველი **ენცო პერესი** მივიდა. ვან პერსიმ და პერესმა ერთმანეთს ხელი არ შეახეს, მაგრამ ლანძღვა-გინება არ დაუკლიათ. მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** თავისი თავდამსხმელი, რომელსაც ადგილზე ექიმების დახმარება დასჭირდა, მეორე ტაიმში აღარ ათამაშა.

უნდა ითქვას, რომ სანამ ვან პერსი მოედანზე იყო უპირატესობა „არსენალს“ ჰქონდა — მომენტები „ბენფიკას“ კართან იქმნებოდა. 31-ე წუთზე ჰოლანდიელმა **ალექს სონგის** პასით ანგარიში გახსნა, თუმცა მეორე ტაიმში თავი „მეთოფეთა“ დაცვის პრობლემებმა იჩინა და შეცვლაზე შესულებმა, **პაბლო აიმარმა** და **ნოლიტომ** გამარჯვება პორტუგალიის გუნდს მოუტანეს.

„არსენალი“ „ბენფიკას“ **სესკ ფაბრეგასისა** და **სამირ ნასრის** გარეშე ეწვია. მოგეხსენებათ, ესპანელ და ფრანგ ნახევარმცველებს სხვა გუნდებში უნდათ გადასვლა. განსაკუთრებით აღელვებული 24 წლის ფაბრეგასი გახლავთ. მას იმდენად მობეზრდა თავისი მდგომარეობა, რომ მზად არის 4 მილიონი ფუნტის პრემიებზე თქვას უარი ოღონდ კი „ბარსელონაში“ გაუშვან — როგორც ირკვევა „მეთოფეთა“ კაპიტანს, კონტრაქტის თანახმად, დარჩენილ 4 წელიწადში ხელფასის გარდა სხვა გვარიანი თანხაც ერგება, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მზად არის ეს ფული ლონდონელებს დაუტოვოს. ვენგერმა კი მისი ლისაბონში არყოფნა კვლავ ისეთი მიზეზით ახსნა, რომელიც ტრანსფერსა და დაძაბულ ურთიერთობებთან არ არის დაკავშირებული:

*„სესკი ტრავმირებული არ არის, ის ჩვეულებრივ ვარჯიშობს, უბრალოდ, ბოლოს ორთვენახევრის წინ, „ბოლტონთან“ ითამაშა და ამიტომ დღეს მოედანზე გასასვლელად მზად არ იყო. რაც შეეხება მისი წასვლა-დარჩენის საკითხს, ეს გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა“.*

ცნობისთვის: 4 მილიონ ფუნტს, რომელიც „არსენალმა“ ფაბრეგასს კლუბიდან წასვლის შემთხვევაში უნდა გაატანოს, ლონდონელი ფანების ერთ-ერთმა გაერთიანებამ მიაქცია ყურადღება. როგორც კი ეს თემა წინა პლანზე წამოვიდა, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა „მეთოფეებს“ გადაწყვეტილების მიღება გაუადვილოს და კონტრაქტის იმ პუნქტს, სადაც ზემოხსენებული თანხის ამბავი წერია, გააუქმებს.

შეგახსენებთ, რომ რაც ზაფხული დაიწყო, „არსენალი“ ჯიუტად აცხადებს, რომ „ბარსელონასგან“ 40 მილიონი ფუნტი უნდა. „მეთოფეები“ თავიანთ კაპიტანს ამაზე ნაკლებად არ გაყიდიან. კატალონიელებს ლონდონში ბოლო დღეებშიც ჰყავდათ მივლინებული ორი კაცი, ვიცე-პრეზიდენტი **ჯოსეპ-მარია ბარტომეუ** და **რაულ სანლეჰი**, ერთ-ერთი დირექტორი, რომელთაც ინგლისის დედაქალაქი პარასკევს მორიგი უარით დატოვეს.

როგორც მიმომხილველები წერენ, ფაბრეგასისა და ნასრის ამბის გაწელვა უკვე თავად ვენგერის სატრანსფერო გეგმებზეც მოქმედებს ცუდად. სანამ ასეთი გაუგებრობაა, „მეთოფეთა“ მთავარი მწვრთნელი „ვალენსიას“ 23 წლის **ხუან მატას** სანაცვლოდ 20 მილიონ ფუნტს ანუ 23 მილიონ ევროზე ცოტა მეტს ვერ სთავაზობს. დააკვირდით, როგორ ჩაიხლართა ვითარება: არავინ იცის რას იზამს „ბარსელონა“, გაიმეტებს ფაბრეგასში იმდენს, რამდენსაც „არსენალი“ სთხოვს თუ არა? თუ არა, მაშინ, იქნებ „მანჩესტერ სიტისთვის“ ნასრის 25 მილიონ ფუნტად მიყიდვას ჰქონდეს აზრი? ასე ვენგერი მატას შესაძენად საკმარის თანხას იშოვნიდა, მაგრამ როდის გაირკვევა რას აპირებს „ბარსა“? შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ბაზარი 31 აგვისტოს იხურება და სრულიად შესაძლებელია კატალონიელებმა ბოლო წუთებამდე ხმა აღარ ამოიღონ.

და კიდევ ერთი: „არსენალი“ კოსტა რიკის „დეპორტივო საპრისასგან“ 19 წლის თავდამსხმელ **ხოელ კემპბელს** ყიდულობს. კემპბელი „მეთოფეებს“ 900 ათასი ფუნტი უჯდებათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ლივერპული

# დაცვამ იყოჩაღა

**ენდი ქეროლმა** კვლავ დაიწყო გოლების გატანა, მაგრამ „ლივერპულის“ მწვრთნელ **კენი დალგლიშს** დაცვის კარგი თამაში უფრო ესიამოვნა — მერსისაიდელებმა „ვალენსიას“ 2:0 მოუგეს. შეხვედრა „ენფილდზე“ გაიმართა. 22 წლის ქეროლისთვის ეს გახლდათ მესამე გოლი მოსამზადებელ პერიოდში.

დალგლიშმა თქვა: *„ვფიქრობ, „ვალენსიასთან“ შეხვედრაში ბიჭებმა ქება დაიმსახურეს. განსაკუთრებით მომეწონა მუხლჩაუხრელი შრომა, რომელიც მათ დაცვაში გაწიეს. ჩემმა მცველებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა გოლი არ გაეშვათ. ეს განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავი იყო, მით უფრო, რომ მეტოქეს ორი გოლი გავუტანეთ კიდეც. უკლებლივ ყველას თამაშით კმაყოფილი ვარ. დღეს ჩვენ ძალიან კარგი გუნდი დავამარცხეთ“.*

მერსისაიდელთაგან მეორე გოლი **დირკ კუიტს** ჩაუთვალეს, თუმცა გამეორებებზე გამოჩნდა, რომ ბურთს ფეხი ბოლოს **სოტირიოს კირიაკოსმა** წაჰკრა. საინტერესოა, რომ დალგლიშმა სასტარტო შემადგენლობაში იტალიელი **ალბერტო აკვილანი** ათამაშა, ბრაზილიელი **ლუკასი** კი სათადარიგოთა სკამზე დასვა.

„ვალენსიას“ სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა **ხუან მატა**, რომლის ყიდვაც, მოგეხსენებათ, „არსენალს“ უნდა.

„ლივერპულმა“ ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა, როდესაც **დავიდ ალბელდა** შეცდა და ქეროლს ხელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა — ალბელდამ გადაწყვიტა თავისი მეკარისთვის ბურთი ქუსლით მიეგორებინა და... ქეროლი შეიყვანა მასთან პირისპირ. რამდენიმე წუთის შემდეგ „ლივერპულს“ შეეშინდა, რომ **გლენ ჯონსონი** სერიოზულად დაშავდა და ის **მარტინ კელით** შეცვალა. ამას ვალენსიელთა უპირატესობა მოჰყვა, თუმცა, შემდეგი სახიფათო მომენტი თუ ნახევარმომენტი ისევ „წითლებს“ ჰქონდათ — **ჯორდან ჰენდერსონმა** ააცილა მიზანს.

მეორე ტაიმში ესპანური გუნდის შემადგენლობაში მოედანზე შესულმა **სოფიან ფეგულიმ** და **რობერტო სოლდადომ** სცადეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ „ლივერპულის“ დაცვამ შესანიშნავად ითამაშა, ბოლოს კი მასპინძლებმა მეორე გოლიც გაიტანეს.

**ილია ბაბუნაშვილი**



● საფრანგეთი. ლიგა 1. I ტური

# ჩემპიონმა სტარტზევე წაიბორძიკა

## სენსაციებიც მრავლად იყო

როცა ქვეყნის ჩემპიონი ხდება კლუბი, რომელიც გრანდების კატეგორიაში არ შედის, დიდია იმის ალბათობა, რომ მომდევნო სეზონი ჩააგდოს. შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ მალე “ლილი” საჩემპიონო გუნდს აღარ ჰგავდეს. პირველ ტურში საფრანგეთის ჩემპიონებმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვეს და “ნანსისთან” გასვლით მატჩში ფრეს დასჯერდნენ.

სამაგიეროდ, ლიგა 1 ეფექტურად დაიწყო “რენმა”, რომელმაც თავისი შესანიშნავი ფორმა რამდენიმე დღის წინ თბილისში გვიჩვენა. “დიჟონი” სტუმრებს პირველ ტაიმში კი გაუძალიანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა აიწყვიტა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

ახლო წარსულში “ლიონს” ჩემპიონობაში ვერავინ ეცილებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ტიტული სანატრელი აქვს. **რემი გარდის** გუნდს მშვენიერი სტარტი გამოუვიდა. “ლიონმა” გოლი სტარტზევე მიიღო, მაგრამ მერე არცთუ ხელწამოსაკრავი “ნიცა” გვარიანად დაჯაბნა. მძიმედ დაიწყო ლიგა 1 ჩემპიონობის ერთ-ერთმა რეალურმა პრეტენდენტმა “მარსელმა”, რომელსაც საკუთარ მოედანზე ჩამორჩენის ალმოფხვრა მოუხდა და ქულას დასჯერდა.

ბოლოს კი პირველი ტურის მთავარი სენსაციებიც ვახსენოთ. შაბათს პსჟ-მ ვერაფრით შეძლო “ლორიანისგან” პირველ ტაიმში მიღებული გოლის გაქვითვა, ტურის ბოლო შეხვედრა კი გუშინ საღამოს გაიმართა და საკუთარ პუბლიკას გული კიდევ ერთმა ამბიციურმა კლუბმა დასწყვიტა. “ბორდოს” მეორე ტაიმი ურიგოდ ნამდვილად არ ჩაუტარებია, მაგრამ “სენტ ეტიენმა” მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება შეძლო, მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა (ისიც პენალტით) და ტურის ორი უდიდესი სენსაციიდან ერთ-ერთის ავტორი გახდა.

მოკლედ, საფრანგეთის ჩემპიონატმა სტარტიდანვე შემოგვთავაზა კარგი სანახაობაცა და მოულოდნელობებიც, რაც წინას მსგავს და შეიძლება უკეთეს შოუსაც გვპირდება.

### აიაჩო–ტულუზი 0:2

**გოლები:** დევო 0:1 (45), მაშადუ 0:2 (73)

**აიაჩო:** ოჩოა - პულარი, მეჯანი, ანდრე, პირაცი, სამარიტანო, მოსტეფა, კავალი (დელორი 77), კონკელა (ილანი 66), ბეგეორგი, სოკრიე (ტიბერი 66)

**ტულუზი:** აამადა – ფოფანა, კონგრე, ბენგე (აკპრო 76), აბდენური, მაშადუ, დევო, ტაბანუ, ფირმინი (სირიე 71), სისოკო, ბულუტი (პენტეკო 85)

**გაფრთხილება:** კავალი, ტიბერი, ანდრე, დელორი – სისოკო, ფოფანა

13 (6) დარტყმა კარში 13 (9) 18 ჯარიმა 16, 11 კუთხურები 4, 1 თამაშგარე 1, 46% ბურთის ფლობა 54%

### ბრესტი–ევიანი 2:2

**ბრესტი:** ელანა - მაკონდა, მარტიალი, ბაისი, უ. კულიბალი, ევოლო (კულმა 65), გრუჟი, ლესუამე, აიტე (ბასა 75), პოიე (ლიკჩა 83), რუ

**ევიანი:** ვესტბერგი – ანგულა, კამბონი, ჯეჯე, ერე, ტიე ბი, ლერუა, სორლენი (რაბიუ 46) გოვუ, ადნანი (ბერიგო 59), მადი (მადი 88)

**გოლები:** სორლენი 0:1 (16), მადი 0:2 (19), გრუჟი 1:2 (39), ლესუამე 2:2 (45)

**გაფრთხილებები:** რუ, კულმა – ანგულა, გოვუ

15 (7) დარტყმა კარში 3 (2) 12 ჯარიმა 15, 11 კუთხურები 6, 3 თამაშგარე 1, 52% ბურთის ფლობა 48%

### კანი–ვალანსიენი 1:0

**კანი:** ტებო – ვანდამი (სორბონი 81), სეუბე, ერტო, პრომენი (მარკი 70), ნივე, ამუმა, რენო, ლეკა, ბიული, ფრო

**ვალანსიენი:** პენეტო – დიუკურტიუ, ისიმამირენი, ანგუა, სანჩესი, დანიჩი, დოსევი (კადირი 69), გომისი, ბონგი, კოადი (სამასა 70), პუჟოლი

**გოლი:** პრომენი 1:10 (34)

**გაფრთხილება:** მარკი, ფრო – სანჩესი

11 (3) დარტყმა კარში 8 (5) 13 ჯარიმა 14, 3 კუთხურები 11, 2 თამაშგარე 1, 43% ბურთის ფლობა 57%

### მარსელი–სოშო 2:2

**მარსელი:** მანდანდა – მორელი, ს. დიავარა, ფანი, ა. დიარა, შეირუ (კაბორე 74), ლ. გონსალესი, მბია, ამალფიტანო (ვალბუენა 66), ა. აიუ (ჟ. აიუ 66), რემი

**სოშო:** რიშე – კორშია, პერკისი, პეიბერნე, კარლაო, ანენი, ბუდებუზი (ბუტენი 93), მარტენი, რუდე (მიკარი 76), ნოგეირა, მაიგა (პრივა 82)

**გოლები:** ლ. გონსალესი 1:0 (38), მარტენი 1:1 (58), ნოგეირა 1:1 (70), რემი 2:2 (74)

**გაფრთხილება:** მბია – კორშია, მარტენი, პეიბერნე

21 (8) დარტყმა კარში 5 (3) 13 ჯარიმა 16, 4 კუთხურები 5, 1 თამაშგარე 0, 56% ბურთის ფლობა 44%

### მონპელიე–ოსერი 3:1

**მონპელიე:** პიონიე – ბოკალი, იანგამბივა, ბედიმო, ელ-კაუტარი, ბელჰანდა, დერნისი (ს. კამარა 78), პიტრო (საიჰი 59), კაბელა (ესტრადა 53), უტაკა, ჟირუ

**ოსერი:** ლეონი – ბოლი, ა. კულიბალი, დუდკა, სიდიბე, შაფნი (ადადი 89), ა. ტრაორე, ნდინგა, ოლიეჩი, საჰარი (კონტუტი 82), ჟემაა (იუ იო გუკი 86)

**გოლები:** ბელჰანდა 1:0 (36) ა. ტრაორე 1:1 (45), დერნისი 2:1 (75), ჟირუ 3:1 (90)

**გაფრთხილება:** - შაფნი

13 (4) დარტყმა კარში 18 (8) 18 ჯარიმა 22, 4 კუთხურები 5, 2 თამაშგარე 2, 56% ბურთის ფლობა 44%

### ნანსი–ლილი 1:1

**ნანსი:** გრეგორინი – ლოტიე, ლუისი, კრეტიენი, ლემეიტრი (სანე 85), ბერენჟე, ბ. ტრაორე, კარაბუე, დიაკიტე (ჟანო 66) ბრიზონი, ი. ჰაჯი

**ლილი:** ლანდრო – სუარე, ბერია, ბაშა, დებიუში, ბალმონი (როდელენი 87) პაიე (ობრანიაკი 67), აზარი, პედრეტი (გუიე 77) მავუბა, სოვი

**გოლები:** დებიუში 0:1 (47), ბერია 1:1 (61) ს.კ-ში

5 (1) დარტყმა კარში 18 (6) 17 ჯარიმა 21, 6 კუთხურები 8, 0 თამაშგარე 0, 24% ბურთის ფლობა 76%

**გაფრთხილება:** კარაბუე, დიაკიტე – პედრეტი, სუარე ბაშა

**გაძევება:** ბერენჟე 83

### პარი სენ-ჟერმენი–ლორიანი 0:1

**გაფრთხილება:** შანტომი - ჟუფრე, მვემბა, კიტამბალა

**პარი სენ-ჟერმენი:** სირიგუ – ბიშევაცი, ტიენიე, ჟაიე, სახო, ნენე, მატუიდი (ერდინჯი 82), შანტომი, მენეზი (ბაებეკი 71), ოარო (ბოდმერი 56), გამეირო

**ლორიანი:** ოდარი – პედრინიო, ეკელე მანგა, ბურიიონი, მარეკე, რომაო, მვემბა, ჟუფრე (ბაკა 82), კურადერი, მონე-პაკე (ალიდიერი 70), კერსია (კიტამბალა 78)

**გოლი:** კერსია 0:1 (28)

12 (3) დარტყმა კარში 9 (4) 21 ჯარიმა 10, 7 კუთხურები 6, 5 თამაშგარე 6, 61% ბურთის ფლობა 39%

### ნიცა–ლიონი 1:3

**ნიცა:** ოსპინა – პეიჩინოვიჩი, მონსონი, მაბიალა, კლერი (კ. გომისი 50), დიგა, ელბიკი (პოტე 60), საბლე, მერიემი (დიაკიტე 89), მუნიე, მულუნგუი

**ლიონი:** ლორისი - კრისი, ლოვრენი, რევეიერი, სისოკო, ჩელსტრიომი, გონალონი, ბასტოსი, ლ. ლოპესი, გომისი (ბელფოდილი 77), ბრიანი (პიე 85)

**გოლები:** მუნიე 1:0 (6), ლ. ლოპესი 1:1 (10), გომისი 1:2 (33), გონალონი 1:3 (74)

**გაფრთხილება:** მერიემი – დ. დიაკატე, კრისი

12 (4) დარტყმა კარში 22 (9) 18 ჯარიმა 13, 12 კუთხურები 9, 6 თამაშგარე 0, 47% ბურთის ფლობა 53%

### დიჟონი–რენი 1:5

**დიჟონი:** პადოვანი – მეიტე, დიალო, სუპრაიენი, პაული, სანხარი, კორგნე, ჟოვიალი, ტილი (66. მაცუე), ბოტეა (66. კასერესი), გერბერი (66. მანდანი)

**რენი:** კოსტილი – კატერინი, მანგანი, კანა ბიიკი (51. ბოიე), დანსი, პიტროიპა, ფერე, მვილა, დუმბია (73. მანძიეკი), ბუქარი (82. ტეტეი), მონტანო.

**გოლები:** 0:1 მონტანო (34), 0:2 ფერე (36), 1:2 ჟოვიალი (45), 1:3 ბუქარი (50), 1:4 მანგანი (75), 1:5 ტეტეი (85)

**გაფრთხილება:** სანხარი, პაული, ბოტეა – კატერინი, ბოიე

18 (5) დარტყმა კარში 15 (7), 18 ჯარიმა 16, 9 კუთხური 3, 4 თამაშგარე 2, 43% ბურთის ფლობა 57%

### ბორდო–სენტ ეტიენი 1:2

**ბორდო:** კარასო – სიანი, სანე, შალმე, ტრემულინასი, ნგემო, პლასილი, მორის-ბელაი, ა. ტრაორე (66. გუფრანი), ჟუსი (71. საივე), მოდესტე (77. ჟილიო).

**სენტ ეტიენი:** რუფიე – ნერი, მარშალი, მინიო, ბოკანეგრა, ობამეიანგი, გილავოგი, კლემანი, საკო, პონიოლი (82. საადი), ბერგესიო (61. ბატლე)

**გოლები:** 0:1 სიანი (18, ს.კ.), 0:2 ობამეიანგი (31), 1:2 ჟუსი (56. პენ.)

**გაფრთხილება:** მოდესტე – მარშალი, კლემანი, გილავოგი, რუფიე

12 (5) დარტყმა კარში 8 (2), 15 ჯარიმა 19, 4 კუთხური 4, 2 თამაშგარე 2, 50% ბურთის ფლობა 50%

### მომდევნო ტური

**13 აგვისტო:** ლორიანი-ბორდო, ლიონი-აიაჩო, რენი-პსჟ, სენტ ეტიენი-ნანსი, სოშო-კაენი, ტულუზი-დიჟონი, ვალანსიენი-ბრესტი.

**14 აგვისტო:** ოსერი-მარსელი, ევიანი-ნიცა, ლილი-მონპელიე

**ლევან ჯანეზაშვილი**

# უცხოური ფეხბურთი

## ამხანაგური მატჩები

ტიანძინი-რეალი 0:6
ალბირინჩემი-სტოკპორტი 0:2
ბოსტონი-ლინკოლნი 3:4
ჰიბერნიანი-სანდერლენდი 0:0
კილმარნოკი-ბლექბერნი 1:4
ნორვიჩი-პარმა 3:0
რეინჯერსი-ჩელსი 1:3
სუონსი-ბეტისი 1:0
ვულვზი-სარაგოსა 2:0
ტოტენჰემი-ბილბაო 2:1
ლივერპული-ვალენსია 2:0
ბრაგა-ასტონ ვილა 1:1
გრანადა-ალმერია 1:1
ერკულესი-მურსია 1:1
ვალეკანო-დეპორტივო 0:1
აეკ-ხეტაფე 0:1
სელტა-სპორტინგი 0:1
ბენფიკა-არსენალი 2:1
ვესტ ბრომვიჩი-პარმა 1:1
უიგანი-ვილიარეალი 1:0
ასტერასი-პანათინაიკოსი 0:1
ნოვარა-ოსასუნა 0:0
კალიარი-ვალეკანო 0:0
ტორინო-ვარეზე 1:0
ნაპოლი-სევილია 1:2
ლაციო-არისი 2:0

## ინგლისი

### ჩემპიონშიპი

I ტური

ჰალი-ბლეკპული 0:1
კოვენტრი-ლესტერი 0:1
ბრაიტონი-დონკასტერი 2:1
ბრისტოლი-იფსვიჩი 0:3
ბარნსლი-უოტფორდი 2:2
დერბი-ბირმინგემი 2:1
მიდლსბრო-პორტსმუთი 2:2
ნოტინგემი-ბარნსლი 0:0
პიტერბრო-კრ. პალასი 2:1
რიდინგი-მილუოლი 2:2
საუთჰემპტონი-ლიდსი 3:1
ვესტ ჰემი-კარდიფი 0:1

### I ლიგა

I ტური

ბრენტფორდი-იეოვილი 2:0
კარლაილი-ნოტსი 0:3
ჩარლტონი-ბორნმუთი 3:0
ჰადერსფილდი-ბერი 1:1
მილტონი-ჰარტლპული 2:2
ოლდჰემი-შეფილდი 0:2
პრესტონი-კოლჩესტერი 2:4
უენსდი-როჩდეილი 2:0
სტივენეიჯი-ექსეტერი 0:0
ტრანმერი-ჩესტერფილდი 1:0
უოლსოლი-ლეიტონი 1:0
უიკომბი-სკანთორპი 1:1

### II ლიგა

I ტური

უიმბლდონი-ბრ. როვერსი 2:3
ბრედფორდი-ალდერშოტი 1:2
ჯილინგემი-ჩელტენემი 1:0
მაკლსფილდი-დაგენჰემი 0:1
მორეკამბი-ბარნეტი 0:1
ნორთჰემპტონი-აკრინგტონი 0:0
პორტ ვეილი-კროული 2:2
როტერჰემი-ოქსფორდი 1:0
შრუსბერი-პლიმუტი 1:1
საუთენდი-ჰერეფორდი 1:0
სუინდონი-კრიუ 3:0
ტორკი-ბარტონი 2:2

## ინგლისი

### სუპერთასი

მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი 3:2

## ნორვეგია

XIX ტური

ფრედრიკსტადი-სტაბეკი 1:2
ოლესუნდი-ოდ გრენლანდი 0:1
ბრანი-სტრიომსგოდსეტი 0:0
ლილესტრიომი-სარპსბორგი 3:1
ვოლერენგა-სიოგნდალი 1:1
ვიკინგი-ტრომსიო 2:1
როზენბორგი-მოლდე 3:1
სტარტი-ჰაუგესუნდი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდე | 19 | 12 | 2 | 5 | 38-29 | 38 |
| 2. ბრანი | 19 | 10 | 3 | 6 | 34-31 | 33 |
| 3. ტრომსიო | 18 | 9 | 5 | 4 | 33-21 | 32 |
| 4. ლილესტრიომ | 19 | 9 | 4 | 6 | 42-31 | 31 |
| 5. სტრიომსგოდს | 17 | 9 | 3 | 5 | 28-22 | 30 |
| 6. სტაბეკი | 17 | 9 | 2 | 6 | 33-32 | 29 |
| 7. როზენბორგი | 17 | 7 | 5 | 5 | 31-21 | 26 |
| 8. ჰაუგესუნდი | 18 | 8 | 2 | 8 | 32-29 | 26 |
| 9. ფრედრიკსტად | 18 | 7 | 2 | 9 | 21-23 | 23 |
| 10. ოლესუნდი | 17 | 7 | 2 | 8 | 19-24 | 23 |
| 11. ვიკინგი | 19 | 6 | 5 | 8 | 19-25 | 23 |
| 12. ვოლერენგა | 17 | 6 | 4 | 7 | 20-21 | 22 |
| 13. ოდ გრენლანდ | 17 | 5 | 4 | 8 | 22-27 | 19 |
| 14. სიოგნდალი | 18 | 4 | 5 | 9 | 12-22 | 17 |
| 15. სარპსბორგი | 18 | 4 | 4 | 10 | 24-38 | 16 |
| 16. სტარტი | 18 | 4 | 2 | 12 | 25-37 | 14 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ჰამ კამი-ლოვ ჰამი 2:2; ასკერი-ალტა 1:4; ჰიოდი-სანდეფიორდი 1:2; ჰიონეფოსი-რანდაბერგი 6:0; კონგსვინგერი-ნილი 1:0; მიონდალენი-ბოდო გლიმტი 2:4; სანდნესი-რანჰაიმი 2:0; სტრიომენი-ბრინი 2:4.

## იტალია

### სუპერთასი

მილანი-ინტერი 2:1

## იტალიის თასი

### I ეტაპი

პიაჩენცა-პონტედერა 3:0
სპეცია-ვალე დ'აოსტე 3:0
ფერალპისალო-ტარანტო 1:2
ალესანდრია-კაზერტანა 1:0
ბარლეტა-კარარეზე 0:1
კომო-პრატო 1:2
ფოჯა-ტრაპანი 3:0
ლუმეცანე-პრო პატრია 4:1
ბენევენტო-ტრიტიუმი 1:1 პენ. 4:3
ლატინა-ლ'აკილა 0:1
ლანჩანო-კასტელ რიგონე 1:2
პორტოგრუარო-აველინო 0:3
ტრიესტინა-ვოგერა 2:0
ფროსინონე-პომილიანო 3:0
პიზა-ბაკოლი 3:0
სირაკუზა-ტერამო 1:0
რეჯინა-კარპი 1:2
სორენტო-ტამაი 4:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

I ტური

ჰამბურგი II-მოისელვიტცი 7:1
მაგდებურგი-ჰერტა II 0:2
ლიუბეკი-პლაუენი 3:3
ვილჰელმსჰავენი-სტ. პაული II 3:2
ვოლფსბურგი II-ბერლინერი 2:0
ჰალეშერი-კილი 1:0
ჰანოვერი II-გერმანია 1:1
მეპენი-ლაიპციგი 0:1
ჰაველსე-კოტბუსი II 4:2

### რეგიონალლიგა (სამ)

I ტური

მიუნხენი II-აინტრახტი II 0:1
შტ. კიკერსი-კარლსრუე II 2:1
ვორმატია-ბაიერნი (ა) 3:1
მემინგენი-ფიურტი II 0:1
ინგოლშტადტი II-ვალდჰოფი 0:3
კასელი-ფრაიბურგი II 2:2
ჰოფენჰაიმი II-ფრანკფურტი II 1:0
პფულენდორფი-ზონენჰოფი 0:2
ნიურნბერგი II-ბაიერნი II დღეს

### რეგიონალლიგა (დას)

I ტური

ლოტე-ობერჰაუზენი 0:0
ლევერკუზენი II-შალკე II 3:3
კაიზერი II-დორტმუნდი II 0:2
ვუპერტალი-ფორტუნა II 0:0
ბოხუმი II-ფორტუნა (კ) 1:1
ესენი-მაინცი II 2:1
გლადბახი II-კიოლნი II 3:4
ვერლი-ელვერსბერგი 1:4
ტრირი-ვიდენბრუკი 2:0

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

II ტური

ისტრი-ლანსი 2:1
ნანტი-ბასტია 0:2
ტრუა-მონაკო 1:1
ავრი-ლავალი 1:1
შატორუ-სედანი 0:1
კლერმონი-გენგამი 0:1
რეიმსი-ამიენი 1:0
ლე მანი-ტური 0:1
ბულონი-ანჟერი 3:3
მეცი-არლი დღეს

## ჰოლანდია

I ტური

ექსელსიორი-ფეიენოორდი 0:2
ვენლო-უტრეხტი 0:0
ჰერენვენი-ნიმეგენი 2:2
ვაალვიკი-ჰერაკლესი 2:2
როდა-გრონინგენი 2:1
ალკმაარი-პსვ ეინდჰოვენი 3:1
გრააფსხაპი-აიაქსი 1:4
დენ ჰააგი-ვიტესი 0:0
ბრედა-ტვენტე 0:1

### II დივიზიონი

I ტური

ეინდჰოვენი-ემენი 3:0; ოსი-ჰელმონდი 3:1; ვეენდამი-ვილემი 1:3; დენ ბოშიცვოლე 2:2; იგლზი-ტელსტარი 1:0; მაასტრიხტი-ალმერი 3:2; დორდრეჰტი-ვოლენდამი 0:0; სპარტა-ფორტუნა 1:0; აპელდოორნი-კამბური დღეს.

## ბოსნია

I ტური

ლეოტარი-ზვიეზდა 0:0
ველეჟი-ჩელიკი 2:1
კოზარა-ბორაცი 0:1
რუდარი-ოლიმპიკი 1:1
ტრავნიკი-ჟრინსკი 2:2
სლავია-გაბელა 1:0
სარაევო-სლობოდა 2:1
შიროკი ბრიეგი-ჟელეზნიჩარი 2:1

## ბულგარეთი

I ტური

ბოტევი-სვეტკავიცა 1:0
ჩერნო მორე-მონტანა 2:0
მინიორი-ვიდიმა 1:0
ჩერნომორეცი-კალიაკრა 1:0
ლუდოგორეცი-ლოკომოტივი (პ) 0:0
ლიტექსი-ბეროე 2:1
ლოკომოტივი (ს)-ცსკა 1:2
ლევსკი-სლავია დღეს

## ბელგია

II ტური

ანდერლეხტი-მეხელენი 3:1
სერკლი-მონსი 1:1
ბეერსხოტი-გენტი 2:2
ლიერსი-გენკი 0:0
ვარეგემი-ლოვენი 2:1
სტანდარდი-ლოკერენი 3:1
სტ. ტრუიდენი-ბრიუგე 3:3
ვესტერლო-კორტრიიკი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 2 | 1 | 1 | 0 | 8-3 | 4 |
| 2. სტანდარდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. გენკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ბრიუგე | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ვარეგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7. ლოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. მეხელენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 9. მონსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 10. ლიერსი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 11. კორტრიიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. სტ. ტრუიდენი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 13. გენტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. ბეერსხოტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 15. ლოკერენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16. ვესტერლო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-5 | 1 |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

ნავალი-კოვილია 2:1
ბელენენსეში-ლეიქსოეში 5:3
ტროფენსე-პენაფიელი 1:1
სანტა კლარა-არუკა 1:1
ფრეამუნდე-მორეირენსე 1:1
პორტიმონენსე-ატლეტიკო 1:1
ოლივეირენსე-მადეირა 2:1
ეშტორილი-ავეში 2:0

## პორტუგალია

### სუპერთასი

პორტუ-გიმარაეში 2:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

I ტური

ეირი-ჰემილტონი 1:2
ლივინგსტონი-ქუინი 2:2
პარტიკი-დანდი 0:1
რეითი-ფალკირკი 1:0
როსი-მორტონი 0:0

### II დივიზიონი

I ტური

ეირდრი-დამბარტონი 3:0
არბროთ-ალბიონი 6:2
ბრეჩინი-სტენჰაუზმური 2:0
ფორფარი-კოუდენბითი 2:2
სტირლინგი-ისტ ფაიფი 1:0

### III დივიზიონი

I ტური

ანანი-ქუინზ პარკი 5:2
კლაიდი-პიტერჰედი 2:0
ისტ სტირლინგი-მონროუზი 1:0
ელჯინი-ბერვიკი 4:1
სტრანრარი-ალოა 2:3

## ავსტრიის თასი

### 1/32 ფინალი

ავსტრია A-ვენა 4:0
რაპიდი A-ნოიშტადტი 1:0
დორნბირნი-შტეგერსბახი 4:0
ალერჰაილიგენი-ფიოკლამარკტი 1:0
გოტცენდორფი-სტ. პოლტენი 3:2
დონაუ-გრიოდიგი 0:3
კუნდლი-ჰარტბერგი 0:3
ლეობენი-ლუსტენაუ 2:3
პოსტი-კაპფენბერგი 0:3
შტურმი A-ლინცერი 2:5 დ.დ.
ვოლფსბერგი-სტ. ანდრე 1:2
ვინერი-ბად ვესლაუ 1:2
ამსტეტენი-შვაცი 4:1
ვაზენი-მარგარეტენი 2:2 პენ. 3:5
კამრანი-ტიროლი 0:4
კლაგენფურტი-სოლენაუ 3:1
ჰარნდორფი-ავსტრია (ზ) 3:0
უნიონი-გრისკირხენი 3:2
ბრეგენცი-ავსტრია (ლ) 0:2
კაპფენბერგი II-მატერსბურგი 1:3
ზალცბურგი A-ბრუნი 5:0
ვაიცი-ნოიმარკტი 5:1
სტ. ფლორიანი-ალტახი 2:0
გრიოდიგი A-შტურმი 0:4
ფორვარტსი-ადმირა 1:6
შტინაცი-ლინცი 1:3
ლინცერი A-რაპიდი 0:7
რაიხენაუ-ავსტრია (კ) 0:0 პენ. 4:1
ბაუმგარტენი-ზალცბურგი 0:3
მოდლინგი-ავსტრია (ვ) 1:3
გრატკორნი-რიდი 0:3
ვილახი-რეტცი 4:2

## კვიპროსი

### სუპერთასი

აპოელ-ომონია 1:0

## ბელარუსი

IV ტური

დინამო (მნ)-ტორპედო 0:1
დნეპრი-შახტიორი 0:1
ნაფტანი-ვიტებსკი 1:1
ნემანი-დინამო (ბრ) 2:3
ბატე-ბელშინა 1:0

## დანია

IV ტური

სონდერიისკი-აგფ ორჰუსი 3:1
ჰორსენსი-ოლბორგი 3:3
მიდტიულანდი-ლუნგბიუ 2:1
ნორდსილანდი-სილკებორგი 2:1
კიოგე-კოპენჰაგენი 2:4
ოდენსე-ბრონდბიუ 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ჰორსენსი | 4 | 2 | 2 | 0 | 11-5 | 8 |
| 3. ოდენსე | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 4. ოლბორგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-6 | 8 |
| 5. სონდერიისკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 6. მიდტიულანდი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 7. სილკებორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 8. აგფ ორჰუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 9. ბრონდბიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 10. ნორდსილანდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 11. ლუნგბიუ | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 12. კიოგე | 4 | 0 | 0 | 4 | 5-13 | 0 |

## ისლანდია

XIV ტური

ვესტმანაეიარი-ვალური 1:1
სტიარნანი-თორი 5:1
ფრამი-ფილკირი 0:0
გრინდავიკი-ბრეიდაბლიკი 1:1
ჰაფნარი-კეფლავიკი 1:0
რეიკიავიკი-ვიკინგური 3:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეიკიავიკი | 12 | 9 | 3 | 0 | 28-9 | 30 |
| 2. ვესტმანაეიარ. | 13 | 8 | 2 | 3 | 20-11 | 26 |
| 3. ჰაფნარი | 14 | 7 | 4 | 3 | 28-18 | 25 |
| 4. ვალური | 14 | 7 | 4 | 3 | 20-11 | 25 |
| 5. სტიარნანი | 14 | 6 | 4 | 4 | 28-22 | 22 |
| 6. ფილკირი | 14 | 5 | 4 | 5 | 21-24 | 19 |
| 7. კეფლავიკი | 13 | 5 | 2 | 6 | 17-18 | 17 |
| 8. თორი | 14 | 5 | 2 | 7 | 21-28 | 17 |
| 9. ბრეიდაბლიკი | 14 | 4 | 4 | 6 | 21-26 | 16 |
| 10. გრინდავიკი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-28 | 13 |
| 11. ვიკინგური | 14 | 1 | 5 | 8 | 12-25 | 8 |
| 12. ფრამი | 14 | 1 | 4 | 9 | 7-20 | 7 |

## ირლანდია

XXV ტური

ბოჰემიანსი-შემროკი 0:1
ბრეი-დროგედა 1:2
გალვეი-დერი 0:3
სტ. პატრიკსი-უნივერსიტი 2:2
დანდალკი-სლიგო 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლიგო | 25 | 14 | 6 | 5 | 43:11 | 48 |
| 2. დერი | 25 | 13 | 9 | 3 | 47:16 | 48 |
| 3. შემროკი | 24 | 14 | 6 | 4 | 37:13 | 48 |
| 4. სტ. პატსი | 24 | 12 | 8 | 4 | 39:23 | 44 |
| 5. დანდალკი | 25 | 10 | 8 | 7 | 41:29 | 38 |
| 6. ბოჰემიანსი | 23 | 11 | 5 | 7 | 23:16 | 38 |
| 7. ბრეი | 24 | 10 | 4 | 10 | 27:31 | 34 |
| 8. უნივერსიტი | 24 | 5 | 4 | 15 | 24:53 | 19 |
| 9. დროგედა | 25 | 5 | 2 | 18 | 17:46 | 17 |
| 10. გალვეი | 25 | 1 | 2 | 22 | 12:72 | 5 |

### II დივიზიონი

XXII ტური

კორკი-შელბურნი 4:1; უოტერფორდი-ლიმერიკი 1:2; ფინ ჰარპსი-მერვუ 2:0; მონეგანი-ეთლონი 1:0; სოლტჰილი-უექსფორდი 2:1.

## ფინეთი

XIX ტური

ინტერი-იარო 2:0
იუვიასკიულა-ჰიკ 0:2
ჰონკა-კუოპიო 3:1
მარიეჰამნი-ვაასა 0:1
მიუპა-ტურკუ 0:0
როვანიემი-ჰაკა 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 19 | 16 | 0 | 3 | 49-13 | 48 |
| 2. ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 49-25 | 39 |
| 3. იუვიასკიულა | 18 | 9 | 5 | 4 | 32-26 | 32 |
| 4. ჰონკა | 18 | 7 | 6 | 5 | 27-24 | 27 |
| 5. ტურკუ | 19 | 7 | 6 | 6 | 25-28 | 27 |
| 6. მარიეჰამნი | 18 | 6 | 4 | 8 | 21-21 | 22 |
| 7. მიუპა | 19 | 6 | 4 | 9 | 21-26 | 22 |
| 8. ჰაკა | 19 | 6 | 4 | 9 | 21-36 | 22 |
| 9. იარო | 18 | 4 | 5 | 9 | 24-31 | 17 |
| 10. კუოპიო | 18 | 3 | 8 | 7 | 24-33 | 17 |
| 11. ვაასა | 18 | 3 | 8 | 7 | 14-24 | 17 |
| 12. როვანიემი | 18 | 2 | 5 | 11 | 20-40 | 11 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ოსპ-იიპო 1:0; კემი-ჰიფკ 0:1; პოპა-პკ35 0:3; ესპოო-კპვ 2:3; ლაჰტი-ოულუ 1:2; კოტეპე-ჰამეენლინა 2:3.

## ხორვატია

III ტური

ლოკომოტივა-შიბენიკი 2:0
ოსიეკი-ზაგრები 4:0
სიბალია-ინტერი 0:1
ლუჩკო-ისტრა 0:2
სლავენი-დინამო 0:2
ჰაიდუკი-რიეკა 2:1
კარლოვაცი-სპლიტი 1:3
ვარტექსი-ზადარი 1:2

## უნგრეთი

IV ტური

ზალაეგერსეგი-ჰონვედი 0:4
ვაშაში-პალადაში 0:0
შიოფოკი-დიოში 0:1
ლომბარდ პაპა-კაპოშვარი 1:0
ვიდეოტონი-დიოშდიორი 2:0
ფერენცვაროში-პეჩი 0:1
უიპეშტი-პაქში 0:2
კეჩკემეტი-დებრეცენი 0:1

## შვედეთი

XX ტური

მიალბიუ-მალმიო 1:1
ტრელებორგი-გეფლე 2:0
ჰალმსტადი-ნორჩოპინგი 5:4
ერებრო-ჰაკენი 4:0
სირიანსკა-ჰელსინგბორგი 1:2
იურგორდენი-გაის 2:2
ელფსბორგი-კალმარი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგი | 20 | 13 | 6 | 1 | 37-16 | 45 |
| 2. ელფსბორგი | 20 | 13 | 3 | 4 | 34-17 | 42 |
| 3. აიკ | 20 | 11 | 2 | 7 | 31-21 | 35 |
| 4. გაის | 20 | 10 | 3 | 7 | 32-24 | 33 |
| 5. ჰაკენი | 19 | 9 | 4 | 6 | 38-22 | 31 |
| 6. გიოტებორგი | 20 | 9 | 3 | 8 | 28-26 | 30 |
| 7. კალმარი | 20 | 9 | 3 | 8 | 23-24 | 30 |
| 8. ერებრუ | 20 | 9 | 2 | 9 | 28-27 | 29 |
| 9. მალმიო | 18 | 7 | 6 | 5 | 19-21 | 27 |
| 10. გეფლე | 20 | 7 | 6 | 7 | 18-25 | 27 |
| 11. ტრელებორგი | 20 | 7 | 2 | 11 | 32-44 | 23 |
| 12. იურგორდენი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-25 | 22 |
| 13. ნორჩოპინგი | 20 | 6 | 4 | 10 | 24-34 | 22 |
| 14. მიალბიუ | 20 | 6 | 3 | 11 | 21-29 | 21 |
| 15. სირიანსკა | 20 | 5 | 3 | 12 | 20-31 | 18 |
| 16. ჰალმსტადი | 20 | 2 | 4 | 14 | 18-40 | 10 |

### II დივიზიონი

XIV ტური

დეგერფორსი-ატვიდაბერგი 1:2; ანგელჰოლმი-ვასტერასი 3:1; ფალკენბერგი-ბრომაპოიკარნა 1:3; ვარნამო-ბრაგე 3:1; იონჩოპინგი-კვიდინგი 1:0; ოსტერი-ასირისკა 4:2; ჰამარბიუ-ლიუნგსკილე დღეს; სუნდსვალი-ლანდსკრონა დღეს.

## შვეიცარია

IV ტური

ბაზელი-სიონი 3:3
სერვეტი-ლოზანა 4:2
ლუცერნი-იანგ ბოიზი 1:1
თუნი-ქსამაქსი 0:0
ციურიხი-გრასჰოპერსი 6:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 2. თუნი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 3. სერვეტი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 4. სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 5. ბაზელი | 4 | 1 | 3 | 0 | 8-6 | 6 |
| 6. იანგ ბოიზი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 7. გრასჰოპერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-11 | 4 |
| 8. ლოზანა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 9. ციურიხი | 4 | 1 | 0 | 3 | 9-6 | 3 |
| 10. ქსამაქსი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-8 | 1 |

### ჩელენჯლიგა

III ტური

ბილი-დელემონი 4:1; ბრიული-ეტუალ კარუჟი 1:2; ლოკარნო-ბელინცონა 0:3; ვილი-კრინსი 1:1; ვინტერტური-სტ. გალენი 0:1; ვოლენი-კიასო 1:1; ვადუცი-ნიონე 3:4; ლუგანო-არაუ დღეს.

## ჩეხეთი

II ტური

დუკლა-ბუდეიოვიცე 4:2
ტეპლიცე-პრადეცი 0:3
პრშიბრამი-ვიქტორია 2:1
ლიბერეცი-სლავია 2:1
სიგმა-ბანიკი 3:0
ბოჰემიანსი 1905-პლზენი 2:1
ბოლესლავი-სლოვაცკო 1:0
სპარტა-იაბლონეცი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პრადეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სპარტა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. ბოჰემიანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. პრშიბრამი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 5. სიგმა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 6. დუკლა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 7. ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 8. ბოლესლავი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 9. ტეპლიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 4-6 | 3 |
| 10. პლზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 11. იაბლონეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 12. სლოვაცკო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 13. ვიქტორია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 14. სლავია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 15. ბუდეიოვიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 4-8 | 0 |
| 16. ბანიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

### II დივიზიონი

I ტური

იჰლავა-ბოჰემიანსი 0:3; სოკოლოვი-სეზიმოვო 0:2; სპარტა II-ზნოიმო 1:4; კარვინა-ჩასლავი 1:2; ოპავა-უსტი 3:1; ჟლინი-ტრშინეცი 2:0; მოსტი-ბრნო 1:0; სლოვანი-ვლაშიმი 0:1.

## ესტონეთი

XXIII ტური

ლევადია-კალიუ 0:1
კალევი-ვილიანდი 5:0
ტამეკა-ტრანსი 1:4
კურესაარე-ფლორა 0:3
აიაქსი-პაიდე 0:6

## ლატვია

XII ტური

იურმალა-დაუგავა 2:1
ოლიმპსი-სკონტო 0:7
იეგლავა-მეტალურგსი 3:2

## მს. ჩემპიონატი

### UNDER 20

ეკვადორი-კოსტა რიკა 3:0
ავსტრალია-ესპანეთი 1:5
ს. არაბეთი-ნიგერია 0:2
ხორვატია-გვატემალა 0:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV ტური

ბანგა-კაუნასი 1:1
კრუოია-მაჟეიკიაი 2:1
კლაიპედა-ატლანტასი 0:4
შიაულიაი-დაინავა 1:3
ეკრანასი-ტაურასი 0:0
ჟალგირისი-სუდუვა 3:1

## მოლდოვა

III ტური

აკადემია-ნისტრუ 0:0
მილსამი-ცსკა 3:1
ოლიმპია-სფინტული 1:2
შერიფი-ზიმბრუ 2:1
დაჩია-ტირასპოლი 1:1
ისკრა-კოსტულენი 3:0

## პოლონეთი

II ტური

გურნიკი-ვიძევი 1:1
ზაგლებე-ლეხი 1:1
ბელხატოვი-პოდბესკიძე 6:0
იაგელონია-ლეჩია 2:1
პოლონია-ვისლა 1:1
შლიონსკი-ლკს 4:0
კრაკოვია-ლეგია 1:3
კორონა-რუხი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეხი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 2. შლიონსკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 3. იაგელონია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4. პოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ბელხატოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-2 | 3 |
| 6. ლეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 7. კორონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8. რუხი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 9. გურნიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 10. ვისლა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 11. ვიძევი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 12. ზაგლები | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13. პოდბესკიძე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-8 | 1 |
| 14. ლეჩია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 15. კრაკოვია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 16. ლკს | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

## რუსეთი

XIX ტური

ანჟი-ტომი 2:0
ცსკა-ზენიტი 0:2
ყუბანი-დინამო 3:1
ვოლგა-როსტოვი 0:1
ამკარი-კრასნოდარი 0:2
ნალჩიკი-რუბინი 0:1
ტერეკი-სპარტაკი 2:4
ლოკომოტივი-კრილია 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 19 | 12 | 5 | 2 | 36-14 | 41 |
| 2. ზენიტი | 19 | 11 | 6 | 2 | 30-12 | 39 |
| 3. დინამო | 19 | 10 | 5 | 4 | 30-21 | 35 |
| 4. რუბინი | 19 | 9 | 6 | 4 | 25-16 | 33 |
| 5. ანჟი | 19 | 9 | 6 | 4 | 22-14 | 33 |
| 6. სპარტაკი | 19 | 9 | 4 | 6 | 24-22 | 31 |
| 7. ლოკომოტივი | 19 | 8 | 5 | 6 | 31-22 | 29 |
| 8. ყუბანი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-19 | 28 |
| 9. კრასნოდარი | 19 | 6 | 8 | 5 | 23-24 | 26 |
| 10. ტერეკი | 19 | 6 | 4 | 9 | 16-22 | 22 |
| 11. ამკარი | 19 | 5 | 5 | 9 | 13-26 | 20 |
| 12. ტომი | 19 | 4 | 7 | 8 | 18-30 | 19 |
| 13. ვოლგა | 19 | 5 | 1 | 13 | 17-24 | 16 |
| 14. როსტოვი | 19 | 4 | 4 | 11 | 20-33 | 16 |
| 15. ნალჩიკი | 19 | 2 | 7 | 10 | 15-26 | 13 |
| 16. კრილია | 19 | 2 | 7 | 10 | 10-27 | 13 |

## სლოვაკეთი

IV ტური

კოშიცე-მორავცე 1:1
ტატრანი-ბისტრიცა 0:1
ტრენჩინი-ნიტრა 0:0
დ. სტრედა-რუჟომბეროკი 0:2
სლოვანი-ტრნავა 2:1
სენიცა-ჟილინა 1:2

## სლოვენია

IV ტური

დომჟალე-კოპერი 1:1
გორიცა-ცელიე 2:0
რუდარი-მურა 1:0
ტრიგლავი-მარიბორი 0:2
ნაფტა-ოლიმპია 1:1

## უკრაინა

V ტური

ზორია-მეტალურგი 1:0
ილიჩევეცი-ვოლინი 1:2
ტავრია-ობოლონი 0:0
მეტალისტი-ოლექსანდრია 2:1
ჩერნომორეცი-დნიპრო 1:1
შახტარი-კრივბასი 2:0
დინამო-კარპატი 2:0
ვორსკლა-არსენალი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2. დინამო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| 3. მეტალისტი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| 4. არსენალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-4 | 9 |
| 5. ვორსკლა | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 6. კრივბასი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 7. დნიპრო | 5 | 2 | 2 | 1 | 10-6 | 8 |
| 8. ტავრია | 5 | 1 | 4 | 0 | 5-3 | 7 |
| 9. ზორია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 10. ვოლინი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 11. ოლექსანდრია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 12. მეტალურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 13. ილიჩევეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 14. ჩერნომორეცი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |
| 15. ობოლონი | 5 | 0 | 2 | 3 | 0-9 | 2 |
| 16. კარპატი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი

# რომელუ და ჩელსი




**რომელუ ლაკაკუ** „ჩელსის" ფეხბურთელი გახდა. „ანდერლეხტი" 18 წლის თავდამსხმელს 20 მილიონ ფუნტს ანუ 23 მილიონ ევროს აფასებდა. „ლურჯებმა" ვაჭრობაში ლონდონისავე „არსენალს" აჯობეს და გუშინ ვარსკვლავბიჭუნამ „სტემფორდ ბრიჯზე" სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. შეგახსენებთ, რომ ინგლისის გუნდებს ლაკაკუმ თვალი ჯერ კიდევ 16 წლისამ მოჭრა, როდესაც ბელგიის ჩემპიონატში გოლების გატანა დაიწყო. დასავლეთლონდონელთა პრესმდივანმა თქვა:

*„ჩვენს კლუბსა და „ანდერლეხტს" შორის მიღწეულია შეთანხმება რომელუ ლაკაკუს ტრანსფერთან დაკავშირებით".*

„ანდერლეხტის მწვრთნელმა **ჰერმან ვან ჰოლსბეეკმა** დასძინა: *„რომელუს წასვლამ ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ, მეორე მხრივ ეს ისეთი ტრანსფერია, რომელიც ორივე მხარეს სარგებელს აძლევს. ახლა, ჩვენი კლუბის წარმომადგენლები ყველა ღონეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება მოკლე დროში ლაკალუს შემცვლელი იპოვონ. რაც შეეხება თავად რომელუს, ჩვენ მას დიდ წარმატებას ვუსურვებთ".*

რაც შეეხება „ჩელსიდან" მიმავალთ, ასეთი 27 წლის **იური ჟირკოვი** გახლავთ. მას მახაჩყალის „ანჟი" ყიდულობს. „ლურჯების" მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** განაცხადა:

*„მართალია, ჟირკოვთან დაკავშირებით ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ მდგომარეობა ასეთია, იურიმ მყიდველ მხარესთან თავად უნდა გაარკვიოს ურთიერთობა. ჩვენ ხელს ვერ შევუშლით, რადგან მას „ანჟი" ძალიან დიდ ფულს სთავაზობს და თან, სამშობლოში, რუსეთში აბრუნებს".*

ამასობაში „ჩელსიმ" „რეინჯერსთან" ითამაშა და 3:1 გაიმარჯვა. ანგარიში გლაზგოელთა ხორვატმა თავდამსხმელმა, 25 წლის **ნიკიცა იელავიჩმა** გახსნა, მაგრამ პირველსავე ტაიმში ამ გოლს ორით 21 წლის **დენიელ სტარიჯმა** უპასუხა. შეგახსენებთ, რომ სტარიჯი „ჩელსის" გასული სეზონის მეორე ნახევარში „ბოლტონში" ჰყავდა იჯარით გაშვებული, მაგრამ ახალგაზრდა „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდა და **დიდიე დროგბას, ფერნანდო ტორესს, ნიკოლა ანელკას** და **სალომონ კალუს** კონკურენციას უწევს. სტარიჯის მიერ „რეინჯერსთან" შესრულებული დუბლი ვილაშ-ბოაშს თავსატეხის წინაშე ტოვებს - მაინც როგორი იქნება „ლურჯების" თავდასხმა ახალ სეზონში? ყოველ შეხვედრაში ხომ არ შეცვლის შემადგენლობას?

გლაზგოელთა კარში მესამე გოლი **ფლირენ მალუდამ** გაიტანა, შეხვედრის ბოლოს კი მსაჯმა დროგბას წაქცევისთვის პენალტი დანიშნა, რომელიც **ფრენკ ლემპარდმა** მიზანს ააცილა.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ტრანსფერი



პასტორე ლორიანთან მატჩის დაწყებამდე პარკ დე პრენსის გულშემატკივარს მიესალმა

# პასტორე ხუთი წლით

შაბათს "პარი სენ-ჟერმენის" სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე **ლეონარდომ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ 22 წლის არგენტინელი **ხავიერ პასტორე** კლუბმა ხუთი წლით გადაიბირა. სამხრეთამერიკელმა 27-ე ნომერი აირჩია. ფეხბურთელის პრეზენტაცია დღეს "პარკ დე პრენსზე" გაიმართება. ჩვენი გაზეთი ამ ამბავს "პარიზიენის" ინფორმაციაზე დაყრდნობით აქამდეც გადაწყვეტილად აცხადებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოვლენებს წინ ვუსწრებდით. საქმე მხოლოდ ორიოდე დღეა, რაც საბოლოოდ მოგვარდა. სწორედ ეს მიზეზია, რომ პარიზელებმა ფეხბურთელი "ლორიანთან" პირველი ტურის მატჩში (1:0 სტუმართა სასარგებლოდ) ვერ დაიხმარეს. გარდა ამისა, კოპა ამერიკის შემდეგ მას პრაქტიკულად არ დაუსვენია. **ანტუან კომბუარესა** და ლეონარდოს საერთო გადაწყვეტილებით, ხავიერს ამის შანსი ახლა მიეცემა. შესაბამისად, ის კლუბს სექტემბრამდე ვერც დაეხმარება.

თავად პასტორემ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და თავის პარიზულ ტრანსფერზე კომენტარი გააკეთა. იქამდე ის აცხადებდა, რომ სანამ ყველაფერი არ მოგვარდებოდა, იქამდე დუმილის უფლებას გამოიყენებდა. აი, რას ამბობს ფეხბურთელი "ეკიპთან" სახელდახელო ინტერვიუში: *"დიახ, ვიცი, რომ საფრანგეთის უმაღლესი ლიგა არც ისეთი ძლიერია, როგორც ინგლისის პრემიერლიგა ან ესპანეთის პრიმერა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ეს გადაწყვეტილება იყო უმნიშვნელოვანესი ჩემს კარიერაში. პსჟ "ჩელსის" რამდენიმე მიზეზის გამო ვარჩიე. მე და ჩემმა აგენტმა დიდხანს ვიმსჯელეთ, სიტუაცია კარგად ავწონ-დავწონეთ და მივხვდით, რომ ამ წუთას მჭირდებოდა გუნდი, სადაც თამაშის მეტი შანსი მექნებოდა. განვითარებისთვის ხომ პირველ გუნდში რეგულარული პრაქტიკა მჭირდება. ამის მეტი შანსი კი აშკარად პარიზში მქონდა. "სტემფორდ ბრიჯზე" არანაირი გარანტია არ მექნებოდა, რომ ხშირად სკამზე არ ამოვჩნდებოდი. პსჟ-ში კი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს შესაძლებლობებში ყველას დავარწმუნებ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

● იტალიის სუპერთასი



იბრა სუპერთასით ხელში

# რევანში არ შედგა

## სუპერთასიც მილანმა მოიგო

იტალიაში ახალი საფეხბურთო სეზონი სუპერთასის გათამაშებით გაიხსნა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ ორი მილანური გრანდი წარდგა. როგორც წესი, "მილანისა" და "ინტერის" პაექრობა "სან სიროზე" იმართება, მაგრამ ამ შემთხვევაში პაექრობა პეკინში შედგა, სადაც აღნიშნულ გუნდებს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. შესაბამისად, ტრიბუნები პირთამდე გაივსო და ქომაგებმა საკმაოდ კარგი სანახაობა იხილეს.

შეხვედრა ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა, პირველში უპირატესობას "ინტერი" ფლობდა და გაუტანა კიდეც გოლი მეტოქეს, აი მეორეში კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, "მილანი" იყო და თამაშის ბედიც სათავისოდ შეატრიალა. ერთი სიტყვით, **მასიმილიანო ალეგრის** სამწყსომ 2:1 გაიმარჯვა და მორიგი ტიტული დაამატა ისედაც უმდიდრეს კოლექციას. მატჩის პერიპეტიების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ გოლებზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას – "ნერაძურიდან" შედეგიანი დარტყმა **ვესლი სნეიდერის** ანგარიშზეა, რომელმაც საჯარიმო შეასრულა ზუსტად და **კრიატიან აბიატის** კარის ცხრიანი დალაშქრა; რაც შეეხება "როსონერის" გოლებს, გამათანაბრებელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შეაგდო, რომელმაც **კლარენს ზეედორფის** ჩინებული პასი შეირგო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში; გამარჯვების გოლი **კევინ პრინც ბოატენგის** ანგარიშზეა, რომელმაც **ალეშანდრე პატოს** დარტყმის შემდეგ, ძელიდან უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და ბადეში გაახვია. "მილანმა" სეზონი ტროფეის მოგებით დაიწყო, **ჯანპიერო გასპერინის** დებიუტი კი წარუმატებელი გამოდგა. ნამატჩევს "ინტერის" მთავარი მწვრთნელი იმედგაცრუებული გახლდათ:

*"პირველი ტაიმი ძალიან კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად ვიგებდით, მაგრამ მეორე ნახევარში დაცვაში ვუმატეთ შეცდომებს და დავისაჯეთ კიდეც. არადა, ყველაფერი ჩვენს ხელში იყო და დასანანია, რომ ასე მოხდა. რას ვიზამთ, მთლიანობაში მაინც კარგი მატჩი იყო, რომელმაც გამოცდილება შეგვძინა და ის ნაკლოვანებები გვაჩვენა, რომელთა აღმოფხვრა მოგვიწევს. სამუშაო ბევრია, ეს ისედაც ვიცოდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი".*

მატჩის შემდეგ, კომენტარი "ინტერის" კაპიტანმა **ხავიერ ძანეტიმაც** გააკეთა: *"იბრაჰიმოვიჩის საგოლე შეტევა მას შემდეგ დაიწყო, რაც მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ აშკარად დასანიშნ ჯარიმას წაუყრუა, ასე რომ, შეხვედრის საბოლოო რეზულტატზე არბიტრმაც იქონია გავლენა. თუმცა, დღეს ამაზე საუბარს აზრი აღარ აქვს და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ მარცხი დროზე დავივიწყოთ. მეორე ტაიმში "მილანმა" აშკარად გვაჯობა, ეს ნათლად გამოჩნდა და ამის უარყოფა შეუძლებელია, ჩვენ კი იმ შეცდომებზე გვმართებს სწავლა, რომლებიც მრავლად დავუშვით. ახალი მწვრთნელი გვყავს და მის მოდელზე გადასაწყობად გარკვეული დრო დაგვჭირდება, იმედია გულშემატკივრები ამ მარცხს გვაპატიებენ".*

სრულიად სხვა განწყობა გახლდათ "შავ-წითელთა" ბანაკში, სეზონის ტროფეით დაწყებამ ზლატან იბრაჰიმოვიჩი უზომოდ გაახარა: *"სუპერთასის პაექრობამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ სწორ გზას ვადგავართ და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტყუილად არ ვღვარეთ ოფლი ვარჯიშებზე. ძალიან კარგი თამაში იყო, რომელშიც უფრო ძლიერმა გაიმარჯვა. საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემი გარჯა არაფერი იქნებოდა თანაგუნდელთა ბრწყინვალე ასპარეზობის გარეშე, ხომ ნახეთ რა პასი მომცა კლარენს ზეედორფმა? – ასეთი გადაცემის შემდეგ, უბრალოდ შეუძლებელია გოლი არ გაიტანო. მთლიანობაში, კარგად ვითამაშეთ, მაგრამ საუკეთესო კონდიციამდე კიდევ ბევრი გვიკლია, "მილანი" გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდია და დარწმუნებული ვარ, რომ თამაშიდან თამაშამდე მოვუმატებთ".*

ნამატჩევს, კომენტარი მასიმილიანო ალეგრიმაც გააკეთა და შემდეგი განაცხადა: *"თამაში ცუდად დავიწყეთ, ბურთზე კონტროლი ვერაფრით დავაწესეთ, რაც "ინტერის" შესანიშნავი ასპარეზობის შედეგი გახლდათ. თუმცა, შემდეგ ხასიათი გამოვავლინეთ, გარდატეხა შევიტანეთ თამაშში და ყველაფერი დალაგდა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ასეთი მებრძოლი ხასიათი "მილანს" მთელი სეზონის განმავლობაში გაჰყვეს, ასეთ შემთხვევაში ჩვენი შეჩერება ყველას გაუჭირდება. ჩემი აზრით, დამსახურებულად გავიმარჯვეთ და იმედია, ამაში მეტოქე გუნდის წარმომადგენლებიც დამეთანხმებიან. დავიმატებთ თუ არა ვინმეს? – შემადგენლობით კმაყოფილი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ თითქმის ერთი თვეა დარჩენილი, სავარაუდოდ ყველაფერი ასევე დარჩება".*

პეკინში გახლდათ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი**, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ **სილვიო ბერლუსკონის** პრეზიდენტობის პერიოდში, "მილანი" ყველაზე წარმატებული კლუბია მსოფლიოში. ბოლოს, სწორედ სენიორ ადრიანოს მოვუსმინოთ: *"უკვე ველაპარაკე სილვიოს და მინდა გითხრათ, რომ ის ბედნიერია ამ გამარჯვებით. მისი 26-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში "მილანმა" 13 საერთაშორისო და 15 შიდა ტიტული მოიგო, რაც მართლაც რომ ფენომენალური შედეგია. აქვე, მინდა ჩინელ გულშემატკივრებს გადავუხადო მადლობა, რომლებმაც მხურვალედ დაგვიჭირეს მხარი და დიდწილად სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მატჩის ბედი საჩვენოდ შემოვატრიალეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ სეზონი ტროფეის მოგებით დავიწყეთ, ეს გუნდის საბრძოლო განწყობას კიდევ უფრო აამაღლებს".*

**ლაშა ნიკლაური**

● რომა

# ლამელა ოფიციალურად გამგელდა

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ "რომას" მესვეურებმა **ერიკ ლამელას** ტრანსფერზე მუშაობა წარმატებით დაასრულეს და იქვე დავძინეთ, რომ სულ მალე, ფეხბურთელსა და კლუბს შორის ოთხწლიანი ხელშეკრულება გაფორმდებოდა. ასე აგიხდეთ ყველაფერი, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 19 წლის არგენტინელმა გააფორმა კონტრაქტი და დღეიდან "ჯალოროსის" სრულფასოვანი ფეხბურთელია.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, არგენტინული კლუბი ლამელას სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს მიიღებს, ფეხბურთელის ჯამაგირი კი პირველ ორ სეზონში 1.8 მილიონი ევრო, ბოლო ორ სეზონში კი 2.5 მილიონი ევრო იქნება. სხვადასხვა სახის ბონუსების ჩათვლით, ფეხბურთელის წლიურმა ანაზღაურებამ შესაძლოა 2.85 მილიონ ევროსაც კი მიაღწიოს. "რომას' სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია:

*"ლუის ენრიკეს ძალიან უნდოდა ლამელას გადაბირება და მიხარია, რომ მისი სურვილი ავასრულეთ. ლამელას ერთი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით და მიუხედავად იმისა, რომ "რივერ პლეიტისთვის" სეზონი წარუმატებელი გამოდგა, თვითონ ფეხბურთელმა თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. შესაბამისად, მისი გადაბირებისთვის ყველაფერი ვიღონეთ და შედეგიც სახეზეა".*

შეგახსენებთ, რომ "რომამ" ლამელას გარდა **მარტენ სტეკელენბურგი, ბოიან კრკიჩი, გაბრიელ ჰაინცე** და **ხოსე ანხელი** დაიმატა.

**ლაშა ნიკლაური**



ერიკ ლამელა

გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

# გემრიელი დასაწყისი

## ბაიერნის კრახი ნოიერის ბრალია!

ბრემენის „ვერდერს“ კარგად თამაში და რაც მთავარია, მოგება შეძლებია. ერთ დროს ამბიციურმა გუნდმა გასულ სეზონში მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა, ერთი კვირის წინ კი, გერმანიის თასს პირველივე რაუნდში, მესამებუნდესლიგელ „ჰაიდენჰაიმთან“ (1:2) გამოეთიშა, რის შემდეგაც ბრემენში განგაშის ზარებს შემოჰკრეს, მაგრამ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა: ბუნდესლიგის პირველ ტურში **თომას შააფის** გუნდმა „კაიზერსლაუტერნი“ 2:0 დაამარცხა და მართალია, „ლაუტერნი“ არ არის მაინცდამაინც ძლიერი მეტოქე, მაგრამ მაინც: „ვერდერში“ შვებით ამოისუნთქეს. „მუსიკოსების“ გამარჯვება შვედი თავდამსხმელის, **მარკუს როზენბერგის** (ორივე გოლი მის ანგარიშზეა) დამსახურება გახლავთ – იმ როზენბერგისა, რომელიც ახლა წესით „ვერდერში“ არ უნდა თამაშობდეს, რადგან ბრემენელებს მისი თავიდან მოშორება უნდოდათ.

„როზი“ გასულ სეზონში სანტანდერის „რასინგში“ იყო განათხოვრებული და პრიმერადივიზიონში 9 გოლი გაიტანა, თუმცა ესპანურ კლუბში ხელფასი არ გადაუხადეს (!), რისთვისაც „რასინგს“ ფიფაში უჩივის. ბრემენში მისი დაბრუნებით არ აღფრთოვანდნენ, ახლა კი, ალბათ უხარიათ, რომ როზენბერგი არ წავიდა (მისი გადაბირება არავინ მოისურვა).

*„გული მიგრძნობდა, რომ „კაიზერსლაუტერნთან“ აუცილებლად გავიტანდი, დუბლმა კი ძალიან გამახარა და ვფიქრობ, ჩემი მდგომარეობა გამოსწორებულია,“* - აცხადებს შვედი და მდგომარეობის გამოსწორებაში იმასაც გულისხმობს, რომ შააფი მას ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებდა. საქმე იმაშია, რომ ბრემენული კლუბის წინა ხაზიდან, სასტარტოში თამაში მხოლოდ **კლაუდიო პისაროს** აქვს განაღდებული, რომელიც ამჯერად ტრავმირებული იყო. მეორე ადგილისთვის კი როზენბერგი, **მარკო არნაუტოვიჩი**, **სანდრო ვაგნერი** და **ლენარტ თაი** იბრძვიან. „ლაუტერნთან“ შააფმა როზენბერგ-თაის წყვილი ათამაშა და შედეგიც ნახა.

სეზონის გამარჯვებით დაწყება ბრემენელებს ძალიან უხარიათ, მაგრამ ამავდროულად **პერ მერტეზაკერზე** დარდობენ, რადგან დიდი შანსია, რომ „მუსიკოსების“ კაპიტანი „ვერდერიდან“ წავიდეს. პერი არ უარყოფს, რომ მისი წასვლა რეალურია – ბრემენში ახლა უკვე სულ სხვანაირი სიტუაციაა, კლუბმა ყველაფერში ფული უნდა დაზოგოს და ვერავის შევპირდები, რომ ამ სეზონს აქ გავატარებო. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ვერდერს“ ფული სჭირდება და კარგი წინადადების შემთხვევაში, ბრემენელები არა მარტო მერტეზაკერს, არამედ **მარკო მარინს** და მეკარე **ტიმ ვიზესაც** გაყიდიან.

რაც შეეხება დამარცხებულ „კაიზერსლაუტერნს“ - შაბათს ამ გუნდს სასაცილო და გერმანელებისთვის მეტად უჩვეულო რამ დაემართა: 81-ე წუთზე „ლაუტერნის“ რიგებში **კლემენს ვალხი** უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პერსონალს მისი ფორმა გასახდელში დარჩენოდა. შესაბამისად, ვალხი მოედანზე ვერ შევიდა და მწვრთნელმა **მარკო კურცმა** მის ნაცვლად მინდორზე **მარტინ ამედიკი** შეუშვა. კურცი გაოგნებული იყო, ბუნდესლიგაში ასეთი რამ თუ მოხდებოდა, ნაღდად არ მეგონაო...

ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის მოულოდნელმა ნახევარფინალისტმა „შალკემ“ სეზონი სამარცხვინოდ დაიწყო. „შტუტგარტის“ სტადიონს რეკონსტრუქცია ორი წლის განმავლობაში უკეთდებოდა და განახლებულ-გალამაზებული „მერსედეს ბენც არენა“ შაბათს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, შვაბებმა კი ახალ სტადიონზე „შალკე“ ყველა ასპექტში დაჩაგრეს – 3:0 60 000 მაყურებლის თვალწინ. გელზენკირხენელებმა იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ დიდი შანსია, ბუნდესლიგაში წელსაც ისეთივე საშინელი სტარტი აიღონ, როგორც შარშან, **ფელიქს მაგათის** ხელში, როცა ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს. არადა, **რალფ რანგნიკმა** ბევრი რამ შეცვალა და წესით, **ლევან ყენიას** კლუბს შტუტგარტში ღირსეულად უნდა ეთამაშა. საუკეთესო შალკელი **მანუელ ნოიერის** შემცვლელი **რალფ ფერმანი** (!) გახლდათ – მიუხედავად სამი გოლის გაშვებისა. რომ არა ფერმანი, „შტუტგარტი“ მინიმუმ 5:0-ს მოიგებდა. კაპიტანმა **ბენედიქტ ჰიოვედესმა** თქვა, აბსოლუტურად დამსახურებულად დავმარცხდითო, მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** კი დასძინა, ფეხბურთელების უმეტესობას ფეხი არ გაუნძრევიაო.

შვაბთა იაპონელმა ნახევარმცველმა, 25 წლის **შინჯი ოკაზაკიმ** მატჩის მიწურულს, შეცვლაზე შესვლიდან რვა წუთში ულამაზესი გოლი გაიტანა. მასთან ერთად, ძალიან კარგად ითამაშა მექსიკელმა ახალწვეულმა **მასამ**, რომელიც შვაბებმა „ეინდჰოვენიდან“ შეიძინეს. მან „შტუტგარტის“ დაცვის ბურჯი და კაპიტანი **მატიო დელპიერი** შესანიშნავად შეცვალა და როგორც **კლაას-იან ჰუნტელაარს**, ისე **რაულს**, არაფერი გააბედინა. მატჩის შემდეგ შტუტგარტელთა დამრიგებელი **ბრუნო ლაბადია** კმაყოფილებისგან ხელებს იფშვნეტდა, „შალკეს“ თავკაცი რალფ რანგნიკი კი კატაკომბებში უსიტყვოდ გაუჩინარდა – ფაქტია, „პროფესორს“ ბევრი საქმე აქვს.

სამაგიეროდ, სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო „ვოლფსბურგმა“, რასაც გერმანიის თასზე განცდილი კრახის შემდეგ ბევრი არ ელოდა. 3:0 კიოლნში – ფელიქს მაგათმა „მგლებს“ ჩინებული სტარტი აღებინა. წინა კვირაში, ანუ, თასიდან გავარდნის შემდეგ „ვოლფსბურგში“ ბევრი რამ მოხდა – მთავარი მოვლენა კი ის იყო, რომ მაგათმა 27 წლის **მარსელ შეფერს** კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა და გუნდის თავად ახალწვეული **კრისტიან ტრეში** დანიშნა, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, მაგრამ შეფერი იმპიჩმენტს არ დაუსუსტებია. პირიქით, მარსელმა ძალიან კარგად ითამაშა და მშვენიერი გოლიც კი გაიტანა, რაც 2008 წლის 17 მაისის შემდეგ არ ჰქონდა გაკეთებული. ბევრი იმასაც არ ელოდა, რომ მაგათი 27 წლის თავდამსხმელ **პატრიკ ჰელმესს** სასტარტოში გაამწესებდა, მაგრამ „დესპოტი“ სწორედ ასე მოიქცა და მისმა გადაწყვეტილებამ გაამართლა კიდეც – პატრიკმა დუბლი შეასრულა. თუმცა მაგათს მისი თავიდან მოშორება გადაწყვეტილი აქვს და აღიარა კიდეც, იმიტომ ვათამაშე, რომ გოლები გაეტანა და მისი მსურველები გამოჩენილიყვნენ, კარგია, რომ ეს მოახერხა და ახლა ჰელმესის თაობაზე კარგ შემოთავაზებებს ველოდებიო. აი, ასე და თუ მაგათი ჰელმესს გაყიდის, მაშინვე ფრაიბურგელ **პაპის დემბა სისეს** იყიდის, რომელიც 15-16 მილიონი ევრო ღირს. სხვათა შორის, სისეს ყიდვა მოსკოვის „დინამოსაც“ უნდა.

რაც შეეხება „კიოლნს“ - ამ გუნდში ყველაფერი კარგად არ არის. **ლუკას პოდოლსკისთვის** კაპიტნობის ჩამორთმევის შემდეგ, ისე ჩანს, რომ ახალ მწვრთნელ **სტალე სოლბაკენს** მართვის სადავეები ხელიდან გაექცა. პოლდი მთელი მატჩის განმავლობაში იდგა და თითქმის არ მოძრაობდა. შედეგი: „კიოლნს“ სეზონის პირველი მატჩი 2005 წლის შემდეგ არ მოუგია...

ზემოთ ნახსენებმა სისემ, რომელიც შარშან 22 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა, ახალი სეზონიც გოლით გახსნა – „ფრაიბურგმა“ და ბუნდესლიგის დებიუტანტმა „აუგსბურგმა“ ამ უკანასკნელის მოედანზე ქულები გაიყვეს (2:2). აღსანიშნავია, რომ აუგსბურგელთა წარმოშობით ქართველი ნახევარმცველი **აკაკი გოგია** მწვრთნელმა **იოს ლუჰუკაიმ** მოედანზე 69-ე წუთზე შეუშვა და 81-წუთზე ახალგაზრდა ნახევარმცველმა საგოლე პასი გააკეთა. სწორედ მისი ჩაწოდების შემდეგ გაათანაბრა ანგარიში 26 წლის თავდამსხმელმა **საშა მიოლდერსმა**. ზოგადად, ამ უკანასკნელმა „ფრაისთან“ დუბლი შეასრულა. მიოლდერსი მატჩის გმირი გახდა და მის შესახებ რამის გახსენებას ამაოდ ცდილობთ – საშა მიოლდერსი მხოლოდ ძალიან დაკვირვებულ თვალს თუ ეხსომება. ეს ფორვარდი „ფრანკფურტის“ ფეხბურთელი იყო და „აუგსბურგმა“ 200 000 ევროდ, გაგდებული **მიხაელ თურკის** შემცვლელად შეიძინა. მენეჯერი **ანდრეას რეტიგი** ამბობს, საშა სწორედ ამისთვის ვიყიდეთ და იმედია, გოლებს მომავალშიც გაიტანსო.

ახალი სეზონი მოგებებით დაიწყეს „ჰანოვერმა“ და „ნიურნბერგმაც“. **მირკო სლომკას** „წითლებმა“ „ჰოფენჰაიმი“ დაამარცხეს, ფრანკებმა კი ბერლინის „ჰერტას“ ბუნდესლიგაში დაბრუნების ზეიმი ჩაუშხამეს. დედაქალაქელთა რიგებში **ლევან კობიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

გუშინ, მიუნხენის „ბაიერნმა“ სენსაციური მარცხი იწვნია: რეკორდმაისტერი საკუთარ „ალიანს არენაზე“ ბუნდესლიგის კლასიკურ დუელში მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ დამარცხდა. ყველაზე საინტერესო და „ბაიერნისთვის“ სავალალო კი ის არის, რომ მიუნხენელებმა **მანუელ ნოიერის** შეცდომის გამო წააგეს! „გლადბახის“ თავდამსხმელმა **იგორ დე კამარგომ** გამარჯვების გოლი თავით სწორედ მას მერე გაიტანა, რაც ნოიერს საჰაერო ორთაბრძოლა (!) მოუგო. *„მანუელი იმ მომენტში კარიდან არ უნდა გამოსულიყო. გაშვებული გოლი მხოლოდ მისი ბრალია!“* - ეს **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია. ამრიგად, რეკორდმაისტერმა სტარტი აიღო და მოქმედ ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას“ პირველი ტურის შემდეგ უკვე სამი ქულით ჩამორჩება...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მიონხენგლადბახელთა თავდამსხმელმა იგორ დე კამარგომ ალიანს არენა დაადუმა

### მომდევნო ტური

13 აგვისტო. შალკე-კიოლნი, ჰამბურგი-ჰერტა, ნიურნბერგი-ჰანოვერი, ფრაიბურგი-მაინცი, ჰოფენჰაიმი-ბორუსია (დ), ვოლფსბურგი-ბაიერნი, ბორუსია (მ)-შტუტგარტი.

14 აგვისტო. კაიზერსლაუტერნი-აუგსბურგი, ლევერკუზენი-ვერდერი.

### ბორუსია (დ)-ჰამბურგი 3:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიჟჩეკი, ჰუმელსი, ფელიპე სანტანა, ლიოვე (75. პერიშიჩი) - ს. ბენდერი, გიუნდოგანი - გიოტცე (75. ბლაშჩიკოვსკი), კაგავა (90. კელი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი - დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, აოგო - რინკონი, კაჩარი (73. ტეშე) - თიორე. ელია (46. იანსენი) - გერერო (42. ბენ-ჰატირა), პეტრიჩი.

**გოლები:** 1:0 გროსკროიტცი (17), 2:0 გიოტცე (29), 3:0 გროსკროიტცი (48), 3:1 ტეშე (79)

**გაფრთხილება:** ლევანდოვსკი - მანსიენი, კაჩარი, რინკონი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16(5)-8(3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 80 720

### ვერდერი-კაიზერსლაუტერნი 2:0

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - პაპასტატოპულოსი, მერტეზაკერი, ვოლფი, შმიტცი - ბარგფრედე (46. ექიჩი) - ფრიტცი, ჰანტი - მარინი (59. ვესლი) - როზენბერგი, თაი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ტრაპი - დიკი, აბელი, როდნი, იესენი - ტიფერტი, პეცოსი (82. ამედიკი) - შაჰანი, დე ვიტი (63. ფორტუნისი), ილიჩევიჩი - სუკუტა-პასუ (46. შეხტერი).

**გოლები:** 1:0 როზენბერგი (60), 2:0 როზენბერგი (81)

**გაფრთხილება:** ვესლი - სუკუტა-პასუ, დიკი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 14-27; **თამაშგარე:** 6-6; **კარში დარტყმა:** 19(5)-9(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 41 100

### ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი 2:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩაჰედი, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ (69. ჰაუგერი) - შტინდლი, რაუში (74. პანდერი) - შლაუდრაფი, აბდელაუ (84. შტოპელკამპი).

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი - რუდი, სალიჰოვიჩი (67. რობერტო ფირმინიო) - ობასი, ჯონსონი (90. ტაგო) - ბაბელი (63. შიპლოკი), მლაპა.

**გოლები:** 1:0 შლაუდრაფი (15), 1:1 სალიჰოვიჩი (18-პენ), 2:1 აბდელაუ (30-პენ)

**გაფრთხილება:** პოგატეცი, კ. შულცი - რუდი, ობასი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 7(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 40 315

### შტუტგარტი-შალკე 3:0

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, მასა, მოლინარო - კვისტი, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი (72. ტრაორე), ჰაინალი (79. ოკაზაკი), გენტნერი - კაკაუ (85. პოგრებნიაკი).

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, ფუხსი - ჯონსი, მატიპი (46. დრაქსლერი) - ბაუმიოჰანი (68. მორავეკი), რაული, ჰოლტბი (65. ედუ) - ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 კაკაუ (37), 2:0 ჰარნიკი (56), 3:0 ოკაზაკი (89)

**გაფრთხილება:** გენტნერი - პაპადოპულოსი

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 12(6)-15(9); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 60 000

### კიოლნი-ვოლფსბურგი 0:3

**კიოლნი (4-2-2-2):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟერომელი, პეცონი (83. როში), აიხნერი (46. პეჟკო) - რიტერი, ლანიგი - ჩიჰი (88. ანდრეზინიო), ჟაჟალო - ნოვაკოვიჩი, პოდოლსკი.

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო - ჰასებე (84. შულცე), კიაერი, რუსი, მ. შეფერი - ტრეში, ჟოსუე - ოხსი (81. მადლუნგი), სალიჰამიჯიჩი (75. შინდცილორცი) - ჰელმესი, მანჯუკიჩი.

**გოლები:** 0:1 ჰელმესი (17), 0:2 მ. შეფერი (85), 0:3 ჰელმესი (93)

**გაფრთხილება:** ჰასებე, ოხსი, რუსი, მ. შეფერი, მანჯუკიჩი

**გაძევება:** ნოვაკოვიჩი (79. კიოლნი)

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7(1)-17(8); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 47 000

### აუგსბურგი-ფრაიბურგი 2:2

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში - ვერჰეგი, მიორლე, დე რუკი, დე იონგი - კალსენ-ბრაკერი, დავიდსი (76. ს. ჰაინი) - ნდიენგი (69. გოგია), ბაიერი, ვერნერი (46. ბელინგჰაუზენი) - მიოლდერსი.

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მიოჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - შუსტერი - კალიჯური (88. დემბელე), ფლუმი, მაკიადი (83. პუცილა), აბდესადკი - სისე.

**გოლები:** 0:1 სისე (48), 1:1 მიოლდერსი (53), 1:2 მაკიადი (55), 2:2 მიოლდერსი (81)

**გაფრთხილება:** დე იონგი, ვერნერი - ბართი, კალიჯური, მუიჯა, ფლუმი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 17-25; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 11(7)-9(4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 30 403

### ჰერტა-ნიურნბერგი 0:1

**ჰერტა (4-2-2-2):** კრაფტი - ლელი, ფრანცი, მიატოვიჩი, კობიაშვილი - ოტლი, ნიმაიერი - ებერტი (76. რუკავიტსია), თორუნი (46. რაფაელი) - რამოსი, ლასოგა.

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა - სიმონსი - მენდლერი (90. დიდავი), ფოილნერი (80. ჰეგელერი), კოენი, აიგლერი (71. ესვაინი) - პეკჰარტი.

**გოლი:** 0:1 პეკჰარტი (80)

**გაფრთხილება:** ნიმაიერი, კობიაშვილი - ფოილნერი, კოენი, ესვაინი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 25-27; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 4(0)-13(7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 61 118

### მაინცი-ლევერკუზენი 2:0

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, სვენსონი (46. ბუნგერტი), ნოვესკი, კალიჯური – პოლანსკი, სოტო – რისსე, ივანშიტცი (91. კირხჰოფი), შტიბერი (71. ჩუპო-მოტინგი) – ალაგუი.

**ლევერკუზენი (4-1-4-1):** გიფერი – შვააბი, ტოპრაკი, რაინარტცი, კადლეცი – როლფესი (60. იორგენსენი) – სემი, ლ. ბენდერი, რენატო (83. კისლინგი), შიურლე – დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 ალაგუი (32), 2:0 ტოპრაკი (86-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** სვენსონი, პოლანსკი, ბუნგერტი – რენატო, ლ. ბენდერი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 22(8)-9(2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 32 443

### ბაიერნი-ბორუსია (მ) 0:1

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი (76. პეტერსენი), ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – რობენი, კროოსი (60. რიბერი), თ. მიულერი – გომესი.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე (90. მარქსი), ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – როისი (92. რუპი), არანგო – ჰანკე (83. ჰერმანი), დე კამარგო.

**გოლი:** 0:1 დე კამარგო (62)

**გაფრთხილება:** დე კამარგო.

**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 19(7)-7(3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 69 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2. ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3. ბორუსია (დ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 4. ვერდერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5. მაინცი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6. ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 7. ბორუსია (მ) | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8. ნიურნბერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 9. აუგსბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 10. ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 12. ჰერტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 13. ბაიერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 14. ჰამბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 15. კაიზერსლაუტ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 16. ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 17. კიოლნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 18. შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**ბომბარდირები:** 2 – გროსკროიტცი (ბორუსია დ), ჰელმესი (ვოლფსბურგი), მიოლდერსი (აუგსბურგი), როზენბერგი (ვერდერი).

### II ბუნდესლიგა

III ტური

**ზანკტ პაული-ალემანია 3:1**

**გოლები:** 0:1 ფაისტჰამელი (7), 1:1 მ. კრუზე (17), 2:1 ბრუნსი (45-პენ), 3:1 მ. კრუზე (91)

**ფორტუნა-ინგოლშტადტი 4:1**

**გოლები:** 1:0 რიოსლერი (43), 2:0 ბრიოკერი (50), 2:1 მო. ჰარტმანი (53), 3:1 ო. ფინკი (54), 4:1 ბრიოკერი (72)

**უნიონი-პადერბორნი 3:0**

**გოლები:** 1:0 შტუფი (5), 2:0 ქუირინგი (64), 3:0 ქუირინგი (66)

**ფიურტი-დინამო (დ) 1:0**

**გოლი:** 1:0 ოკეანი (48)

**კოტბუსი-მიუნხენ 1860 0:5**

**გოლები:** 0:1 აიგნერი (2), 0:2 ფოლანდი (23), 0:3 დ. ჰალფარი (32), 0:4 ჰიუნემაიერი (40-საკ. კარში), 0:5 ლაუთი (72)

**აუე-კარლსრუე 0:2**

**გოლები:** 0:1 იაშვილი (16), 0:2 კრებსი (78)

**ბრაუნშვაიგი-აინტრახტი 0:3**

**გოლები:** 0:1 კიოლერი (3), 0:2 მაიერი (83), 0:3 მაიერი (85)

**ფრანკფურტი-დუისბურგი 0:0**

**ჰანზა-ბოხუმი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფორტუნა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| 2. აინტრახტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| 3. ზანკტ პაული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4. მიუნხენ 1860 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| 5. ფიურტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| 6. კარლსრუე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| 7. ბრაუნშვაიგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 8. კოტბუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:7 | 6 |
| 9. უნიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 10. აუე | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| 11. პადერბორნი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| 12. ბოხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 13. ფრანკფურტი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| 14. ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 15. დუისბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 16. დინამო (დ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 17. ინგოლშტადტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| 18. ალემანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 – მაიერი (აინტრახტი); 3 – ბრიოკერი (ფორტუნა), იაშვილი (კარლსრუე), ოქეანი (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

ზაარბრიუკენი-კარლ ცაისი 2:1, პროისენი-ობერჰაუზენი 1:0, ზანდჰაუზენი-დარმშტადტი 2:0, ბურგჰაუზენი-ბაბელსბერგი 1:1, რეგენსბურგი-შტუტგარტი II 2:0, ვეენი-ოსნაბრიუკი 2:1, არმინია-აალენი 0:1, ოფენბახი-უნტერჰახინგი 1:4, ჰაიდენჰაიმი-ხემნიტცი 3:2, ერფურტი-ვერდერი II 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ქომუნითი შილდი




# დიდი დერბი უემბლიზე!

**მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი 2:3**

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი (73. კლიში) - დე იონგი, ი. ტურე, მილნერი (67. ჯონსონი) - სილვა, ჯეკო, ბალოტელი (59. ბერი)

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა - სმოლინგი, ფერდინანდი (46. ჯონსი), ვიდიჩი (46. ევანსი), ევრა (72. რაფაელი) - ნანი, ქერიკი (46. კლივერლი), ანდერსონი, იანგი - რუნი, უილბეკი (89. ბერბატოვი)

**გოლები**: 1:0 ლესკოტი (38), 2:0 ჯეკო (45), 2:1 სმოლინგი (52), 2:2 ნანი (58), 2:3 ნანი (90)

**გაფრთხილება**: ჯეკო, რიჩარდსი, ი. ტურე, მილნერი - ანდერსონი, ევრა

**კუთხური**: 8-7; **ჯარიმა**: 14-11; **კარში დარტყმა**: 10-17 (4-4); **თამაშგარე**: 2-0; **ბურთის ფლობა**: 34%-66%

**მაყურებელი**: 77 169

ეს იყო ზღაპრული თამაში! პირველი ტაიმის შემდეგ ამ შეხვედრისადმი მიძღვნილი წერილისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა ასე: „სიტიმ“ დე ხეა დახია, მაგრამ, დაბრუნდნენ შესვენების შემდეგ გუნდები გასახდელიდან და... მერე რაღაც საოცრება მოხდა. რა სამწუხაროა, „ქომუნითი შილდის“ ყურება ქართველ გულშემატკივარს და არა მარტო გულშემატკივარს, არამედ ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ესთეტიკის განცდა აქვს, ტელეეკრანიდან არ შეეძლო. ინტერნეტით ასეთი სანახაობის ცქერა ცოდოა, მაგრამ სულ არნახვა აშკარად არ ივარგებდა. მერამდენედ დაამტკიცა ინგლისის ჩემპიონის მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა**, რომ ჯადოქარია. ნეტავ, რა შეიძლება უთხრას თავკაცმა შეგირდებს შესვენების დროს ისეთი („იუნაიტედი“ 2:0-ს აგებდა და თან მეორე გოლი ფსიქოლოგიურად ყველაზე ცუდ დროს — 45-ე წუთზე, დებიუტანტი მეკარის, **დავიდ დე ხეას** შეცდომის გამო გაუშვა), რომ გუნდი მეორე ტაიმში მოედანზე გავიდეს და ენით აუწერელი ხარისხის ფეხბურთით 3:2 მოიგოს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად „იუნაიტედის“ მეორე გოლი მიგვაჩნია. ჰოკეი ხომ გინახავთ? ხომ გახსოვთ, როგორ თამაშდება სწრაფი კომბინაცია სპორტის ამ ყინულოვან სახეობაში? დაახლოებით ასეთი რამ მოახერხა მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან (თუ შედარება სწორი არ გამოგვივიდა, ბოდიშს ვიხდით) და საჯარიმოში ფერგიუსონის გუნდმა არა სრიალა ზედაპირზე, არამედ ბალახზე, ფეხბურთის ბურთით, რაც საბოლოოდ **ნანის** ტექნიკური დარტყმით და ანგარიშის გათანაბრებით დასრულდა.

და ბოლო როგორი იყო? შეხვედრისთვის გამოყოფილი 90 წუთი რომ გაილია, მსაჯმა 4 წუთი წაამატა და ისიც მთავრდებოდა (ყველა პენალტების სერიას ელოდა), როდესაც **უეინ რუნიმ** „სიტის“ მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ცენტრისკენ გადააგდო, სადაც ნანიმ **ვენსან კომპანის** აჯობა, უფრო სწორედ კი ბელგიელის „საჩუქრით“ ისარგებლა, **ჯო ჰარტთან** პირისპირ შევიდა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

ვატყობთ, შეხვედრის აღწერა უფრო ემოციური და ნაკლებად თანმიმდევრული გამოგვივიდა, ამიტომ, ახლა შევეცადოთ ეს ნაკლი გამოვასწოროთ. თავიდან შეტევას უფრო „იუნაიტედი“ ცდილობდა და ნახევარმომენტები და „ჩხვლეტებიც“ ჰქონდა, მაგრამ ყურებჩამოყრილი არც „სიტი“ გახლდათ და 38-ე წუთზე **ჟოლიან ლესკოტმა** ანგარიში გახსნა — აუტის ხაზთან **პატრის ევრა** დაჯარიმდა, საიდანაც **დავიდ სილვამ** ჩააწოდა, ლესკოტი კი „იუნაიტედის“ მცველებს შორის უშიშრად აფრინდა და თავური დარტყმით შეაგდო. მეორე გოლი **რობერტო მანჩინის** გუნდმა, როგორც გითხარით, 45-ე წუთზე გაიტანა: მეტოქის საჯარიმოს **ედინ ჯეკო** მიუახლოვდა, დაარტყა და... ეს დარტყმა დავიდ დე ხეას უნდა მოეგერიებინა.

მეორე ტაიმში ინგლისის ჩემპიონმა პირველი გოლი 52-ე წუთზე შეაგდო — **კრის სმოლინგმა ეშლი იანგის** ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ფეხით სწორი მიმართულება მისცა. ამ ეპიზოდში ისტლენდელთა დაცვამ ბურთი სმოლინგამდე ძალიან იოლად გაატარა. დანარჩენი ორი გოლის ამბავი კი ზემოთ მოგახსენეთ.

კიდევ ერთი რამ, რაზეც აუცილებლად უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება: „ჯადოქარმა“ ალექს ფერგიუსონმა შესვენებისას სიტყვიერი შეგონების გარდა ზემოქმედების სხვა ხერხსაც მიმართა — ერთბაშად სამი ფეხბურთელი შეცვალა, რომელთაგან ორი, **ნემანია ვიდიჩი** და **რიო ფერდინანდი** გამოცდილი ცენტრალური მცველები იყვნენ. მათ ნაცვლად ფერგიმ გამოუცდელი **ფილ ჯონსი** და **ჯონი ევანსი** შეიყვანა — ნეტავ წამყვანი მოთამაშეების შეცვლას რა შემთხვევაში მოაქვს შედეგი?

და ბოლოს: მანჩინიმ ახალშეძენილი **სერხიო აგუერო** არ ათამაშა.

გამოსათხოვარი მატჩი

# სქოულზმა ხელი დაგვიქნია

**პოლ სქოულზმა** გამოსათხოვარ შეხვედრაში ითამაშა — „ოლდ ტრეფორდზე“ 36 წლის მანჩესტერელი ვარსკვლავის ბენეფისი გაიმართა, რომელშიც მან გოლი გაიტანა. ვეტერანს სულ 8 წუთი დასჭირდა მისთვის ჩვეული დარტყმა რომ შეესრულებინა და საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან ნიუ იორკის „კოსმოსის“ კარი დაელაშქრა.

პოლ სქოულზმა კარიერა მაისში დაასრულა. მან მთელი კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაატარა, გუნდის შემადგენლობაში 676 შეხვედრა ჩაატარა და 150 გოლი გაიტანა. „ოლდ ტრეფორდზე“ შეკრებილ 74 731 გულშემატკივარს უნდოდა სქოულზს კიდევ ერთი გოლი გაეტანა და როდესაც „კოსმოსის“ ფეხბურთელებმა საჯარიმოში **ეშლი იანგი** წააქციეს, მსაჯმა კი პენალტი დანიშნა, მოითხოვეს თერთმეტმეტრიანი დღის გმირს დაერტყა, მაგრამ ფეხბურთელმა ტრიბუნების თხოვნა ყურად არ იღო და პენალტი **უეინ რუნიმ** შეასრულა. სულ, „იუნაიტედმა“ 6 გოლი გაუტანა ნიუ იორკის გუნდს, რომელსაც „ოლდ ტრეფორდის“ ლეგენდა **ერიკ კანტონა** ხელმძღვანელობდა. „კოსმოსმა“ საპასუხოდ ვერაფერი მოახერხა. მანჩესტერელთაგან სქოულზისა და რუნის გარდა გოლები გაიტანეს **ანდერსონმა, დენი უილბეკმა** და ორიც **მამე ბირამ დიუფმა**, რომელიც სერ **ალექს ფერგიუსონს** ხან „მიოლდეში“ ჰყავდა გაქირავებული და ხანაც „ბლექბერნში“.

პოლ სქოულზს **პელემ** „კოსმოსის“ მაისურა გადასცა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**









ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური

**ჰალი-ბლექპული 0:1**

გოლები: 0:1 ტეილორ-ფლეტჩერი (81)

**ქოვენთრი-ლესტერი 0:1**

გოლები: 0:1 პელტიერი (51)

**ბრაიტონი-დონკასტერი 2:1**

გოლები: 0:1 შარპი (38), 1:1 ბაკლი (82), 2:1 ბაკლი (90)

**ბრისტოლი-იფსვიჩი 0:3**

გოლები: 0:1 ჩოპრა (12), 0:2 მარტინი (51), 0:3 ჩოპრა (59)

**ბარნლი-უოტფორდი 2:2**

გოლები: 0:1 ფორსითი (44), 0:2 იეტისი (70), 1:2 ოსტინი (76), 2:2 ტრისი (84)

**დერბი-ბირმინგემი 2:1**

გოლები: 0:1 კ. დევისი (19), 1:1 შეკილი (25), 2:1 შ. დევისი (42)

**მიდლსბრო-პორტსმუთი 2:2**

გოლები: 1:0 ემნისი (23), 1:1 ნორისი (46), 2:1 უილიამსი (54), 2:2 ვერნი (90)

**პიტერბორო-კრ. პალასი 2:1**

გოლები: 0:1 სკენილი (33), 1:1 მაკკენი (58), 2:1 ბოლი (73)

**რედინგი-მილუოლი 2:2**

გოლები: 0:1 ჰენდერსონი (48), 0:2 მატკისი (62), 1:2 მენსიტი (86), 2:2 მენსიტი (89)

**საუთჰემპტონი-ლიდსი 3:1**

გოლები: 1:0 ჰემონდი (10), 2:0 ლელენა (24), 3:0 კონოლი (52), 3:1 გრადელი (90-პენ)

**ვესტ ჰემი-კარდიფი 0:1**

გოლები: 0:1 მილერი (90)

**ნოტინგემი-ბარნსლი 0:0**

**პირველი ლიგა. I ტური**

ბრენტფორდი-იეოვილი 2:0, კერლისლინოტს ქაუნთი 0:3, ჩარლტონი-ბურნმუთი 3:0, ჰადერსფილდი-ბერი 1:1, მილტონი-ჰარტლპული 2:2, ოლდჰემი-შეფილდი 0:2, პრესტონი-კოლჩესტერი 2:4, შეფილდ უენსდი-როჩდეილი 2:0, სტივენიჯი-ექსეტერი 0:0, ტრანმერი-ჩესტერფილდი 1:0, უოლსოლი-ლეიტონი 1:0, უაიკომბი-სკანთორპი 1:1.

**მეორე ლიგა. I ტური**

უიმბლდონი-ბრისტოლი 2:3, ბრედფორდი-ოლდერშოტი 1:2, ჯილინგემი-ჩელტენჰემი 1:0, მექსფილდი-დაგენჰემი 0:1, მორკემბი-ბერნეტი 0:1, ნორთემპტონი-ეკრინგტონი 0:0, პორტ ვეილი-ქროული 2:2, როტერჰემი-ოქსფორდი 1:0, შრუსბერი-პლიმუთი 1:1, საუთენდი-ჰერეფორდი 1:0, სუინდონი-ქრუ 3:0, თორგუეი-ბარტონი 2:2.

შოტლანდია. პრემიერლიგა

**III ტური**

**დანდი-სტ. მირენი 1:1**

გოლები: 0:1 ტომპსონი (11), 1:1 დეილი (67)

**დანფერმლაინი-ინვერნესი 3:3**

გოლები: 1:0 კირკი (26), 1:1 ტენსი (46), 2:1 კირკი (52), 2:2 ჰეიესი (76), 2:3 ტენსი (83), 3:3 ჰერდი (90)

**აბერდინი-სელტიკი 0:1**

გოლები: სტოკსი (74)

**მოზერუელი-ჰარტსი 1:0**

გოლები: 1:0 მერფი (60)

*რეინჯერსი-კილმარნოკი გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოზერუელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 2. სელტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. დანდი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 4. სტ. მირენი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 5. რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6. ჰიბერნიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 7. დანფერმლაინი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 8. კილმარნოკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 9. ჰართსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 10. სტ. ჯონსტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 11. აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| 12. ინვერნესი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

## ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პეტლიასინსკის ტურნირი

# ისევ ახალი სისხლი

## ნაკრების მორიგი აღმოჩენა



პოლონურ რადომში, ვლადისლავ პეტლიასინსკის მემორიალის მეორე დღესაც ჩვენი გუნდის მონაგარი კვლავაც ერთი მედალია, ამჯერად - ბრინჯაოსი. წინა დღეს **არჩილ თურმანიძის** (66) მიერ მოპოვებული ვერცხლისა არ იყოს, ამ ჯილდოს მომტანიც „ახალი სისხლია" ნაკრებში - წყალტუბოელი **ირაკლი ქაჯაია** (96). ის წლეულს ჩინებულ სეზონს ატარებს - ახალგაზრდებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, მერე კი მოიგო კარტოზიას ტურნირი... მან ჭიდაობა წყალტუბოში დაიწყო **დემურ კირტავასთან**, ახლა კი მეხუთე წელიწადია, ოსტატობას თბილისში იმაღლებს **ზაზა სილაგაძესთან** (სხვათა შორის, ბათუმიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ თურმანიძეც სილაგაძესთან ვარჯიშობს). ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ქაჯაიები ოჯახური დინასტიით გადმოვიდნენ წყალტუბოდან - **მიხეილ ქაჯაია** ირაკლის ძმაა, **იაკობ ქაჯაია** - ბიძაშვილი.

... პოლონეთში ირაკლიმ კარგად იასპარეზა. მართალია, ასაკიდან და გამოუცდელობიდან გამომდინარე სრულყოფილ ფალავანს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **შოთა გოგისვანიძისა** (120) არ იყოს, ჩოქბჯენში ჭიდაობას არც ეს გაურბის (მეტიც - შეტევაში ეს კიდევ უფრო დახვეწილად გამოიყუ-



ირაკლი ქაჯაია (მარჯვნივ)

რებოდა) - იგრძნობოდა მომზადება, დაგეგმილი სცენარი, მწვრთნელის ხელი... მოკლედ, ავლენდა იმას, რაც ვარჯიშებზე ჰქონდა ნასწავლი, ანუ იცის თავისი საქმე... პირველ წრეში მას შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა ყირგიზი **აზატ ერკლინბაევი** და იოლადაც მოუგო - 3:1; 4:2 (თუმცა ყირგიზები ამ ტურნირზე, საერთოდ, საკმაოდ კარგად გამოვიდნენ). მომდევნო მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი - ყაზახი ოლიმპიური პრიზიორი და აზიის არაერთგზის ჩემპიონი **ასატ მამბეტოვი იყო**. არ ვიცი, მეტოქის ტიტულმა ქაჯაიაზე წითელი ნაჭერივით იმოქმედა თუ რა იყო, მას კიდევ უფრო იოლად და დიდი ანგარიშით აჯობა - 5:0; 4:1. ხელწამოსაკრავი არც მომდევნო მოწინააღმდეგე იყო - ევროპის პრიზიორი ალბანელი **ელის გური**, რომელიც ამჟამად ბულგარეთის სახელით გამოდის. გურმა მანამდე ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **სოსო ჯაბიძე** დაგვიმარცხა (3:0; 4:0). პირველ პერიოდში ჩვენებურმა მშვენივრად, ზედმეტი ძალების დაუხარჯავად დაატრიალა ჩოქბჯენიდან, მეორეში კი ის უტევდა და შანსი კარგადაც გამოიყენა, მაგრამ, როცა ილეთის გაგრძელება მოინდომა, ქაჯაიამ მშვენივრად გადაუხურა გდება და იქით აართვა 2 ქულა. ამით ანგარიში გათანაბრდა, პერიოდსაც ჩვენებური იგებდა, რაც საბოლოო გამარჯვებასაც ნიშნავდა. ალბათ უფრო ამას უნდა მივაწეროთ ბულგარელმწვრთნელის საქმეა და გვეეჭვება, **ბეგი დარჩიამ** ჯერ იჩქაროს - წინ ხომ ორი შეკრებაა, თუმცა ამ წონაში ქაჯაია ლიდერად გამოიკვეთა - წლეულს ყველგან აჯობა კონკურენტებს. მსოფლიოსთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრება ჩვენებისთვის კარტოზიას ტურნირი იყო, სადაც წყალტუბოელი მშვენივრად გამოვიდა, ჩემპიონი გახდა, მერე კი უცხოეთშიც დაამტკიცა ლიდერობა. არადა, მას წლეულს ევროპა-მსოფლიოზე გამოსვლამ არც ახალგაზრდულში მოუწია - ორივეგან ამ ასაკში ქვეყნის ჩემპიონმა **სანდრო დიხამინჯიამ** იჭიდავა და ვერცხლ-ბრინჯაოც მოიპოვა. ერთი სიტყვით, ქაჯაიას შემთხვევაშიც ზუსტად იგივე მდგომარეობაა, რაც შარშან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში **ლევან ბერიანიძესთან** დაკავშირებით იყო - მაშინ ახალგაზრდულში ვერც ის მოხვდა **გიორგი საკანდელიძესთან** კონკურენციის გამო, მაგრამ უფროსთა მსოფლიოსთვის შესარჩევ შეჯიბრებებში კარგად იასპარეზა, დაიმსახურა ნაკრებში ადგილი და მოსკოვში მსოფლიოზე ბრინჯაოც მოიპოვეს. იმედია, ქაჯაიას შემთხვევაშიც ასე მოხდება. სადღეისოდ მისი მთავარი პრობლემა გამოუცდელობაა, მაგრამ აჯობებს, ახლავე ჩაერთოს მაღალი დონის ტურნირებში, სამაგიეროდ, საოლიმპიადოდ დიდ გამოცდილებას მიიღებს. აქ

თა პროტესტი - მაინც არაფერს კარგავდნენ, თორემ საამისოდ საბაბი არ ჰქონდათ. აკი არც მსაჯებმა მიიღეს მათი პრეტენზიები და გური კიდევ ერთი ქულით დასაჯეს.

ქაჯაია ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუს **რუსტამ ტოტროვთან** დამარცხდა. აქ ბრძოლის ბედი ბურთულამ და წილისყრამ გადაწყვიტა, თორემ ჩვენებურს დგომში ქულა არ დაუკარგავს. თან მეორე პერიოდში რუსმა მომგებიანი ქულა ბოლო წამზე მოიპოვა - ქაჯაიას 1 წამიც რომ გაეძლო... თუმცა ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ, რომ ტოტროვი დღესდღეობით უფრო ძლიერია, რადგან უფროსიცაა და ბევრად გამოცდილიც. ივნისში ჩატარებულ რუსეთის ჩემპიონატში მან, არც მეტი, არც ნაკლები, ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** დაამარცხა, თუმცა მერე ფინალი **ნიკიტა მელნიკოვთან** წააგო. მას დიდ სტიმულს ეს ფაქტორიც აძლევდა - რადომში მელნიკოვიც ჭიდაობდა და ამჯერად ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ ტოტროვმა შედეგით აჯობა მესამეზე გასულ კონკურენტს, რითაც მსოფლიოზე წასვლაც გაინაღდა, ქაჯაიამ კი ბრინჯაოსთვის შეხვედრაში იაპონელ **საიკავა მორიკაცუს** ორ პერიოდში აჯობა.

მსოფლიოზე წასაყვანი შემადგენლობის დასახელება ნაკრების მთავარი დიხამინჯიას ფაქტორიც გასათვალისწინებელია, ოღონდ მისი წარმატებები ახალგაზრდულ ნაკრებზე მოდის, ეროვნულში კი ქაჯაია უკეთ გამოვიდა.

ამავე წონაში სუსტად იასპარეზეს ჯაბიძემ და განსაკუთრებით, ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა **ვასილ იმერლიშვილმა**. ჯაბიძემ ერთი შეხვედრა მაინც მოიგო - გერმანელ **ოლივერ ჰასლერთან**, იმერლიშვილი კი პირველივე წრიდან გამოვარდა ამერიკელ მსოფლიოს პრიზიორ **იუსტინ რუისთან** მარცხით. სამწუხაროდ, ასევე დასაწყისში წააგო **ლაშა გოგიტაძემაც** (ფრანგ **ტარიკ ბელმანდთან**), რომელმაც ამჯერად 60-ში იასპარეზა, 74-ში კი მონაწილე არ გვყოლია.

ამდენად, პოლონეთში 2 მედლის ამარა დავრჩით, მაგრამ საკადრო ანუ „ახალი სისხლის" თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანი შეჯიბრება გამოდგა. ნაკრები ახლა მინსკში დაბრუნდება, სადაც ამ ტურნირის დაწყებამდე ჩავიდა და იქ ერთობლივ შეკრებას გამართავს. პოლონეთის შემადგენლობას ხვალ მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე ფინალში ნაჭიდავები ოთხეულიც დაემატება: ჩემპიონები - **რევაზ ნადარეიშვილი** (84), შოთა გოგისვანიძე და ვერცხლის მედლის მფლობელები, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და სანდრო დიხამინჯია.

ვფიქრობთ, პეტლიასინსკის მემორიალმა სექტემბერში სტამბოლში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელი გუნდის კონტურებიც გამოავლინა. დარჩია ხშირად „მადანაშაულებს" ნაკრების შემადგენლობის შერჩევაში, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ იმ სამეულს, ვისაც ამჯერად წონა არ დააკლებინეს, მწვრთნელი აქამდე მსოფლიოსთვის ამზადებდა, თუმცა რას იზამს ამ ტურნირის შემდეგ, ძნელი სათქმელია - ლაშა გოგიტაძე და ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (84) პირველ წრეში დამარცხდნენ, ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **რევაზ ლაშხმა** (66) კი მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო. ვფიქრობთ, ამათგან ლაშხის პოზიციები მაინც ურყევია, დანარჩენებისა კი რომ შეიცვალოს, არ გაგვიკვირდება. გოგიტაძემ მოიგო კარტოზიას ტურნირი, კვირკველია მეორეზე გავიდა, თუმცა კონკურენტებს პირად შეხვედრებში აჯობა, მაგრამ ახლა სუსტად გამოვიდნენ. არადა, პოლონეთში 55-ში **ზურაბ მაჭარაშვილმა** კარგად იასპარეზა, ხოლო 74-ში ახალგაზრდულში დათუნაშვილმა მშვენიერი სეზონი ჩაატარა... დარჩია რადომში პირადად ესწრებოდა შეგირდთა ჭიდაობას, მაგრამ მისი აზრი კი ჯერ არ ვიცით. ვფიქრობთ, მწვრთნელი ახალ თაობას მისცემს დაწინაურების შანსს. მით უფრო, რომ ამჯერად არჩევანი აქვს - იგივე ნადარეიშვილი და გოგისვანიძე, ქაჯაია-დიხამინჯია... დარჩია სასიამოვნო პრობლემის წინაშე დგას 66-შიც - თურმანიძე თუ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია,** რომელიც ამჯერად მეხუთეზე გავიდა? შეგახსენებთ, რომ რადომში ორივე რუსთა სახელით მოჭიდავე **ამბაკო ვაჩაძესთან** დამარცხდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ შემადგენლობის შერჩევისას მწვრთნელები ხშირად ითვალისწინებენ, ვის დააყენებენ ამა თუ იმ წონაში მათი მთავარი მეტოქეები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოლონეთში რუსთა გამოსვლა (აზერბაიჯანელები საერთოდ არ ჩასულან) - სავარაუდოდ, მათთან ბევრი რამე გაირკვა და მთელ რიგ წონებში უკვე შეგვიძლია ვთქვათ, ვის გაეჯიბრებიან ჩვენები მსოფლიოზე. **ზაურ კურამაგომედოვმა** (60) და **რომან ვლასოვმა** (74) რუსეთის პირველობაც მოიგეს და ეს ტურნირიც. ვაჩაძემ შიდა პირველობა გამოტოვა, აქ კი დამაჯერებლად იმარჯვა. 84-ში **ალან ხუგაევმა** რევანში აუღო მსოფლიოს, ოლიმპიურსა და ევროპის ჩემპიონ **ალექსეი მიშინს** რუსეთის პირველობის ფინალში მარცხისთვის. ტოტროვმაც აჯობა კონკურენტს, გაურკვეველი მდგომარეობა კი მძიმესა და 55-ში რჩებათ.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ევროპის პირველობა

# ფინალს ქულით დავშორდით

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძეს** ბელგრადში მიმდინარე სპორტული პისტოლეტიდან მსროლელთა ევროპის პირველობაზე ერთადერთი ქულა დააკლდა ფინალში გასასვლელად. მოწინავე ოქტეტში გამსვლელი ამჯერად 580 ქულა აღმოჩნდა, ჩვენებურმა კი 579 დააგროვა. ამდენივე აღმოაჩნდათ ბულგარელ ორგზის ოლიმპიურ და ევროპის შვიდგზის ჩემპიონ **მარია გროზდევასა** და რუს **ანა მასტიანინას**, მაგრამ ჩვენებურმა მათ დამატებით სერიაში აჯობა და მეცხრე ადგილზე დარჩა.

ტურნირი კი ფრიად უცნაურად წარიმართა. მაშინ, როცა ფინალს მიღმა დარჩნენ იგივე სალუქვაძე, გროზდევა, ჩეხი მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსანი **ლენკა მარუსკოვა**, მასპინძელთა ფავორიტი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** და ამ სახეობის ლამის




მთელი ელიტა, საკვალიფიკაციო ტურნირი შვეიცარიელმა **ჰაიდი დიჩელმიმ** მოიგო 587 ქულით. იგი სულ სამი სეზონია, რაც უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობს, მაგრამ აქამდე თავი არაფრით გამოუჩენია, ახლა კი, დავასწრებთ მოვლენებს და გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონი გახდა. თუმცა ალბათ, შესარჩევი ეტაპის შემდეგ ბევრი მაინც ფიქრობდა, რომ ფინალის დაძაბულობას ვერ გაუძლებდა და ოქროს სხვა დაეპატრონებოდა იმის მიუხედავად, რომ მდევრებს 3 ქულით უსწრებდა. მდევარიც ანგარიშგასაწევი ჰყავდა - 584-იანი უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩი**. ასეთივე მაჩვენებლით ფინალში მესამე ნომრით შევიდა ფრანგი ევროპის წლევანდელი გამარჯვებული პნევმატურ პისტოლეტში **სელინ გობერვილი**. 583 ქულა რუსულმა დუეტმა დააგროვა - წლევანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა სპორტულ იარაღზე **კირა კლიმოვამ** და დებიუტანტმა **გალინა ორლოვსკაიამ**. 582-ით დაამთავრა საკვალიფიკაციოში გამოსვლა ფრანგმა **სტეფანიე ტიროდემ**, 581-ით - ბულგარელმა **ანტოანეტა ბონევამ**, ფინალში ბოლო მონაწილედ კი 580-იანი სერბი მსოფლიოს წლევანდელი გამარჯვებული **ზორანა არუნოვიჩი** შევიდა.

ფინალში შვეიცარიელმა კიდევ ერთხელ გააოცა ყველა, რადგან საკმაოდ კარგად ისროლა - 201.2 დააგროვა. მართალია, ეს ფინალის მხოლოდ მესამე შედეგი აღმოჩნდა, მაგრამ კოსტევიჩმა და გობერვილმა ცუდად ისროლეს და საგრძნობლად ჩამორჩნენ. დიჩელმის კლიმოვამ (204,8) და ტიროდემ (203.4) გადაუსწრეს, თუმცა ისინი ოქროს მედალში მაინც ვერ შეეცილნენ. დიჩელმიმ ჯამში 788,2 ქულა დააგროვა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ვერცხლი კლიმოვამ მოიპოვა 787,8-ით, ბრინჯაო - ტიროდემ 785,4-ით.

ამდენად, სალუქვაძისთვის ევროპის წლევანდელი პირველობები წარუმატებელი გამოდგა, რადგან მედალი ვერც პნევმატურიდან სროლაში მოიპოვა. ბელგრადულმა შეჯიბრებამ კიდევ ერთი ტენდენცია დაადასტურა, რაც უფრო თვალშისაცემი შარშანდელი სეზონიდან გახდა - სპორტის ამ სახეობაში ახალი თაობა წამოვიდა, ძველებს კი სულ უფრო უჭირთ მათთან გამკლავება. ვნახოთ, თაობათა ამ ბრძოლაში ვინ აჯობებს ოლიმპიადაზე - ის ხომ ნერვების ომია, სადაც უპირატესობა გამოცდილთა მხარესაა.

ბელგრადში წარუმატებლად გამოვიდა **ლევან ქადაგიძეც** - 542 ქულით 67 მონაწილეს შორის 47-ზე გავიდა. აქ ჩემპიონი სერბი მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსანი **ანდრია ზლატიჩი** გახდა 661,4 ქულით, რომლისთვისაც ეს მეორე ევროპული ოქროა. მეორეზე რუსთა ახალგაზრდა ვარსკვლავი, 23 წლის მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი **ლეონიდ ეკიმოვი** გავიდა 659,9-ით, ბრინჯაო კი 658,5-ქულიანმა პორტუგალიელმა ევროპის ჩემპიონმა, 47 წლის **ჟოაო კოსტამ** მოიპოვა, რომელსაც კვარცხლბეკზე 33 წლის ზლატიჩი იმდენად არა, მაგრამ რუსი კი ნამდვილად შვილად შეეფერებოდა.

ევროპის ჩემპიონატზე ახლა მესტენდურ ვაჟთა ნაკრების გამოსვლა დაგვრჩა საქომაგო - ისინი 12 აგვისტოს ისვრიან.

**ირაკლი თავაძე**

რეგიონი

# გამარჯვებულები დააფასეს

გასული თვე საკმაოდ წარმატებული გამოდგა შიდა ქართლელი მოჭიდავეებისათვის. ჯერ რეგიონის ქართული ჭიდაობის გუნდმა გორში, ღია ცის ქვეშ გამართულ საქართველოს გუნდურ პირველობაზე მოიპოვა გამარჯვება, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის მეორედ გახდა ჩემპიონი გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი,** ხოლო ახლახან ჭაბუკმა ძიუდოისტმა **ბექა ღვინიაშვილმა** ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ოქროს მედალი ირგუნა. შიდა ქართლის ხელისუფლებამ გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში შეხვედრა მოუწყო გამარჯვებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და მიულოცა წარმატებები. ხელცარიელი არ მისულა მათთან რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **პაატა გიორგაძე,** რომელიც შიდა ქართლის გუბერნატორის აპარატში სპორტს კურირებს და ამასთან კრივისა და ქართული ჭიდაობის რეგიონალურ ფედერაციათა პრეზიდენტია. გიორგაძემ ხინჩაგაშვილს, ღვინიაშვილს და ქართული ჭიდაობის გუნდის წევრ **ნოდარ მეტრეველს** საჩუქრად ტელევიზორები გადასცა. მეტრეველი ქართულ ჭიდაობაში გუნდურ შეჯიბრებაზე შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთს შორის ფინალურ დაპირისპირებაში გადამწყვეტი მოგებისთვის დააჯილდოვეს (ფინალში შიდა ქართლმა 3:2 გაიმარჯვა). უნდა ითქვას, რომ გამარჯვებული გუნდიდან მხოლოდ ერთი ფალავანის გამორჩევამ, ჭიდაობის ქომაგთა შორის გარკვეული არაობიექტურობის განცდა გამოიწვია.

**ვასილ ბალახაძე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ძიუდოგი; 4. სპრინტი; 8. ლერი; 9. ინსპექტორი; 11. სიხარულიძე; 12. ნავსი; 14. ფორა; 15. "ბაია"; 16. პიკი; 18. ამინდი; 21. მაჭავარიანი; 22. დაშნა; 23. როგი; 25. აფშევი; 26. ჯიმშელაძე; 27. ფილა.

**შვეულად:** 1. ძალოსნობა; 2. უგრეხელიძე; 3. გრიქუროვი; 5. პრეტენზია; 6. ინტერვალი; 7. ტური; 10. სპირალი; 13. იორდანიშვილი; 16. „პუმა"; 17. კაჭარავა; 19. მარქაფი; 20. ევრა; 22. "დურუჯი"; 24. ოქმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეგიონი. ინტერვიუ გელა ჯანელიძესთან

# დიდაჭარა ქართული სპორტის სამსახურში

**სხვათა გასაგონად: მაღალმთიან ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში ადგილობრივი ხელისუფლება მოზარდებზე სამაგალითოდ ზრუნავს - იხდის ყველა ხარჯს, რაც სპორტსმენთა მომზადებას სჭირდება - უფასოდ მეცადინეობისა და შეჯიბრებებში წარმატებულ სპორტსმენთა მატერიალური წახალისების ჩათვლით.**

ბოლო წლებში აჭარის რეგიონი სოლიდურ შევსებას აძლევს საქართველოს მოჭიდავეთა ეროვნულ გუნდებს. განსაკუთრებით - ბერძნულ-რომაულს, თუმცა იქაურ "თავისუფლებსაც" საამაყო შედეგები აქვთ. ბათუმში ამასწინანდელი სტუმრობისას სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზიც მოვინახულე, რომელიც იქაური საჭიდაო ცენტრია. ვერ ვიტყვით, რომ ის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზაა, თუმცა საქართველოს კვალობაზე ნამდვილად ერთ-ერთი კეთილმოწყობილია. ოღონდ ცუდია, რომ ბათუმისა თუ მთლიანად რეგიონის გაზრდილ მოთხოვნებს ვერც ის აკმაყოფილებს. აქ ვარჯიშის მსურველი ბათუმიდანაც ბევრია და ახლო-მახლო სოფლებიდანაც. ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებიდან ნიჭიერი ფალავნები აქ გადმოჰყავთ სავარჯიშოდ. სამწუხაროდ, დარბაზს მათი ადგილზე შენახვის საშუალება არ აქვს - საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ. იქაურები ოლიმპიური მზადების ცენტრის გახსნას რომ ითხოვენ, ამ დარბაზისადმი საგანგებოდ მიძღვნილ წერილშიც დავწერეთ. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის ბერძნულ-რომაული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გელა ჯანელიძესთან**, რომელსაც დარბაზშივე, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ.



**- აჭარას ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია. ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი გახსენება...**

- უპირველესად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე, აგრეთვე - მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მედალოსანი დავით გვანცელაძე უნდა ვახსენოთ. იმ თაობაში სხვაც ბევრი იყო კარგი მოჭიდავე. ახლო წარსულს თუ გავიხსენებთ, აჭარიდანაა დამოუკიდებელი საქართველოდან მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ჭიდაობის ამ სახეობაში მუხრან ვახტანგაძე. აქაურია კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი დავით ბედინაძეც, თუმცა ყველას ძალიან გვწყდება გული, ასე ადრე რომ დაანება თავი სპორტს. მასთან სულ იმაზე მქონდა დავა, მოდი, გავაგრძელოთ ჭიდაობა-მეთქი, იგივე სურდა პირად მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილს, ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას, ფედერაციის პრეზიდენტ კახა გენაძეს და ყველას. ალბათ, ისევ მასში იყო მიზეზი, თორემ არა მგონია, ვინმეს ხელი შეეშალა. პირიქით, რომ მოენდომებინა, ყველა გვერდში დაუდგებოდა.

საბედნიეროდ, წარმატებული სპორტსმენი ახლაც ბევრი გვყავს ეროვნულსა თუ ასაკობრივ გუნდებში. ბოლო წლებში საქართველოს პირველობებზე ხშირად ვიმარჯვებთ გუნდურ ჩათვლაში, სამეულში კი ყოველთვის ვართ. შარშან ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 58 ქულა დააგროვა, აქედან 42 კი ჩვენი მოჭიდავეების წილად მოდიოდა. ოთხმა აქაურმა მოიპოვა მედალი და საინტერესოა, რომ ოთხივე ხულოს რაიონის ერთი სოფლიდან - დიდაჭარიდანაა. ვიმედოვნებთ, წლეულსაც გვექნება დიდი წარმატება, თუმცა ახალგაზრდებში უკვე მოვიპოვეთ მედალი - მურმან ბერიძის აღზრდილმა ნიკა ცეცხლაძემ (50) ევროპის პირველობაზე ვერცხლი ირგუნა, ქემალ ხარაბაძე (60) კი მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა.

**- ასაკობრივ პირველობებში აქაურები მართლაც ხშირად ხვდებიან პრიზიორთა შორის. ეტყობა, ამას მასობრიობა განაპირობებს?**

- გეთანხმებით. დარბაზი დილიდან საღამომდე დატვირთულია, ყოველდღიურად რამდენიმე ჯგუფი მეცადინეობს. მსურველები ახლო-მახლო სოფლებიდანაც დადიან. ინტერესს მატერიალური ფაქტორი განაპირობებს - ადგილობრივი ხელისუფლება დიდ ყურადღებას გვაქცევს და ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მედალოსანს, ნებისმიერ ასაკში, დამატებით პრემიით აჯილდოებს. სპორტსმენთა სოციალური პრობლემები მოგვარებულია, რაც დიდი სტიმულია მოზარდებისთვის. მთაში, სოფელში მცხოვრებ ბავშვებს დიდი არჩევანი არ აქვთ, ჭიდაობა კი ამის საშუალებას აძლევთ. თან ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახის შვილები მოდიან, თორემ მდიდრებს ჩოგბურთზე დაჰყავთ, ჭიდაობაზე არავინ მოიყვანს. სწორედ ამიტომ ფასიანი ჯგუფების კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ - ჩვენთან მეცადინეობა უფასოა. ადგილობრივ ხელისუფლებას იმისთვისაც დიდი მადლობა, რომ გვეხმარება დარბაზის შენახვაში.

გასაგებია, ყველა ვერ მოხვდება ნაკრებში, ვერ იჭიდავებს ქვეყნის პირველობაზე თუ სხვა მაღალი რანგის შეჯიბრებებში. ამიტომ ვცდილობთ, ისინი ადგილობრივი ტურნირებით დავაკმაყოფილოთ, რათა პრაქტიკა მიიღონ, იგრძნონ საშეჯიბრო ატმოსფერო. ხშირად ვატარებთ ტურნირებს რეგიონის ტერიტორიაზე, რათა მეტი შანსი მივცეთ ახალგაზრდებს.

**- ალბათ, თქვენი დარბაზი ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებს. საერთოდ, ბაზების მხრივ რა მდგომარეობაა ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორია მათი ინვენტარით და მწვრთნელთა კადრებით უზრუნველყოფა?**

- ცხადია, ჩვენი დარბაზი ყველა მსურველს ვერ იტევს. პირობებზე სამდურავი არ გვეთქმის - არის გათბობა, ცხელი წყალი, გასახდელები, საშხაპეები, სავარჯიშო არენა მოწესრიგებულია.

საჭიდაო დარბაზები არის აჭარის თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში, რამდენიმე დიდ სოფელშიც, თუმცა ეს მაინც არასაკმარისია - ვარჯიშის მსურველი გაცილებით ბევრია. ინვენტარიც თითქმის ყველაგანაა, თუმცა პერიოდულად განახლებაც არ იქნებოდა ცუდი. მწვრთნელთა კადრებიც გვყავს.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი



# ხანძარი AF-HOTEL-ში და დაზარალებული სანიკიძე

**ის-ისიყო პირველი ტურის პარტიები დასრულდა და შეჯიბრების მონაწილეები ბაას-ბაასით სავახშმოდ მიემართებოდნენ, რომ „AF-Hotel"-ში შუქი ჩაქრა და ყველამ დამწვრის მძაფრი სუნი იგრძნო. „ვიწვით", - იყვირა ვილაცამ. ვინც მოასწრო, ქუჩაში გავარდა, სასტუმროში მცხოვრებთა უმრავლესობამ (როგორც მოჭადრაკებმა, ისე - დამსვენებლებმა) კი კვამლში გზის გაკვლევა რომ ვერ შეძლო, სასტუმროს აივანზე გავიდა და იქ დაელოდა სტიქიის განაჩენს.**



*საბედნიეროდ, ხანძარი მალე ჩააქრეს და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, თუმცა ამ დავიდარაბაში ერთი დაზარალებული მაინც აღმოჩნდა - ქართველი დიდოსტატი* ***თორნიკე სანიკიძე.***

სასტუმროში შუქი რომ ჩაქრა, ის მეუღლის მოსაძებნად გაიქცა. სიბნელეში კარი ვერ შეამჩნია და თავით ისე ძალუმად დაეჯახა, რომ მოკლე ჩართვის მსგავსად თავად ყრიდა თვალებიდან ნაპერწკლებს. საბოლოოდ, მაინც იოლად გადარჩა - კოპით (სურათზე).

ეს ამბავი შაბათს მოხდა ბაქოს გარეუბანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე, დასვენების კომფორტულ ცენტრ „AF-Hotel"-ში, რომელიც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირს („ბაქო-2011") მასპინძლობს.

ასპარეზობის საპრიზო ფონდია 50 ათასი ევრო. შეჯიბრებაში მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატები იბრძვიან. მათ შორის - შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2765), ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2724), პერეს დომინგესი (კუბა, 2719), ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2711), ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2700), დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2696), სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი, 2689), რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი, 2679), ილია სმირინი (ისრაელი, 2676)... ტიტულის მაძიებელთა შორის რვა ქართველი მოჭადრაკეცაა: **მიხეილ მჭედლიშვილი** (2618), **მერაბ გაგუნაშვილი** (2588), **თორნიკე სანიკიძე** (2525), **გიგა ყუფარაძე** (2467), **დავით მაღალაშვილი** (2463), **გაიოზ ნიგალიძე** (2448), **სალომე მელია** (2437), **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2376).

პირველი ტურის სენსაცია ის იყო, რომ ასპარეზობის რეიტინგფავორიტი შაჰრიარ მამედიაროვი თანამემამულე ორხან აბდულოვს დაუზავდა თეთრი ფიგურებით. დანარჩენმა ფავორიტებმა უპრობლემოდ მიაღწიეს წარმატებას. მე-2 ნომრად განთესილმა ფრანცისკო ვალეხომ შავი ფიგურებით ბაჩანა მორჩიაშვილს სძლია. ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: შაჰრიარ რახმანოვი (აზერბაიჯანი)-მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, მარი ქურიად პოუია (ირანი)-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-ალიზამინ ჯაფარლი (აზერბაიჯანი) 1:0, ჰაკან ერდოლანი (თურქეთი)-გიგა ყუფარაძე 0:1, დავით მაღალაშვილი-ამირ კოვსარინია (ირანი), გაიოზ ნიგალიძე-თაბრიზ იდრისოვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, ელანურ ალიევი (აზერბაიჯანი)-სალომე მელია 1:0.

მეორე ტურში ვალეხომ სანიკიძე დაამარცხა (ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი, სანიკიძე ორმაგად არ დაზარალდაო), ყუფარაძე-სუტოვსკი 1:0, ანდრეიკინი - მაღალაშვილი 1:0, მჭედლიშვილი-ელნურ ალიევი 1:0, გაგუნაშვილი-კანან იზათი (აზერბაიჯანი) 1:0, ხაიალა ისკანდაროვა (აზერბაიჯანი)-ნიგალიძე 0:1, მელია-შაჰრიარ რახმანოვი 1:0, ალიზამინ ჯაფარლი-მორჩიაშვილი 1:0.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 12 დიდოსტატი დაწინაურდა. მათ შორისაა მჭედლიშვილი, რომელიც დღეს შავი ფიგურებით სუტოვსკის დაუპირისპირდება. ქართველთაგან დანარჩენები მე-3 ტურში ასე დაწყვილდნენ: ნიგალიძე-რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი), ჰოუია იდანი (ირანი)-გაგუნაშვილი, სანიკიძე-ნიჯათ აგაევი (აზერბაიჯანი), შაჰრიარ ჰასანოვი (აზერბაიჯანი)-ყუფარაძე, მაღალაშვილი-ალიზამინ ჯაფარლი (აზერბაიჯანი), როუია-მელია, მორჩიაშვილი-მუშვიგ ასგაროვი (აზერბაიჯანი).

**ვაჟა დანელია**

# რეიტინგფავორიტმა პოზიციები დათმო

ოცწლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გასულ შაბათ-კვირას ორი ტურის პარტიები გაიმართა. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ნაზი პაიკიძემ** საკუთარ მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა - მე-5 ტურში თეთრებით ოლგა გირიასთან (რუსეთი) დამარცხდა, გუშინ კი ყაზახ გულისკან მახბაიევას შეუთანხმდა ყაიმზე და ექვსი შესაძლებლიდან მხოლოდ 4 ქულას მოუყარა თავი და მე-9 ადგილზე მყოფი ერთპიროვნულ ლიდერ ოლგა გირიას ქულა-ნახევრით ჩამორჩება. მართალია, წინ კიდევ შვიდი ტურია სათამაშო, მდგომარეობის გამოსწორებაც შეიძლება, მაგრამ რეიტინგში ბევრად დაბლა მდგომ მეტოქეებთან ამდენი ქულის დაკარგვაც არ უნდა იყოს სახარბიელო.

**ქეთი წაწალაშვილი** 3,5 ქულით 30-ე ადგილზეა. შაბათს ინდოელ კარლა არუნიმას მოუგო, გუშინ კი მის თანამემამულე გოლე შვეტას სძლია.

მე-6 ტურში მეწინავეთა შეხვედრები ასე დამთავრდა: ოლგა გირია-დეიზი კორი (პერუ) 0,5:0,5, ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი)-ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 0,5:0,5, ელენა სემიონოვა (რუსეთი)-ჰულკარ ტოხირჯანოვა (უზბეკეთი) 1:0, სარანი (ინდოეთი)-როუთ რადმინი (ინდოეთი) 1:0, ჯულიანა ტერო (ბრაზილია)-გულნარ მამადოვა (აზერბაიჯანი) 0:1, იოვანა ერიჩი (სერბეთი)-კლაუდია კულინი (პოლონეთი) 0:1, კუბრა ოზთურქი (თურქეთი)-იულია დოგოდკინა (რუსეთი) 0,5:0,5.

მოჭადრაკები დღეს დაისვენებენ, ხვალ მე-7 ტურში კი ითამაშებენ: ბულმაგა (5)-გირია (5,5), კორი (5)-სარანია (4,5), მამადოვა (4,5)-სემიონოვა (5), კულონი (4,5)-კაზიმოვა (4,5), პაიკიძე (4)-ვო თი კიმ ჰონგი (ვიეტნამი, 4)... წაწალაშვილი (3,5)-ნანდიდჰაა (ინდოეთი, 3,5).

**ვაჟა დანელია**

## მესამეა...

კავალაში დამთავრდა მოჭადრაკეთა მე-20 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბოლო ტურში **გიორგი მარგველაშვილი** შავი ფიგურებით სუათ ატალიკს (თურქეთი) დაუზავდა და 6 ქულით მე-14 ადგილი დაიკავა. ბოლო პარტიაში წარმატებას მიაღწია საქართველოს ჩემპიონმა **დავით ზარქუამ,** რომელმაც ალექსანდრის დუნისი (საბერძნეთი) დაამარცხა, მაგრამ 5,5 ქულით 22-ე ადგილს ვერ გასცდა. რაც შეეხება **ინგა ჭარხალაშვილს,** მან ქულა გაიყო იოანის სიმეონიდისთან, 5 ქულას მოუყარა თავი და ქალებში ევროპის ექსჩემპიონ ეკატერინა ატალიკისა (თურქეთი, 6,5 ქულა) და პოლონეთის ქალთა ნაკრების წევრ მონიკა სოჩკოს (5,5) შემდეგ მესამე საპრიზო ადგილი ხვდა.

ფესტივალის მთავარი პრიზი სერბმა დრაგან შოლაკმა მოიპოვა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეორე ადგილზე პოლონელი მათეუშ ბარტელი გავიდა. შვიდმა მოჭადრაკემ 6,5-6,5 ქულას მოუყარა თავი. სხვებზე უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები მასპინძელ დიმიტრიოს მასტროვასილისს ჰქონდა და მესამე ადგილიც მას ერგო.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| I პერიოდი | |
|---|---|
| 09:26 | გატენსი 2ქ (0:2) |
| 09:06 | მარკოიშვილი 3ქ (3:2) |
| 07:50 | ვ. ბოისა 2ქ (5:2) |
| 07:36 | მარკოიშვილი 2ქ (7:2) |
| 06:52 | ცინცაძე 2ქ (9:2) |
| 06:35 | მაკგრუდერი 2ქ (9:4) |
| 05:57 | ტრიჩე 2ქ (9:6) |
| 04:24 | ფაჩულია 2ქ (11:6) |
| 03:37 | სანიკიძე 2ქ (13:6) |
| 03:08 | ფაჩულია 1ქ (14:6) |
| 02:55 | კარტრაითი 2ქ (14:8) |
| 02:37 | ბრუესევიცი 2ქ (14:10) |
| 01:56 | ჯონსონი 2ქ (14:12) |
| 01:40 | ცქიტიშვილი 2ქ (16:12) |
| 01:18 | ელიასონი 2ქ (16:14) |
| 00:53 | ბრუესევიცი 3ქ (16:17) |
| 00:38 | ჰეინსი 1ქ (17:17) |
| 00:26 | მაკგრუდერი 3ქ (17:20) |
| 00:12 | ჰეინსი 3ქ (20:20) |
| **II პერიოდი** | |
| 09:40 | მაკგრუდერი 3ქ (20:23) |
| 09:23 | ცქიტიშვილი 1+1 (22:23) |
| 09:14 | ტრიჩე 1+1 (22:25) |
| 07:56 | ჰეინსი 2ქ (24:25) |
| 07:38 | შენგელია 2+1ქ (27:25) |
| 07:23 | კული 2+1 (27:28) |
| 06:57 | მაკგრუდერი 2ქ (27:30) |
| 06:33 | ცქიტიშვილი 1ქ (28:30) |
| 06:14 | შენგელია 2+1ქ (31:30) |
| 05:50 | კარტრაითი 3ქ (31:33) |
| 05:23 | მარკოიშვილი 2ქ (33:33) |
| 05:10 | გატენსი 1ქ (33:34) |
| 05:06 | მარკოიშვილი 3ქ (36:34) |
| 04:19 | ჰეინსი 3ქ (39:34) |
| 03:50 | ვ. ბოისა 2ქ (41:34) |
| 03:33 | კარტრაითი 1ქ (41:35) |
| 02:53 | ტრიჩე 3ქ (41:38) |
| 01:59 | კული 2ქ (41:40) |
| 01:47 | ცინცაძე 2ქ (43:41) |
| 01:39 | ტრიჩე 1ქ (43:42) |
| 01:17 | სანიკიძე 2ქ (45:42) |
| 00:41 | ვ. ბოისა 2ქ (47:42) |
| 00:10 | შენგელია 2ქ (49:42) |
| **III პერიოდი** | |
| 09:48 | ცინცაძე 1+1 (51:42) |
| 09:25 | ფაჩულია 2ქ (53:42) |
| 08:56 | სანიკიძე 2ქ (55:42) |
| 08:39 | მარკოიშვილი 3ქ (58:42) |
| 08:21 | მარკოიშვილი 2ქ (60:42) |
| 07:30 | ვ. ბოისა 1ქ (61:42) |
| 07:17 | მაკგრუდერი 2ქ (61:44) |
| 07:12 | მაკგრუდერი 3ქ (61:47) |
| 06:51 | ტრიჩე 2ქ (61:49) |
| 06:28 | მაკგრუდერი 2ქ (61:51) |
| 06:06 | მარკოიშვილი 3ქ (64:51) |
| 05:41 | ფაჩულია 1+1 (66:51) |
| 05:13 | მაკგრუდერი 2ქ (66:53) |
| 04:38 | მაკგრუდერი 2ქ (66:55) |
| 03:28 | ცქიტიშვილი 2ქ (68:55) |
| 03:08 | ცქიტიშვილი 1+1 (70:55) |
| 02:46 | კარტრაითი 3ქ (70:58) |
| 02:12 | მაკგრუდერი 2ქ (70:60) |
| 01:56 | შენგელია 1ქ (71:60) |
| 01:22 | შენგელია 2ქ (73:60) |
| 01:10 | ჰოვარდი 1+1 (73:62) |
| 00:40 | ჯონსონი 1+1 (73:64) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:52 | კარტრაითი 2ქ (73:66) |
| 09:27 | შერმადინი 2ქ (75:66) |
| 09:09 | ჰოვარდი 2ქ (75:68) |
| 09:02 | შერმადინი 2ქ (77:68) |
| 08:47 | კული 2ქ (77:70) |
| 08:11 | ტრიჩე 1ქ (77:71) |
| 06:40 | ვ. ბოისა 3ქ (80:71) |
| 04:44 | ჯონსონი 2ქ (80:73) |
| 04:14 | გატენსი 1+1 (80:75) |
| 03:34 | ცქიტიშვილი 2ქ (82:75) |
| 03:17 | ბრუესევიცი 3ქ (82:78) |
| 02:54 | ფაჩულია 1ქ (83:78) |
| 02:36 | ცინცაძე 2+1ქ (86:78) |
| 02:19 | მაკგრუდერი 1ქ (86:79) |
| 02:02 | ფაჩულია 1+1 (88:79) |
| 01:39 | მარკოიშვილი 2ქ (90:79) |
| 00:55 | ფაჩულია 1+1 (92:79) |
| 00:47 | ჰოვარდი 2ქ (92:81) |
| 00:42 | ჰეინსი 2ქ (94:81) |
| 00:30 | შენგელია 2+1ქ (97:81) |
| 00:25 | შენგელია 1ქ (98:81) |




# პირველი გამარჯვება

**6 აგვისტო**

**ტალინი. ფინეთი**

**საქართველო-ისტ კოუსტი (NCAA) 98:81**

20:20, 29:22, 24:22, 25:17

| საქართველო | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შენგელია | 13 | 5/5 | 0/0 | 7/5 | 6 | 3 | 1 | 15 |
| ცქიტიშვილი | 14 | 3/2 | 0/0 | 8/5 | 6 | 1 | 0 | 9 |
| მარკოიშვილი | 25 | 5/4 | 6/3 | 3/3 | 8 | 4 | 3 | 20 |
| შერმადინი | 17 | 3/2 | 0/0 | 2/1 | 6 | 1 | 0 | 5 |
| ფაჩულია | 21 | 3/1 | 0/0 | 14/11 | 9 | 1 | 4 | 13 |
| ვ. ბოისა | 18 | 6/4 | 0/0 | 2/0 | 1 | 0 | 3 | 8 |
| გამყრელიძე | 9 | 0/0 | 1/0 | 0/0 | 0 | 2 | 3 | 0 |
| ცინცაძე | 25 | 5/3 | 2/0 | 3/3 | 3 | 5 | 2 | 9 |
| სანიკიძე | 29 | 9/3 | 4/0 | 0/0 | 8 | 3 | 1 | 6 |
| ჰეინსი | 23 | 3/3 | 5/2 | 2/1 | 1 | 0 | 2 | 13 |
| ფაცაცია | 5 | 0/0 | 1/0 | 0/0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| **ისტ კოასტი** | **წთ** | **2ქ** | **3ქ** | **1ქ** | **მ** | **პ** | **ფ** | **ქ** |
| კული | 20 | 4/2 | 0/0 | 5/3 | 9 | 0 | 3 | 7 |
| ელიასონი | 13 | 2/1 | 0/0 | 0/0 | 5 | 1 | 3 | 2 |
| ჰოვარდი | 21 | 9/2 | 6/0 | 2/2 | 1 | 2 | 3 | 6 |
| მაკგრუდერი | 27 | 13/6 | 7/3 | 3/1 | 14 | 0 | 2 | 22 |
| კარტრაითი | 21 | 3/2 | 2/2 | 2/1 | 2 | 3 | 1 | 11 |
| ბრუესევიცი | 17 | 3/2 | 7/2 | 0/0 | 4 | 0 | 5 | 10 |
| ჯონსონი | 23 | 8/2 | 3/0 | 2/2 | 2 | 0 | 4 | 6 |
| გატენსი | 25 | 2/1 | 4/0 | 4/3 | 2 | 1 | 3 | 5 |
| კეიტა | 11 | 3/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 3 | 0 |
| ტრიჩე | 22 | 7/2 | 5/1 | 6/5 | 2 | 1 | 4 | 12 |




შაბათს საქართველოს ნაკრების მეტოქე „ისტ კოუსტი" იყო. ეს გუნდი ამერიკის კოლეჯების ლიგის საუკეთესო კალათბურთელებით შედგენილი კრებულია და ინტერვიუში **მარკიზ ჰეინსმაც** თქვა, ურიგო ძალას არ წარმოადგენსო. ამის დასტურად პარასკევს „კოუსტის" მიერ შვედეთის ნაკრების ძლევა გამოდგება (78:77).

კოლეჯების ლიგაში ახალგაზრდა კალათბურთელები თამაშობენ, რომლებსაც ქართველებზე მეტი გამოცდილება ნამდვილად არ აქვთ. სწორედ გამოცდილების ხარჯზე **იგორ კოკოშკოვის** შეგირდებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში მცირედით აჯობეს და 98:81 მოიგეს. ეს გახლდათ ჩვენების პირველი გამარჯვება მიმდინარე მოსამზადებელ ეტაპზე. მანამდე ავსტრიასთან (ორჯერ) და ესტონეთთან დამარცხდნენ.

ამერიკელები ქართველებს თავიდან 2:9 ჩამორჩნენ, მაგრამ მდგომარეობა მალევე გამოასწორეს და მეორე მეოთხედში მცირე უპირატესობასაც დაეუფლნენ. თუმცა დიდ შესვენებამდე წუთნახევრით ადრე **ვიქტორ სანიკიძის, ვოვა ბოისასა** და **თორნიკე შენგელიას** ზუსტი თამაშის წყალობით ჩვენმა გუნდმა 6:0 გაქცევა მოაწყო და შესვენებაზე შვიდქულიანი უპირატესობით გავიდა (49:42).

მეორე ტაიმის დასაწყისში კი ქართველებმა ის თამაში უჩვენეს, რასაც მისგან ევროპის ჩემპიონატზე ველით: დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იყო, გუნდი კიდევ უფრო კარგად გამოიყურებოდა შეტევაში და სამ წუთში 61:42 დაწინაურდნენ. მას მერე „ისტ კოუსტის" კალათბურთელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ როგორც გამოცდილ კოლექტივს შეშვენის, საქართველოს ნაკრებმა მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

ქართველთაგან ყველაზე მეტი ქულა **მანუჩარ მარკოიშვილმა** ჩააგდო - 20. ეს ორმაგად გასახარია, რადგან მანუ ტრავმის გამო შეკრების დასაწყისში სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა და ავსტრიასთან ორი მატჩიც გამოტოვა. **ზაზა ფაჩულიას** ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა (13 ქულა, 9 მოხსნა), ხოლო თორნიკე შენგელიამ მოკლე დროში ეფექტური სტატისტიკა ჩაიწერა: 13 წუთში 15 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი.

## U 16

# სადამდე დავეშვით?

## ლუქსემბურგის ქვემოთ!

**6 აგვისტო**

**საქართველო-შვედეთი 53:84**

15:20, 13:21, 18:30, 7:13

**საქართველო:** ბოლქვაძე (20 წთ, 2ქ, 3მ, 2ჩ), ქიტოშვილი (18 წთ, 5ქ, 3ჩ), ამირხანაშვილი (13 წთ, 1ქ, 2მ), ლილუაშვილი (12 წთ), ტომარაძე (15 წთ, 3მ), დვალი (7 წთ), აბულაძე (23 წთ, 4ქ, 4პ, 3ჩ), ჯაყელი (14 წთ, 4მ), ცქიტიშვილი (11 წთ, 3მ), გამრეკლიძე (13 წთ, 5ქ, 7მ), დარახველიძე (29 წთ, 21ქ, 6მ, 2პ, 2ჩ), პულუზაშვილი (27 წთ, 15ქ, 6მ, 2დ).

**7 აგვისტო**

**საქართველო-ლუქსემბურგი 60:65**

11:19, 9:11, 15:16, 25:19

**საქართველო:** ბოლქვაძე (21 წთ, 8ქ, 7მ, 3პ, 2ჩ), ქიტოშვილი (8 წთ), ამირხანაშვილი (6 წთ), ლილუაშვილი (16 წთ, 6ქ), ტომარაძე (23 წთ, 8ქ, 4ჩ), დვალი (7 წთ, 2ქ), აბულაძე (27 წთ, 8ქ, 4მ, 2პ, 4ჩ), ჯაყელი (16 წთ, 3ქ), ცქიტიშვილი (9 წთ, 4მ), გამრეკლიძე (20 წთ, 4ქ, 6მ), დარახველიძე (30 წთ, 17ქ, 5მ), პულუზაშვილი (18 წთ, 4ქ, 2მ, 2დ).

## საკალათბურთო გარდასახვა

# ტულუში ნაკრებში აღარ ითამაშებს

ესტონეთში მყოფ **კოტე ტულუშს** ნაკრების მზადებაზე ვესაუბრებოდი, როცა ერთი სიახლე გამანდო - წლეულს ნაკრებში აღარ ვითამაშებო. იგი სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა და ასეთი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. თუმცა, კოტემ იქვე ამიხსნა, რომ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს („არმიაში" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა) და საქართველოს ნაკრების შტაბში მუშაობა მას სამომავლოდ წაადგება.

კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ამავე დროს ეროვნული გუნდის მენეჯერმა **მერაბ რატიშვილმა** კოტეს ოფიციალურ სტატუსზე ილაპარაკა:

*- ტულუში ნაკრების მენეჯერი გახდა. იგი ძირითადად მე დამეხმარება სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. კოტემ ნაკრებში ვარჯიშს თავი დაანება და მთლიანად ახალი საქმიანობითაა დაკავებული. არ არის გამორიცხული, თუ საჭიროება მოითხოვს, ტულუში იგორ კოკოშკოვის გადაწყვეტილებით სამწვრთნელო შტაბის საქმიანობაშიც ჩაერთოს, ის ხომ ერთ-ერთი საუკეთესო ქართული კლუბის „არმიას" მთავარი მწვრთნელია.*




# კვეცა და გრინი?

ესტონეთის საერთაშორისო ტურნირმა ბევრ კითხვას გასცა პასუხი. ყველაზე მთავარი: **იგორ კოკოშკოვი** ევრობასკეტზე ისევ ძველ გვარდიას დაეყრდნობა. მწვრთნელი ახალწვეულებს საკონტროლო მატჩებშიც არ აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას.

შეკრებიდან თბილისში უკვე გამოემგზავრა ფორვარდი **მიხეილ ბერიშვილი.** მის გარდა ნაკრებთან ერთად არ ვარჯიშობს **კოტე ტულუში** (მენეჯერის ფუნქციები დაეკისრა). რაც შეეხება **ტორინ გრინს,** მას აპრილის ბოლოს მიღებული მძიმე ტრავმა ჯერაც ვერ მოუშუშებია და სარეაბილიტაციო კურსს გადის. თუმცა არაა გამორიცხული, ის ნაკრებს რამდენიმე დღეში შეუერთდეს. ამის შესახებ ნაკრების პრესატაშე **ირაკლი პერტაიას** უთხრა გენერალურმა მენეჯერმა **მერაბ რატიშვილმა:**

- გრინს გასული სეზონის ბოლოს მოტეხილი ფეხის თითი ჯერაც აწუხებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტრავმა თითქმის მოშუშებულია. გრინი 8 აგვისტოს ჩიკაგოს კლინიკაში გენერალურ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ექიმები ნებას დართავენ, საქართველოს ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული გუნდი 12 მოთამაშით გაემგზავრება. ფიბა-ევროპამ გადაწყვეტილება შეცვალა და აქამდე გამოცხადებული 14-კაციანი ზღვარი ორით შეკვეცა.

*- მას შემდეგ, რაც ფიბა-ევროპამ ევრობასკეტზე მონაწილე გუნდებს შემადგენლობა 14-მდე გაზარდა, ფიბამ (ყველა რეგიონალურ საკალათბურთო ორგანიზაციაზე მაღლა მდგომმა ორგანომ) განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე და ზოგადად კალათბურთში მიღებულია გუნდში 12 მოთამაშის წარდგენა. ვისაც ოლიმპიადაზე თამაში სურს, ამ წესს უნდა დაემორჩილოს. ამის შემდეგ ფიბა-ევროპამ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება და ევრობასკეტზე, ლიტვაში გუნდები 12 მოთამაშით გაემგზავრებიან, - სიტუაციაში გაგვარკვია მერაბ რატიშვილმა.*

ეროვნული ნაკრების წვრთნელი სადღეისოდ მოვარჯიშე 15-კაციან შემადგენლობას 12-მდე 16 აგვისტოს შემდეგ შეკვეცს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ტესტები

# პომებს ვილკოს არეკნებმა უშველა

**ინგლისი-უელსი 23:19**

ინგლისი (15-9) არმითიჯი, ბანაჰანი, ტუილაგი (ჩარპლსი 78), ფლატი, კუეტო, ვილკინსონი (ჰოჯსონი 66), კარი (ვიგელსვორტი 59). (1-8) კორბისიერო (ვილსონი 65), ჰართლი (მეარსი 65), სტივენსი, შოუ (ბოთა 65), პალმერი, კროფტი, მუდი, ჰესკელი.

2ლ:ჰესკელი, ტუილაგი. 2გ,2ა,ს: ვილკინსონი

უელსი (15-9) სტოდარტი (ლ.ვილიამსი 47), ნორსი, დევისი, რობერტსი, ვილიამსი, პრისტლენდი, ფილიპსი (კნოლი 58). (1-8) ჰ. ჯეიმზი (ბევინგტონი 56), ბენეტი (ბარნსი 74), მიტჩელი, დევისი, ა.ჯოუნზი (ჩარტერისი 61), ლაიდატი, ვერბარტონი, ფალეტაუ

3ლ: ნორსი (2), შ.ვილიამსი. 2გ:პრისტლენდი

მსაჯი: ჯიმ უილი (შოტლანდია)

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ინგლისის ეროვნულმა გუნდმა პირველი ტესტ მატჩი გამართა შინ, „თვიქნემზე" უელსის ნაკრებთან და 23:19 მოიგო.

**მარტინ ჯონსონის** სამწყსო, რომელსაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ისევ მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბინობის წყალობით მოიგო.

ინგლისელებმა მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, უელსელებისგან კი საპასუხოდ სამი მიიღეს. „ვილკომ", გარდა იმისა, რომ ორივე ლელო გარდასახა, ერთი საჯარიმო და ორი არეკნიც მიითვალა. მატჩის ბედის გადამწყვეტი სწორედ ეს ორი არეკნი აღმოჩნდა.

თამაში საკმაოდ არეულად დაიწყო. გუნდები დიდხანს ვერ პოულობდნენ საკუთარ თამაშს, თუმცა ინგლისელებმა, ვილკინსონის საჯარიმოს წყალობით, ანგარიში მე-5 წუთზე გახსნეს - 3:0. ამის შემდეგ, 25-ე წუთამდე ხეირიანად არაფერი გამოსდიოდათ. რასაც ვერაფრით ვიტყვით უელსელებზე.

მე-14 წუთზე სტუმრებმა მეტოქის ლელოს მისადგომებთან საკმაოდ ხანგრძლივი იერიში მიიტანეს. შეტევის მიმართულების რამდენჯერმე შეცვლის შემდეგ, უელსელებმა კარის პირდაპირ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარცხენა, გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს და გარემარბმა **ჯორჯ ნორსმა** ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. გარდასახვა მგეზავმა **რის პრესტლენდმა** დაარტყა - 7:3.

ცხადია, მოვლენების ასეთი განვითარება „პომებს" კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ უფრო სწრაფად და მეტი თავდადებით ამოქმედდნენ, რასაც საბოლოოდ კაპიტანი **ლუის მუდი** შეეწირა, რომელიც ისევ სერიოზულად დაშავდა.

24-ე წუთზე ინგლისელებმა მორიგი იერიში წამოიწყეს, რომელიც რვა ნომრის **ჯეიმზ ჰესკელის** ლელოთი დასრულდა, ვილკინსონმა გარდასახა - 10:7. მანვე ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე არეკნიდან ბურთი ძელებს შორის გაატარა და შესვენებაზე „პომები" ექვსქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 13:7.

მეორე ტაიმის დასაწყისი ინგლისელების იყო. 43-ე წუთზე თავი მასპინძელთა დებიუტანტმა, წარმოშობით სამოელმა, 20 წლის შუამარბმა **მანუ ტულილაგიმ** გამოიჩინა, ვილკინსონმა გარდასახვა ისევ გაიტანა და ინგლისელები 13 ქულით დაწინაურდნენ - 20:7. ცხადია, ასეთი, თითქმის თანაბარი ძალის გუნდების თამაშისას, ეს საკმაოდ სოლიდური სხვაობაა, მაგრამ უელსელები დანებებას არ აპირებდნენ.

56-ე წუთზე მათი მორიგი, საკმაოდ საინტერესო, მრავალფაზიანი შეტევა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ **შეინ ვილიამსმა** დაასრულა, პრისტლენდმა ვერ გარდასახა - 12:20. ამაზე, „გაკადნიერებულ" მეტოქეს, ვილკინსონმა არეკნით უპასუხა - 23:12.

სტუმრებმა მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ისევ ნორსის ლელოთი იხეირეს, რომელიც პრისტლენდმა გარდასახა, ანგარიში ოთხ ქულამდე შემცირდა 19:23 და უელსელებს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ. მასპინძლებმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და მეტოქეს ლელოს გატანის საშუალება აღარ მისცეს.

ეს გუნდები, კიდევ ერთხელ, ერთი კვირის თავზე კარდიფში, „მილენიუმზე" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.



შეინ ვილიამსის ლელო

# უსახური, უხეირო, მაგრამ გამარჯვება

**შოტლანდია-ირლანდია 10:6**

შოტლანდია (15-9) პატერსონი (კატბერტი 49), ვოლკერი (დე ლუკა 59), ანსბრო, მორისონი, ლამონტი, ჯეკსონი, ლაუსონი (ლაიდლოუ 56). (1-8) იაკობსენი, ფორდი, კროსი, ჰემილთონი, გრეი, სტროკოში, რენი, ბითი (დენტონი 69).

ლ: ანსბრო. გ: ჯექსონი. ს: პატერსონი

ირლანდია (15-9) კირნი, ტრიმბლი, მაკფედენი, ვოლესი, ფიცჯერალდი (ფ.ჯოუნზი 46), სექსტონი, ოლირი (ბოსი 62). (1-8). ქართი (ჰორანი 62), კრონინი (ფლენერი 62), ბაკლი, რაიანი, კალენი, მაკკარტი, რონანი (მ.ოდრისკოლი 56), ლამი.

2ს: სექსტონი

მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა მეტოქემ, შოტლანდიის ნაკრებმა შინ, „მერიფილდზე" ირლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და სრულიად უსახურ, უხეირო თამაშში 10:6 მოუგო.

სტადიონზე მისულმა 30 ათასმა მაყურებელმა ერთადერთი თვალსასეირო ეპიზოდი, მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძელთა გუნდის გარემარბის **ჯო ანსბროს** მიერ გატანილი ლელო იხილა, რომელმაც „სკოტებს" გამარჯვება მოუტანა - 10:6.

ალსანიშნავია, რომ განსაკუთრებულად უმსგავსო მატჩის პირველი ტაიმი გამოდგა. გუნდები შეტევების ორგანიზებას ვერაფრით ახერხებდნენ, ხშირად ცდებოდნენ და ანგარიში მხოლოდ 32-ე წუთზე გაიხსნა. საჯარიმო ირლანდიელთა მგეზავმა **ჯონათან სექსტონმა** გაიტანა - 3:0. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. ერთადერთი ნათელი წერტილი „ნარშავების" შემადგენლობაში, მათი ქერათმიანი მეორეხაზელი **რიჩი გრეი** იყო. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება 49-ე წუთზე **კრის პატერსონის** საჯარიმოთი მოახერხეს. რაზეც სექსტონმა 15 წუთში საჯარიმოთივე უპასუხა - 6:3.

კვანძი, როგორც უკვე ვთქვით, მატჩის მიწურულს გაიხსნა და ის მთლიანად ანსბროს ინდივიდუალური ოსტატობის დამსახურებაა, ვიდრე შოტლანდიელთა გუნდური გარჯის შედეგი. ერთი სიტყვით, შოტლანდიის ნაკრებმა მეტოქისგან განსხვავებით ლელოს გატანა მოახერხა და შინ გამარჯვებული გამოვიდა.



შოტლანდია-ირლანდია

სამი ერი



# ოლ ბლექსი მსოფლიოსთვის მზადაა

**ახალი ზელანდია-ავსტრალია 30:14**

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, სივივატუ (სლედი 62), სმითი, ნონუ (ვილიამსი 68), გეარი, კარტერი, ვიპუ (ელისი60). (1-8). კროკეტი (ფრენქსი 59), მეალამუ (ჰორი 47), ფრენქსი, თორნი, ვილიამსი, კაინო (ტომსონი), მაკქოუ, რიდი.

3ლ: ნონუ, მეალამუ, სივივატუ. 3გ,2ს,ა: კარტერი

ავსტრალია (15-9) ბეილი, ოკონორი, ეშლი-კუპერი, მაკკები, იოანი, კუპერი, გენია. (1-8) კეპუ, მური (ქოუანი 46), ლექსანდერი, საიმონსი, ჰორვილი, ელსომი, პოკოქი, მაკკალმენი (ტერნერი 70).

2ლ: იოანი, ელსომი. 2გ:კუპერი

მსაჯი: კრეიგ იუბერი (სამ.აფრიკა)

სამი ერის გათამაშების მორიგ ტურში ახალი ზელანდიის ნაკრებმა შინ ოკლენდში, „ედემ პარკზე" ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დამაჯერებლად მოუგო 30:14 და ტიტულის შენარჩუნების შესანიშნავი შანსი გაუჩნდა. „ოლ ბლექსს", საამისოდ, დარჩენილ ორ შეხვედრაში, ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის.

თამაში ოკლენდში შესანიშნავ პირობებში წარიმართა. სტადიონზე მოსული 55 ათასი მაყურებელი ახალი ზელანდიის ნაკრების შესანიშნავი თამაშის მომსწრე გახდა, რასაც ვერაფრით ვიტყვით ავსტრალიელებზე. თავად ის ფაქტი, რომ მასპინძლებმა პირველი ნახევარი მშრალი ანგარიშით 17:0 მოიგეს, თავისთავად ბევრის მეტყველია. „ვოლაბების" უქულოდ დატოვება იოლი საქმე არაა და ეს ხშირად არ ხდება.

ახალზელანდიელებმა საწყის 30 წუთში რაგბის თამაშის შესანიშნავი გაკვეთილი ჩაუტარეს მეტოქეს. მასპინძლები თავდასხმაში უაღრესად აგრესიულად და, რაც მთავარია, უშეცდომოდ ირჯებოდნენ. ანგარიში მატჩის მე-5 წუთზე „ოლ ბლექსის" მგეზავმა **დენ კარტერმა** გახსნა საჯარიმოთი - 3:0.

ამას სამ წუთში კივების მრავალფაზიანი შეტევა მოჰყვა, რომელიც შუამარბ **მაა ნონუს** გარღვევითა და ულამაზესი ლელოთი დასრულდა, კარტერმა გარდასახა - 10:0. „ვოლაბებს", ცხადია, ყურები არ ჩამოუყრიათ. მასპინძლებს საკმაოდ სწრაფი შეტევით უპასუხეს, თუმცა გარემარბმა **დიგბი იოანმა** ხელსაყრელი ეპიზოდი ვერ გამოიყენა. „ოლ ბლექსი" დაცვაში გაუვალი კედელივით იდგა. ამასთან, რამდენჯერმე ფეხით ცუდად ითამაშა გარემარმა **ჯეიმზ ოკონორმა.**

ავსტრალიელებისგან განსხვავებით, მასპინძლებს თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვიათ. გარდამტეხი მომენტი შეხვედრის 26-ე წუთზე დადგა, როცა ბრწყინვალედ ითამაშა შერკინების კვაჭმა **კევინ მეალამუმ**. მის მიერ გატანილი ლელო კარტერმა ისევ გარდასახა 17:0 და ცხადი გახდა, რომ ავსტრალია მარცხს ვერაფრით გადაურჩებოდა.

მეორე ნახევარი ისევ ახალზელანდიელების შეტევებით დაიწყო და 46-ე წუთზე დენ კარტერმა დიდოსტატური არეკნი დაჰკრა - 20:0. ხუთ წუთში „ვოლაბებმა" პირველი ლელო მიითვალეს. შეტევისას მგეზავი **ქუადე კუპერის** სწორი გადაწყვეტილება დიგბი იოანმა გამოიყენა და მასპინძელთა ჩათვლის მოედანში შეაღწია. გარდასახვა კუპერმა დაარტყა და გაიტანა - 7:20.

ორი წუთიც არ გასულიყო, რომ „ოლ ბლექსმა" მეტოქეს საპასუხო ლელო გაუტანა. ამ შემთხვევაში თავი გამოიჩინა გარემარბმა **სიტივენი სივივატუმ,** რომლის შეჩერებაც ავსტრალიელებმა ვერაფრით შეძლეს. კარტერი გარდასახვისას ისევ უზადოდ გაისარჯა. მანვე 12 წუთში კიდევ ერთი საჯარიმოც მიითვალა - 30:7.

სტუმრებმა მატჩის ბოლო ათი წუთი შეტევებში გაატარეს, თუმცა თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. ის მესამეხაზელის **როკი ელსომის** ანგარიშზეა, კუერმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 14:30.

ალსანიშნავია, რომ ახალზელანდიელთა მგეზავ დენ კარტერს ამ შეხვედრაში, სავარაუდოდ, ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** რეკორდი უნდა გაეუმჯობესებინა. მას საამისოდ ის ცამეტი ქულაც ეყოფოდა, რომელიც ამ მატჩში მოიპოვა, მაგრამ ახალზელანდიელის ქომაგთა სამწუხაროდ, უელსთან მატჩში „ვილკომაც" ამდენივე ქულის დაგროვება შეძლო და რეკორდსმენობა შეინარჩუნა.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 9 ქულა, 2. ავსტრალია - 5, 3. სამ.აფრიკა - 0

**13 აგვისტო**

**სამ.აფრიკა-ავსტრალია**

**20 აგვისტო**

**სამ-აფრიკა-ახალი ზელანდია**

**27 აგვისტო**

**ავსტრალია-ახალი ზელანდია**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევრობასკეტი 2011



ვალანჩიუნასი ჩეხეთის წინააღმდეგ

# ახალი ვარსკვლავი იბადება

სავარაუდოდ, სერბეთის ნაკრებს ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის გარეშე მოუწევს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება. მადრიდის „რეალის" ფორვარდი **ნოვიცა ველიჩკოვიჩი** სერბების დამრიგებელმა **დუშან ივკოვიჩმა** შეკრებაზე გამოიძახა, მაგრამ თავად კალათბურთელს ეჭვი ეპარება, რომ მოასწრებს ევრობასკეტისთვის მწყობრში ჩადგომას.

*„დღეს ევრობასკეტზე საერთოდ არ ვფიქრობ. მთავარია ტრავმა მოვირჩინო და უკვე შემდეგ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას. მადლობას ვუხდი მწვრთნელს მხარდაჭერისა და ნდობისთვის. ვიცი, რომ მას ჩემი იმედი აქვს"*, - განაცხადა ველიჩკოვიჩმა.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრებს შეუერთდა წამყვანი ცენტრი **ჟოაკიმ ნოა**. ფრანგები ქალაქ პოში გადიან შეკრებას და ნოა იქ ლოს ანჯელესიდან ჩავიდა, სადაც ფეხის ტრავმას მკურნალობდა.

*„ნოა კალათბურთს მონწყურებულია, თუმცა მას არ გააჩნია მსგავს ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება. ასე რომ, ჩვენი მხრიდან მასზე ზეწოლა არ იქნება"*, - განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ**.

■ ■ ■

გერმანიის ნაკრები ჯერჯერობით თავისი ორი წამყვანი კალათბურთელის - **დირკ ნოვიცკისა** და **კრის კამანის** გარეშე ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. მათ გარეშე გერმანელებმა წააგეს საკონტროლო შეხვედრა ფინეთთან - 74:79.

*„ვიცოდით, რომ ფინეთი სერიოზული მეტოქე იყო. მაგრამ ჩვენ საკმარისი დრო გვაქვს მოსამზადებლად"*, - თქვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დირკ ბაუერმანმა**.

სავარაუდოდ, ნოვიცკი და კამანი გუნდს 19 აგვისტოსთვის შეუერთდებიან, როცა მათი დაზღვევის საკითხი მოგვარდება.

**გერმანია-ფინეთი 74:79**

**15:21, 26:15, 18:21, 15:22**

**გერმანია:** ოლბრეხტი (24), ვისოცკი (14), ბენზინგი (10).

**ფინეთი:** კოპონენი (19), კოივისტო (16), მუურინენი (12), კოტი (9).

■ ■ ■

ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა ლიტვის ნაკრების რიგებში ევროპული კალათბურთის ამომავალ ვარსკვლავს, 19 წლის **იონას ვალანჩიუნასს**. ევრობასკეტის მასპინძელმა 21 ქულით გაანადგურა ჩეხეთის ნაკრები, ვალანჩიუნასმა კი ორმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა. იონასს უკვე უწოდებენ მომავალი პირველობის მთავარ აღმოჩენას.

**ლიტვა-ჩეხეთი 94:73**

**24:16, 21:23, 24:21, 25:13**

**ლიტვა:** ვალანჩიუნასი (26 ქულა - 9/10 თამაშიდან, 8/8 საჯარიმოები+10 მოხსნა), პეტრავიჩიუსი (12), იასიკიავიჩიუსი (11+7 პასი), მოტეიუნასი (11).

**ჩეხეთი:** ჰუშკა (16), პომიკალეკი (12), შვრდლიკი (12).

■ ■ ■

**რუსეთი-იტალია 67:71**

**21:19, 16:13, 14:17, 16:22**

**რუსეთი:** მოზგოვი (15+8 მოხსნა), მონია (12+6 მოხსნა), ფრიძონი (12), ვორონცევიჩი (10), შაბალკინი (10).

**იტალია:** ბარნიანი (23), მანჩინელი (20+6 მოხსნა), ბელინელი (8).

**იტალია-საბერძნეთი 70:76**

**18:26, 15:12, 13:12, 24:26**

**იტალია:** ბელინელი (21), ბარნიანი (14), დატომე (11+8 მოხსნა), მანჩინელი (10).

**საბერძნეთი:** ბურუსისი (13), ბრამოსი (12), ფოცისი (11+8 მოხსნა), პაპანიკოლაუ (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

# ნერვები აღარ ჰყოფნით

როგორც ჩანს, ლოკაუტის პერიოდში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წევრებს ნერვები ღალატობთ. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ნიუ იორკში სტრიტბოლის მატჩის დროს „მინესოტა ტიმბერვულვზის" ლიდერ **მაიკლ ბიზლის** გულშემატკივარი შემოელახა. ამჯერად კი ნერვები ვერ მოთოკა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **მეტ ბარნსმა**. სან ფრანცისკოში საგამოფენო მატჩის დროს კალათბურთელმა მეტოქეს დაარტყა.

საინტერესოა, რომ ბარნსი მოედნიდან არ მიაბრძანეს და მან მატჩის ჩამთავრება მოახერხა.

*„მთელი მატჩის განმავლობაში მუდმივად ხელს მკრავდა და იდაყვს მირტყამდა. თუმცა ეს მატჩის ნაწილია, მე კი შევძელი საკუთარი თავისა და ღირსების დაცვა"*, - განაცხადა ბარნსმა.

თუმცა მეორე დღეს კალიფორნიელმა უარყო ინციდენტი. მისი თქმით, დარტყმა არ ყოფილა და პრესამ ძალიან გააბუქა ეს ეპიზოდი. სხვათა შორის ის შეხვედრა ბარნსის გუნდმა მოიგო და გადამწყვეტი ბურთი სწორედ „ლეიკერსის" კალათბურთელმა ჩააგდო.

■ ■ ■

ისევე როგორც NBA-ის რამდენიმე სხვა ვარსკვლავმა, **კარმელო ენტონიმაც** გადაწყვიტა ამერიკის საზღვრებს გარეთ ძალების მოსინჯვა. ის მზად არის ლოკაუტის პერიოდში ნებისმიერ ლიგაში ითამაშოს.

*„ლოკაუტის გაგრძელების შემთხვევაში არ მინდა უსაქმოდ ვიჯდე. სადმე წავალ. სავარაუდოდ, ეს იქნება ევროპა ან ჩინეთი.*

*თუმცა არც პუერტო რიკოში გადასვლის ვარიანტს გამოვრიცხავ. მზად ვარ წინადადებების განსახილველად"*, - განაცხადა მელომ.

## ჩოგბურთი

# პირველი ჰოლანდიელი

გუშინ გვიან ღამით დასრულდა ამერიკული სერიის ორი ტურნირი, რომელთა შესახებ ხვალინდელ ნომერში მოგიყვებით. მანამდე კი ავსტრიის ქალაქ კიტცბუელის ტურნირის შედეგებს გავეცნოთ, სადაც კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა 24 წლის ჰოლანდიელმა **რობინ ჰაასემ**.

მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები ამერიკული მასტერსებისთვის ემზადებიან, ამიტომაც, კიტცბუელში ვარსკვლავური შემადგენლობა ვერ შეიკრიბებოდა. თავის დროზე ეს ტურნირი როლან გაროსის წინ იმართებოდა და აქ ისეთ ჩოგბურთელებს აქვთ მოგებული მთავარი პრიზი, როგორებიც არიან - **გილერმო ვილასი, პიტ სამპრასი, გორან ივანიშევიჩი, ტომას მუსტერი...**

მუსტერს საშინაო ტურნირზე 1993 წელს გაუმარჯვია. 18 წლის შემდეგ მისი გვარი ისევ ვიხილეთ ძირითად ბადეში. ტომასი ჯერ კიდევ შარშან დაბრუნდა დიდ ჩოგბურთში და რეგულარულად გამოდიოდა ჩელენჯერებში, მაგრამ წარმატებისთვის არ მიუღწევია. წელს ავსტრიელმა ცხრა მატჩი ჩაატარა და ყველა წააგო. ბევრი დიდი ხნის წინ მიატოვებდა ამ უაზრო ჩანაფიქრს, მაგრამ მუსტერი არ ნებდება.

როცა კიტცბუელის ტურნირის ორგანიზატორები ტომასს უაილდ-ქარდს აძლევდნენ, რა თქმა უნდა, მისგან გმირობას არ ელოდნენ, უბრალოდ მაყურებელთა ინტერესის გაზრდა სურდათ. ასეც მოხდა - მუსტერის მატჩზე ანშლაგი იყო, ვეტერანმა ავსტრიელმა კი პირველ რაუნდში თითქმის უბრძოლველად წააგო გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერთან** - 3:6, 0:6.

როგორც გრუნტის ტურნირებისთვის არის დამახასიათებელი, ამჯერადაც იგრძნობოდა ესპანელებისა და სამხრეთამერიკელების დომინირება. ბადის ზედა ნაწილში მეოთხედფინალისტთა შემადგენლობა სწორედ მათ დააკომპლექტეს. **ალბერტ მონტანიესმა** ორ სეტში დაამარცხა **სანტიაგო ხირალდო**, პირველ ნომერმა **ხუან-იგნასიო ჩელამ** კი შეაჩერა გასული კვირის ტრიუმფატორი **მარსელ გრანოლერსი**. ნახევარფინალში მონტანიესმა შეძლო ჩელას დამარცხება და კარიერაში მე-200 გამარჯვება იზეიმა. ესპანელმა მთელი კვირის განმავლობაში შესანიშნავი თამაში აჩვენა და ფინალამდე სეტის წაუგებლად მიაღწია. მონტანიესისთვის ეს იყო პირველი ფინალი ბოლოს 12 თვის განმავლობაში.

ბადის ქვედა ნაწილის გმირი რობინ ჰაასე აღმოჩნდა. რამდენიმე წლის წინ ჰოლანდიელი პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა, მაგრამ მძიმე ტრავმა მიიღო და წელიწადზე მეტი გამოტოვა. 2010 წელს პროფესიულ ტურში დაბრუნებულს განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია. თუმცა ამჯერად მოახერხა გაბრწყინება და ფინალში გაალწია. აღსანიშნავია ჰოლანდიელის გამარჯვება მეორე წრეში მეორე ნომერ **ფელისიანო ლოპესთან**.

მონტანიესისგან განსხვავებით, ჰაასე თავის მატჩებს სამ სეტში იგებდა, თანაც ეს მისთვის მხოლოდ პირველი ფინალი იყო კარიერაში. მაგრამ სწორედ კიტცბუელში იგრძნო მან საკუთარ ძალებში თავდაჯერება, რამაც პროფესიულ ტურში პირველი ტიტული მოუტანა.



რობინ ჰაასე

გამარჯვება იოლი არ ყოფილა. ჰოლანდიელმა შვება მხოლოდ გადამწყვეტ სეტში იგრძნო, როცა კორტის სრული ბატონ-პატრონი გახდა - 6:4, 4:6, 6:1.

ჰაასე წელს მეშვიდე ჩოგბურთელია, ვინც კარიერაში პირველი ტიტული მოიგო. აი ამ იღბლიანი ტრიუმფატორთა სია:

**კევინ ანდერსონი - იოჰანესბურგი**
**ივან დოდიგი - ზაგრები**
**მილოშ რაონიჩი - სან ხოსე**
**რაიან სვიტინგი - ჰიუსტონი**
**პაბლო ანდუხარი - კასაბლანკა**
**ალექსანდრ დოლგოპოლოვი - უმაგი**
**რობინ ჰაასე - კიტცბუელი**

**ATP**

**Bet-At-Home Cup**

კიტცბუელი (ავსტრია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**1/2 ფინალი**

**რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ჟოაო სოუზა (ბრა) 6:1, 6:7(3), 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 1)-**ალბერტ მონტანიესი (ესპ)** 2:6, 5:7.

**ფინალი**

**რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 4:6, 6:1.

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 165 500 დოლარი

**1/4 ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:4, 6:4; მარკოს ბაღდატისი (კვიპ)-**დონალდ იანგი (აშშ)** 3:6, 6:7; ვიქტორ ტროიცკი (ჩერ)-**ჯონ ისნერი (აშშ)** 6:7, 6:3, 1:6; **გაელ მონფილსი (საფ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:4, 6:4.

**1/2 ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:3, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:4, 3:6, 7:6.

**WTA**

**Mercury Insurance Open**

კარლსბადი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 0:6, 6:4, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:2, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:3, 3:6, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:4, 6:2.

**1/2 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 0:6, 6:4, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 5:7, 6:4, 6:4.

## ჰოკეი

# პოლიციას ურტყამენ

„ნიუ იორკ რეინჯერსის" ჰოკეისტი **შონ ეივერი** პოლიციის ოფიცრის ცემისთვის დააპატიმრეს. ინციდენტი წვეულების დროს მოხდა, რომელსაც მოთამაშე კალიფორნიაში საკუთარ სახლში მართავდა.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ორჯერ მიიღეს ეივერის მეზობლებისგან შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ჰოკეისტის სახლიდან გვიან ღამით ხმამაღალი მუსიკის ხმა გამოდიოდა. პოლიცია ორჯერ გამოცხადდა ეივერის სახლში. მეორე ვიზიტის დროს რეინჯერსელმა ჩხუბი აუტეხა ერთ-ერთ პოლიციელს, ბოლოს ხელი ჰკრა მას და შინ შევარდა. ეივერიმ კარი ჩაკეტა და პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად, უარი თქვა გარეთ გამოსვლაზე.

მხოლოდ დამატებითი ძალების გამოძახების შემდეგ იკადრა ჰოკეისტმა შინიდან გამოსვლა, რის შემდეგაც ის პოლიციის ოფიცრის შეურაცხყოფის ბრალდებით იქნა დაპატიმრებული. შონი რამდენიმე დღეს დაჰყოფს საკანში, რის შემდეგაც 20 ათას დოლარს გადაიხდის და თავდებით გაათავისუფლებენ.

შონ ეივერი ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი მთავარი სკანდალისტი და პროვოკატორია. მან ერთხელ თავის ყოფილ შეყვარებულს, მსახიობ **ელიშ კატბერტს** საჯაროდ „მეძავი" უწოდა იმის გამო, რომ მასთან დაშორების შემდეგ სხვა ჰოკეისტს - **დიონ ფანოფს** ხვდებოდა. ამისთვის ეივერის ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ხოლო მისმა მაშინდელმა კლუბმა „დალასმა" ჰოკეისტთან" კონტრაქტი გაწყვიტა.

■ ■ ■

„ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობა თავისი ვეტერანი ვარსკვლავის **ტეემუ სელიანეს** გადაწყვეტილებას ელოდება. კლუბს აინტერესებს - სურს თუ არა კარიერის გაგრძელება სახელოვან ფინელ ფორვარდს, რომელიც 41 წლის გახლავთ.

მაგრამ ტეემუ სექტემბრამდე ვერ მისცემს საბოლოო პასუხს „იხვების" შეფობას. საქმე ისაა, რომ სელიანემ ივლისში მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ახლა სრულ გამოჯანმრთელებას დაელოდება იქამდე, სანამ თავის სამომავლო კარიერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. სელიანე შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტია, მაგრამ ადრეც აღნიშნავდა, რომ მხოლოდ „ანაჰაიმის" შემადგენლობაში სურს კარიერის გაგრძელება.

გასულ სეზონში ფინელმა რეგულარული ჩემპიონატის 73 მატჩში 80 ქულა (31+49) დააგროვა და მესამე მოთამაშე გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც 40 წლის ასაკში საშუალოდ მატჩში ერთზე მეტი ქულა დააგროვა. ასეთი რამ მანამდე მხოლოდ **გორდი ჰოუმ** და **ჯონ ბიუსიკმა** შეძლეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



შონ ეივერი

კრივი

# ჩემპიონს დემოკრატია უნდა

სუპერმძიმე წონაში WVC-ის ჩემპიონმა უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** შეწყვიტა პოლონელ **ტომაშ ადამეკთან** ბრძოლისთვის მზადება და სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის **იულია ტიმოშენკოს** დაპატიმრება. შეგახსენებთ, რომ უფროსი კლიჩკოსა და ტომაშ ადამეკის შეხვედრა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში 10 სექტემბერს გაიმართება.

*„გავიგე რაც ხდება უკრაინაში და ამის გამო შევწყვიტე ბრძოლისთვის მზადება. სასწრაფოდ უკრაინაში ვბრუნდები, რადგან კარგად მესმის, რომ ბრძოლა დემოკრატიული ღირებულებებისთვის სწორედ აქ, ჩემს სამშობლოში გაიმართება. ამიტომაც არ მინდა ასეთ სიტუაციაში უბრალოდ დამკვირვებლის როლში ვიყო“,* - აღნიშნა ვებგვერდ pravda.com.ua-ში საკუთარ ბლოგზე უკრაინელმა ჩემპიონმა.

*„ჩვენთან მართლმსაჯულება არჩევითია, ამიტომაც ისმის კითხვა: შემდეგ ვინ აღმოჩნდება საპყრობილეში? ნუთუ მთავრობა საკუთარ ხალხთან აპირებს ბრძოლას და ციხეში უნდა ჩასვას ყველა, ვინც ქვეყანაში ასეთი მმართველობის წინააღმდეგ გამოდის?“* - დასვა შეკითხვა ვიტალი კლიჩკომ.

მოკრივის აზრით, ასეთი მოვლენების მთავარი გამოვლინება შეიძლება გახდეს უკრაინის საერთაშორის იზოლაცია, რაც საბოლოო წერტილს დაუსვამს უკრაინელთა მისწრაფებას - იცხოვრონ თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ევროპულ ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას.

*„ტიმოშენკო ციხეში უკრაინის დამოუკიდებლობის წლისთავამდე ცოტა ხნით ადრე ჩასვეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიამ 20 წელიც ვერ გაძლო და ის გაანადგურეს. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ჩვენ სამუდამოდ ვიცხოვრებთ დიქტატურისა და ტოტალური კორუფციის პირობებში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ კი საბოლოოდ უნდა დავივიწყოთ“,* - ასრულებს მონოლოგს კლიჩკო.



კლიჩკო აღარ ვარჯიშობს

ფორმულა 1

# ფერარი 2012 წლით ცხოვრობს



იტალიურმა საჯინიბო „ფერარიმ“ მარანელოში ჟურნალისტებთან ტრადიციული საზაფხულო შეხვედრა მოაწყო. სწორედ იქ განაცხადა გუნდის შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** იმის შესახებ, რომ „სკუდერია“ სექტემბერის დასაწყისიდან მთლიანად გადაერთვება 2012 წლის ბოლიდის შექმნაზე.

*„სექტემბრის დასაწყისიდან მომავალი სეზონისთვის განკუთვნილი მანქანის შექმნაზე დავიწყებთ მუშაობას. მთელი ჩვენი ტექნიკური ჯგუფი მთლიანად ამ პროექტზე გადაერთვება. წლევანდელი ბოლიდის ყველა ტექნიკური განახლება უკვე დაგეგმილია, ასე რომ, 2012 წლის სეზონისთვის მზადებაში ხელს აღარაფერი შეგვიშლის.*

*მიმდინარე სეზონის შეფასებისას პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ საშინელი დასაწყისი გვქონდა, მაგრამ ახლა აშკარა პროგრესი შეიმჩნევა. ბოლო ოთხი რბოლის შედეგებით, ფერნანდო ალონსოს ყველაზე მეტი ქულა აქვს მოპოვებული. იმედია, 2012 წელს თავიდანვე კონკურენტუნარიანები ვიქნებით და არ მოგვიწევს სეზონის მსვლელობისას სიტუაციის გამოსწორებაზე ზრუნვა“,* - ამბობს „ფერარის“ შეფი.

■ ■ ■

„უილიამსის“ ბრაზილიელმა პილოტმა **რუბენს ბარიკელომ** უარყო პრესაში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ის 2011 წლის ჩემპიონატის შემდეგ აპირებს კარიერის დასრულებას. ვეტერანმა ავტომრბოლმა განაცხადა, რომ წასვლაზე არც დაფიქრებულა და ახლა ის გუნდთან ერთად მუშაობს ბოლიდზე, რომლითაც მომავალი სეზონში გავა ტრასაზე.

*„ახალ ამბებში მოვისმინე იმის შესახებ, რომ თურმე კარიერის დასრულება მაქვს დაგეგმილი. ამან ძალიან გამახალისა,* - ამბობს ბრაზილიურ პრესაში ბარიკელო. - *ფორმულა 1 ერთადერთია, რითაც მინდა რომ დაკავებული ვიყო. „უილიამსი“ ახლა ორმაგი დატვირთვით მუშაობს, რათა უკეთ მოემზადოს ახალი სეზონისთვის. პრობლემა ბევრია, მაგრამ მათ მოგვარებაზე ვზრუნავთ. „უილიამსს“ ვჭირდები ისევე, როგორც მე მჭირდება ეს გუნდი“.*

ცურვა

# ფელპსის რეკორდს ემუქრებიან

შანხაიში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარმა გმირმა, ამერიკელმა **რაიან ლოხტემ** განაცხადა, რომ გაისად ლონდონის თამაშებზე ეცდება თავისი ლეგენდარული თანამემამულის **მაიკლ ფელპსის** რეკორდის დამხობას. როგორც იცით, ფელპსმა 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს რვა მედალი მოიპოვა და ამერიკელი **მარკ სპიცის** „მუდმივი“ რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც ერთ ოლიმპიადაზე მოპოვებულ შვიდ ოქროს უდრიდა.

ლოხტეს მართლაც ამბიციური გეგმები აქვს, თუმცა ჯერ არ გაურკვევია რომელ დისტანციებზე აპირებს ლონდონში გამოსვლას.

*„ფელპსმა პეკინში ნამდვილი სასწაული მოახდინა. ეს ფანტასტიკა იყო. დარწმუნებული არ ვარ, რომ ვინმე ოდესმე შეძლებს ამ რეკორდის გაუმჯობესებას, მაგრამ შევეცდები ამის გაკეთებას. სიმართლე გითხართ, ჯერ არ მომიფიქრებია, რამდენ დისტანციაზე გამოვალ. მთავარი ის არის, რომ ცურვაში ყველაზე მეტად კონკურენცია მომწონს და ყოველი გაცურვა ბედნიერებას მანიჭებს.*

*დღეს ბევრი მიწოდებს თანამედროვეობის საუკეთესო მოცურავეს, მაგრამ მე ამ საკითხს ჩემებურად ვუყურებ - კერძოდ, ჩემთვის ყოველი წელი ნულიდან იწყება. და ახლა, ისევ უნდა ვიშრომო იმისთვის, რომ კვლავ პირველი გავხდე“,* - განაცხადა სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში ლოხტემ.

რაიანმა შანხაიში ხუთი ოქრო მოიგო, ფელპსმა - ოთხი. აღსანიშნავია, რომ ლოხტეს შეეძლო ექვსგზის ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ ბოლო დისციპლინაში - 4x100 მეტრზე კომპლექსურ ესტაფეტაში მონაწილეობა არ მიუღია. აქ ამერიკამ ოქრო მედალი მიიღო.



რაიან ლოხტე

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ბრაზილია | |
|---|---|
| პალმეირასი-გრემიო | 0:0 |
| ფლამენგო-კურიტიბა | 1:0 |
| ატ. მინეირო-ფიგუერენსე | 1:2 |
| ამერიკა-ფლუმინენსე | 3:0 |
| ატ. პარანაენსე-კორინთიანსი | 1:1 |
| ინტერნასიონალი-კრუზეირო | 3:2 |
| სანტოსი-სეარა | 1:0 |
| **არგენტინა** | |
| ბანფილდი-ატ. რაფაელა | 0:2 |
| უნიონი-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ოლ ბოისი-ბელგრანო | 1:1 |
| არსენალი-კოლონი | 1:2 |
| გოდოი-ველესი | 1:1 |
| ნიუელსი-ესტუდიანტესი | 0:0 |
| სან ლორენსო-ლანუსი | 0:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. ესპანიოლა-პალესტინო | 0:0 |
| აუდაქსი-უნ. კატოლიკა | 0:0 |
| სან ფელიპე-ლა კალერა | 1:1 |
| უაჩიპატო-კობრესალი | 1:0 |
| დეპორტესი-კობრელოა | 2:4 |
| ლა სერენა-უნ. კონსეპსიონი | 2:0 |
| ო'ჰიგინსი-ს. მორნინგი | 2:1 |
| **ეკვადორი** | |
| დეპ. კუენსა-დეპ. კიტო | 0:1 |
| ნასიონალი-ემელეკი | 2:1 |
| მანტა-იმბაბურა | 0:1 |
| ესპოლი-ლიგა ლე ლოხა | 1:1 |
| **პარაგვაი** | |
| ტაკუარი-ლიბერტადი | 1:1 |
| გუარანი-რუბიო ნუ | 2:2 |
| ინდეპენდიენტე-სოლ დე ამერიკა | 1:1 |
| ნასიონალი-ხენერალი | 3:0 |
| ოლიმპია-3 დე ფებრერო | 4:0 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-სპორტი | 1:2 |
| დეპორტივო-ლეონი | 1:1 |
| უნ. პერუ-კოლეგიო | 2:0 |
| სენსიანო-მელგარი | 2:3 |
| უ. კომერსიო-ხუან აურიჩი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-სპორტ ბოისი | 1:1 |
| **მექსიკა** | |
| კრუს ასული-ატლანტე | 2:1 |
| კერეტარო-პაჩუკა | 2:1 |
| გვადალახარა-პუმასი | 0:0 |
| სანტოსი-ტიხუანა | 1:3 |
| მონტერეი-მორელია | 2:0 |
| პუებლა-ხაგუარესი | 1:2 |
| ტოლუკა-ატლასი | 0:0 |
| **აშშ** | |
| დი სი იუნაიტედი-ტორონტო | 3:3 |
| ნიუ ინგლენდი-ჩივასი | 2:3 |
| ფილადელფია-ჰიუსტონი | 1:1 |
| კანზასი-სიეტლი | 1:2 |
| სოლტ ლეიკი-ნიუ იორკი | 3:0 |
| ლოს ანჯელესი-დალასი | 3:1 |
| სან ხოსე-პორტლენდი | 1:1 |
| **იაპონია** | |
| კაშიმა-იამაგატა | 3:1 |
| კოფუ-ჰიროშიმა | 0:2 |
| ურავა-კობე | 2:3 |
| კაშივა-იოკოჰამა | 2:0 |
| კავასაკი-სერეზო | 1:2 |
| ნიიგატა-შიმიცუ | 4:0 |
| გამბა-ფუკუოკა | 2:0 |
| ნაგოია-ივატა | 2:1 |
| ომიია-ვეგალტა | 2:2 |

**კალათბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ისრაელი-ბულგარეთი | 82:88 |
| სერბეთი-მაკედონია | 81:73 |
| საბერძნეთი-რუსეთი | 83:80 |
| იტალია-პოლონეთი | 88:72 |
| სლოვენია-ჩერნოგორია | 86:79 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ვაშინგტონი | |
|---|---|
| მონფილსი-შტეპანეკი | 4:6, 4:6 |

TV პროგრამა

**8 აგვისტო. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური. ბორდო-სტ ეტიენი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ბაიერნი-ბორუსია (მ).
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. გრაფსხაპი-აიაქსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური. მარსელი-სოშო.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XV ტური. ატლეტიკო პარანანსე-კორინთიანსი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ოლიმპო-ბოკა ხუნიორსი.
**00:00** ამხანაგური მატჩი. ტიანძანი-რეალი.
**02:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**GMG-სპორტი**

**10:00** ამხანაგური მატჩი. გუანგჯოუ-რეალი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-დენვერი.
**14:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა.
**17:30** ბადმინტონი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
**19:20** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა (LIVE).
**00:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-დენვერი.

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**20:00** ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**15:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ჩინეთი-რუსეთი. ჩინეთი (LIVE).
**17:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ახალი ზელანდია-ანგოლა. ჩინეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ტორონტო. კანადა (LIVE).
**21:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ტორონტო. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**20:30** კალათბურთი. ექვსი ერის თასი. ჯგუფური ტურნირი. სერბეთი-ბოსნია. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**23:00** კალათბურთი. ექვსი ერის თასი. ჯგუფური ტურნირი. სლოვენია-ხორვატია. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).

ამბები

**ფორმულა 1**

## უებერი რედ ბულში დატოვეს

„რედ ბულის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ავსტრალიელი **მარკ უებერი** მომავალ წელსაც ავსტრიული საჯინიბოს ბოლიდით ირბოლებს. ეს გადაწყვეტილება გუნდის კონსულტანტმა **ჰელმუტ მარკომ** გამოაცხადა.

*„უებერი 2012 წელს „რედ ბულში“ იქნება, შემდეგ კი თავად მოიფიქრებს, როგორ განვითარდება მისი კარიერა,* - განაცხადა ჰელმუტ მარკომ. - *„რედ ბული“ კი ერთი წლის შემდეგ გადაწყვეტს, ვინ გახდება სებასტიან ფეტელის თანაგუნდელი. სავარაუდოდ, ეს იქნება მეორე ავსტრალიელი დანიელ რიკარდო“.*

შეგახსენებთ, რომ მარკ უებერის კონტრაქტი „რედ ბულთან“ ამ წლის ბოლო იწურება.

**უცნაური შემთხვევა**

## სირბილი საშიშია

ხუთი პოლიციელი გარდაიცვალა ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ინდოეთის შტატში - უტარ-პრადეშში. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელთა მომზადების დონის ამაღლება გადაწყვიტა, მაგრამ აშკარად ზედმეტი მოუვიდა. ფიზმომზადების დონის გასაუმჯობესებლად ტესტებში შეიტანეს 10-კილომეტრიანი კროსი - ეს დისტანცია პოლიციელებს მაქსიმუმ 75 წუთში უნდა გაერბინათ.

ამ მკაცრმა გამოცდამ შედეგად ის მოიტანა, რომ კროსის დროს 90 პოლიციელს გული წაუვიდა, ხუთი კი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



# რქებდამტვრეული ვიკინგები

7 აგვისტო

ტალინი, ესტონეთი

| საქართველო-შვედეთი | | | | | | | 82:74 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:25, 21:24, 22:7, 16:18 | | | | | | | |
| საქართველო | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჯ | ქ |

| საქართველო | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჯ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შენგელია | 14 | 3/1 | 1/0 | 2/2 | 9 | 2 | 2 | 4 |
| ცქიტიშვილი | 21 | 4/3 | 1/0 | 1/1 | 3 | 0 | 2 | 7 |
| მარკოიშვილი | 20 | 2/1 | 7/3 | 6/6 | 2 | 2 | 4 | 17 |
| შერმადინი | 12 | 2/2 | 0/0 | 5/4 | 2 | 1 | 4 | 8 |
| ფაჩულია | 28 | 10/5 | 0/0 | 14/10 | 15 | 3 | 2 | 20 |
| ა. ბოისა | 3 | 1/1 | 0/0 | 1/0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ვ. ბოისა | 13 | 1/0 | 0/0 | 4/1 | 2 | 0 | 1 | 1 |
| გამყრელიძე | 14 | 1/0 | 2/1 | 0/0 | 2 | 1 | 2 | 3 |
| ცინცაძე | 26 | 1/0 | 1/0 | 2/1 | 3 | 6 | 1 | 1 |
| სანიკიძე | 24 | 5/5 | 4/0 | 4/4 | 2 | 0 | 4 | 14 |
| ჰეინსი | 20 | 1/0 | 1/0 | 6/5 | 2 | 0 | 1 | 5 |
| **შვედეთი** | **წთ** | **2ქ** | **3ქ** | **1ქ** | **მ** | **პ** | **ჯ** | **ქ** |
| რაიანი | 13 | 4/2 | 1/0 | 0/0 | 1 | 0 | 4 | 4 |
| ტ. მასამბა | 28 | 4/1 | 3/1 | 3/2 | 5 | 1 | 3 | 7 |
| პალმგადი | 16 | 5/4 | 1/0 | 0/0 | 0 | 1 | 4 | 8 |
| გადეფორსი | 13 | 3/1 | 5/2 | 2/2 | 1 | 0 | 5 | 10 |
| საქსი | 32 | 7/4 | 1/0 | 0/0 | 8 | 2 | 5 | 8 |
| ბ. მასამბა | 21 | 3/1 | 0/0 | 1/0 | 6 | 0 | 4 | 2 |
| შრეიბერი | 18 | 3/1 | 0/0 | 4/2 | 1 | 0 | 3 | 4 |
| პერსონი | 16 | 4/3 | 1/0 | 6/5 | 2 | 2 | 2 | 11 |
| რაში | 12 | 3/1 | 4/0 | 2/1 | 3 | 0 | 4 | 3 |
| იენსონი | 30 | 9/5 | 8/2 | 2/1 | 3 | 2 | 2 | 17 |



საქართველოს ნაკრებმა ესტონეთში გამართული ოთხთა ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა - აჯობა შვედეთსა და ამერიკის კოლეჯების ლიგის ნაკრებს, ჩამორჩა ესტონეთს.

მიუხედავად იმისა, რომ შვედებს ლიდერები, **კიელბომი** და **ჟერებკო** აკლდნენ, მაინც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველთა კრებულს. პირველი ტაიმის ბოლოს „ვიკინგები“ 8 ქულით დაწინაურდნენ (47:39), რაც ქართველთა გამოსაფხიზლებლად საკმარისი აღმოჩნდა: მომდევნო 8 წუთში **იგორ კოკოშკოვის** შეგირდებმა 21:4 მოიგეს და - 60:52. ამ ეპიზოდში 21-დან 12 ქულა **მანუჩარ მარკოიშვილის** ანგარიშზე იყო. **ზაზა ფაჩულია** მანამდეც ნაყოფიერად ირჯებოდა და გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგეთათვის თამაშის შემოტრიალების მინიმალური შანსიც არ მიუცია.

საქართველოს ნაკრების ბომბარდირი სწორედ ზაზა გახდა - 20 ქულა ჩააგდო, რასაც 15 მოხსნა მიამატა. მანუჩარმა 17 ქულას მოუყარა თავი. მან პერიმეტრიდან ტყორცნები მაღალი შედეგიანობით შეასრულა: 7-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. 14 ქულა ჩააგდო **ვიქტორ სანიკიძემ.**



## I პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:20 | ვ. ბოისა 1ქ (1:0) |
| 08:28 | საქსი 2ქ (1:2) |
| 08:13 | ფაჩულია 2ქ (3:2) |
| 07:54 | პალმგადი 2ქ (3:4) |
| 07:08 | პალმგადი 2ქ (3:6) |
| 06:51 | სანიკიძე 2+1ქ (6:6) |
| 06:19 | იენსონი 2ქ (6:8) |
| 05:51 | ცინცაძე 1ქ (7:8) |
| 05:45 | გადეფორსი 3ქ (7:11) |
| 05:09 | მარკოიშვილი 3ქ (10:11) |
| 04:09 | საქსი 2ქ (10:13) |
| 03:50 | მასამბა 2ქ (10:15) |
| 03:30 | ფაჩულია 1+1 (12:15) |
| 03:03 | იენსონი 2ქ (12:17) |
| 02:35 | ჰეინსი 1+1 (14:17) |
| 02:16 | პერსონი 2ქ (14:19) |
| 02:00 | ფაჩულია 1+1 (16:19) |
| 01:54 | პერსონი 1ქ (16:20) |
| 01:40 | სანიკიძე 1+1 (18:20) |
| 01:32 | იენსონი 3ქ (18:23) |
| 01:05 | ცქიტიშვილი 2ქ (20:23) |
| 00:40 | სანიკიძე 2+1ქ (23:23) |
| 00:10 | პერსონი 2ქ (23:25) |

## II პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:47 | იენსონი 2ქ (23:27) |
| 08:18 | მასამბა 2ქ (23:29) |
| 07:18 | მასამბა 1+1 (23:31) |
| 06:49 | რაიანი 2ქ (23:33) |
| 06:33 | შერმადინი 1+1 (25:33) |
| 06:24 | შერმადინი 1+1 (27:33) |
| 06:33 | შენგელია 1+1 (29:33) |
| 05:25 | საქსი 2ქ (29:35) |
| 04:29 | რაიანი 2ქ (29:37) |
| 04:15 | ფაჩულია 1ქ (30:37) |
| 03:44 | შრეიბერი 1ქ (30:38) |
| 03:33 | მარკოიშვილი 2ქ (32:38) |
| 03:18 | გადეფორსი 1+1 (32:40) |
| 03:01 | ფაჩულია 2+1ქ (35:40) |
| 02:47 | პერსონი 1+1 (35:42) |
| 02:03 | სანიკიძე 2ქ (37:42) |
| 01:30 | ა. ბოისა 2ქ (39:42) |
| 01:21 | შრეიბერი 3ქ (39:45) |
| 00:59 | პერსონი 2ქ (39:47) |
| 00:44 | მარკოიშვილი 3ქ (42:47) |
| 00:17 | მარკოიშვილი 1+1 (44:47) |
| 00:06 | პერსონი 1+1 (44:49) |

## III პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:50 | მარკოიშვილი 2ქ (46:49) |
| 08:32 | ფაჩულია 2ქ (48:49) |
| 08:13 | მარკოიშვილი 1+1 (50:49) |
| 07:07 | მარკოიშვილი 3ქ (53:49) |
| 06:04 | იენსონი 3ქ (53:52) |
| 03:54 | ჰეინსი 1+1 (55:52) |
| 03:40 | ფაჩულია 2+1ქ (58:52) |
| 03:13 | ცქიტიშვილი 2ქ (60:52) |
| 03:01 | იენსონი 1ქ (60:53) |
| 02:45 | შენგელია 2ქ (62:53) |
| 01:36 | ცქიტიშვილი 2+1ქ (65:53) |
| 01:08 | რაში 1ქ (65:54) |
| 00:41 | ჰეინსი 1ქ (66:54) |
| 00:11 | საქსი 2ქ (66:56) |

## IV პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:50 | გადეფორსი 2ქ (66:58) |
| 09:26 | გამყრელიძე 3ქ (69:58) |
| 09:15 | გადეფორსი 3ქ (69:61) |
| 08:48 | მასამბა 3ქ (69:64) |
| 08:13 | შერმადინი 2ქ (71:64) |
| 07:15 | შერმადინი 2ქ (73:64) |
| 06:59 | პალმგადი 2ქ (73:66) |
| 06:02 | სანიკიძე 2ქ (75:66) |
| 05:45 | იენსონი 2ქ (75:68) |
| 05:18 | ფაჩულია 1+1 (77:68) |
| 05:05 | იენსონი 2ქ (77:70) |
| 01:55 | რაში 2ქ (77:72) |
| 01:34 | ფაჩულია 1ქ (78:72) |
| 01:07 | ფაჩულია 2ქ (80:72) |
| 01:02 | სანიკიძე 2ქ (82:72) |
| 00:22 | პალმგადი 2ქ (82:74) |

● ინტერვიუ მარკიზ ჰეინსთან

# საქართველოსნაირი ნაკრები ევროპაში ბევრს არ ჰყავს

**შვედეთთან ამხანაგური მატჩის წინ კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ჩვენი ნაკრების ახალწვეულ მარკიზ ჰეინსთან. ვფიქრობთ, ამერიკელის მოსაზრებები ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.**

მარკიზი ჯერ კოლეჯების ლიგის წარმომადგენელ „ისთ კოუსტთან“ შაბათის დაპირისპირებას იხსენებს.

- მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ვერავის გამოვარჩევ. გამარჯვებას ერთიანი ძალისხმევით მივაღწიეთ, რაც ორმაგად სასიხარულოა. გუნდი შეთამაშების პროცესშია და ყოველ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- სტუდენტურ ლიგაში არაერთი წელი გავატარე და იქაურ თამაშის სტილს კარგად ვიცნობ. ვცდილობდი, მეტოქისთვის შესაბამისი ტაქტიკა დამეპირისპირებინა და ეს ჩემთან ერთად მთლიანად გუნდმა მოახერხა. არადა, მეტოქე არ იყო სუსტი. ამერიკის სტუდენტური ლიგის საუკეთესო უნივერსიტეტების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ჩვენ კი ამ ნაკრებს დიდი სხვაობით ვძლიეთ. ყველანი კმაყოფილები ვართ.

**- საქართველოს ნაკრებში მეოთხე მატჩი ჩაატარე...**

- საწყის ორ შეხვედრაში შედარებით გამიჭირდა. ეს ბუნებრივიცაა - გუნდს არ ვიცნობდი. თუმცა ესტონეთთან და ამერიკელებთან შედარებით უკეთ გამოვიყურებოდი. ეს არ არის ჩემი მაქსიმუმი და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო სარგებლიანი გავხდები. მთავარი გუნდთან ადაპტაცია, ბიჭებთან შეთამაშებაა და ეს პროცესი კარგი ტემპით მიმდინარეობს.

**- რომელია შენი ნომინალური პოზიცია?**

- უფრო ორი ნომერი ვარ, მაგრამ გამთამაშებლადაც ხშირად მითამაშია. საქართველოს ნაკრებში ორივე პოზიციაზე კარგი კალათბურთელები არიან. მე იქ ვითამაშებ, სადაც მწვრთნელი გამამწესებს.

**- რას იტყვი საქართველოს ნაკრებზე?**

- საქართველოს ნაკრების წევრობა, ჩემთვის დიდი პატივია. გუნდში მოსვლის პირველივე დღიდან შევატყვე, რომ ეს ერთი დიდი ოჯახია. გუნდის წევრებს ერთმანეთთან ძალიან თბილი ურთიერთობა აქვთ და ეს წარმატების მყარი საწინდარია. სპორტული კუთხით კი საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს. ასეთი დაბალანსებული და მაღალი დონის მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი ევროპაში ბევრი არაა. გვყავს კარგი შემტევი კალათბურთელები, სნაიპერები და ტანმაღალი მოთამაშეები. მთავარი ახლა შეთამაშება, სათამაშო პრაქტიკა და მონდომებაა. ევროპის ჩემპიონატზე არასდროს მითამაშია, ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ვიცი, რომ იქ ძლიერი გუნდები არიან თავმოყრილნი, თუმცა ვფიქრობ, საქართველოს წარმატების მიღწევის შანსი ნამდვილად აქვს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

